ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **საქართველოს ისტორია**

ქრისტინა ქორჩილავა

ბურჟუას აღქმა XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ბონდო კუპატაძე
ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი

თბილისი
2019

ანოტაცია

ნაშრომის თემაა ბურჟუას აღქმა XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. ამ პერიოდში ორი ანტაგონისტური კლასი ცვლიდა ერთმანეთს: ბურჟუაზია და ფეოდალური არისტოკრატია. ამ უკანასკნელმა თავისი ძლევამოსილება დაკარგა, ხოლო ბურჟუაზია იბრძოდა დასამკვიდრებლად. ხელმოცარულ და გაღარიბებულ არისტოკრატიას, არ გააჩნდა საკმარისად გაბრძოლების უნარი, ჩაბმულიყო კაპიტალიზმის ფერხულში. თემის აქტუალობა და ინტერესი, გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოს ისტორიაში ნაკლებადაა შესწავლილი ქართული ბურჟუაზიის ფენომენი.

აღნიშნული თემის კვლევისთვის გამოყენებულია კვლევითი მეთოდი, რომელიც გულისხობს მხატვრული ლიტერატურის საისტორიო წყაროდ გამოყენებას. თანამედროვე ისტორიის მკვლევარებმა ლიტერატურას ჩამოაცილეს სქოლასტური პირნაკეთობა და მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე გადმოიტანეს მისი კვლევა. თუ კლასიკურად გაგებული ისტორია, ფიქსირებულ ფაქტებსა და რაციონალურ ახსნას უტოლდება, რანკეს სკოლის გაგებით ისტორია, არამარტო მშრალი ფაქტების აღნუსხვას და კვლევას მოითხოვს, არამედ ადამიანთა ფსიქოლოგიის შესწავლასაც. ნაშრომში, ჩემს მიერ გამოყენებული ლიტერატურული ნაწამოების ავტორები, ეპოქის თანადროულნი არიან, შესაბამისად მოვლენები რეალურია და არა ავტორების სუბიქტური აღწერილობა.

რაც შეეხება პერიოდს, აღებული მაქვს XIX ს-ის მეორე ნახევარი, რომელიც ერთი შეხედვით ზოგადი მოცემულობაა კვლევისთვის, მაგრამ მოვლენათა ქრონოლოგიური აღწერილობა, რომელიც შესაბამისობაში მოდის აღნიშნულ პერიოდთან, ავტომატურად კონკრეტულ მოცემულობას იძლევა კვლევისთვის.

ისტორიის ორიგინალური გამოკვლევა, იმ ლიტერატურულ პრაქტიკებშია, რომლებიც განსაკუთრებულად კარგად არიან ინფორმირებულნი სივრცესა და დროში. ნაშრომში მკითხველისთვის საინტერესოდ იშლება ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი ბურჟუაზიის თავისებურება, რომელიც არსებითად იყო დაკავშირებული საზოგადოებრივი არსებობის ყოველ ფაქტორთან.

annotation

The theme of the work is the perception of Bourzhue in Georgian public thinking of the second half of XIX c. In this period two antagonistic classes were replaced: bourgeois and feudalism. The latter lost his power, and the bourgeois fought to establish. Feudal and poorly feudalism did not have the ability to fight enough to be involved in capitalism. The relevance and interest of the topic is derived from the phenomenon of the Georgian bourgeoisie in the history of Georgia.

The new study method is used for excellence in this topic, which suggests the tendency to use literature as a historical source. Modern history researchers have removed scholastic fibers from the literature and brought their research into the native scientific basis. If the history of classically understood history, the correct facts and rational explanations, the history of the Ranke's history, not only the facts of the study of the facts and the study of psychology, but also the study of human psychology. The authors of the literary works used by me in the work are equal to the epoch, accordingly the events are real and not the authors' description.

As for the period, I have taken the second half of XIX, which at first glance is a general case for research, but the chronological description of the events that correspond to this period automatically gives a specific conclusion to the research.

The original research of history is in literary practices that are especially well-informed in space and time. In the paper it is interesting to read the character of the bourgeoisie characteristic of the Georgian reality, which was essentially associated with every factor of public existence.

სარჩევი

შესავალი.....6-8

თავი I. ლიტერატურა და ისტორია.....9-14

თავი II. ბურჟუაზია საფრანგეთში 14-18

თავი III. ბურჟუაზია ქართულ სინამდვილეში

3.1. ბურჟუაზიას დაბადება ქართულ კრიტიკული რეალიზმში.....19-22

3.2. ბურჟუაზია - ეკონომიკის, ვაჭრობის სათავეებთან.....23-25

თავი IV. ბურჟუაზია ქართულ დრამატურგიაში

4.1. გიორგი ერისთავი (,,დავა", ,,გაყრა", ,,ძუნწი").....26-46

4.2. ლავრენტი არდაზიანი (,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", „ფულები", „ტფილისის ტროტუარზედ").....47-64

4.3. ავქსენტი ცაგარელი („ხანუმა").....65-66

4.4. გიორგი წერეთელი („პირველი ნაბიჯი").....67-70

თავი V. ქართველი პუბლიცისტები

5.1 დიმიტრი ყიფიანი.....71

5.2. სერგეი მესხი.....72-73

5.3 არჩილ ჯორჯაძე.....74-75

5.4 ნიკო ნიკოლაძე.....76-78

5.5 ნოე ჟორდანია.....79-81

თავი IV. ქართული ბიზნესის სათავეებთან

6.1 კონსტანტინე და სტეფანე ზუბალაშვილები.....82-83

6.2 დავით სარაჯიშვილი.....83-84

6.3 აკაკი ხოშტარია.....85-88

დასკვნა.....89-90

გამოყენებული ლიტერატურა.....91-93

შესავალი

ნაშრომი ეხება XIX ს-ის მეორე ნახევარში, არისტოკრატიასა და გლეხობას შორის აღმოცენებულ ახალ სოცალურ ფენას-ბურჟუაზიას, რომელიც არც გლეხი იყო, არც ფეოდალი და არც დიდგვაროვანი. სწორედ ეს შუაში ყოფნა იყო ბურჟუაზიისთვის მუდმივი ბარიერი, რომლის დაძლევისკენ მიილტვოდა ის. ქართულ სინამდვილეში, იმ პერიოდში ორი ანტაგონისტური კლასი ექიშპებოდა ერთმანეთს: ბურჟუაზია და არისტოკრატია. ამ უკანასკნელმა თავისი ძლევამოსილება დაკარგა, ხოლო ბურჟუაზია იბრძოდა თავის დასამკვიდრებლად.

XIX ს-ის მეორე ნახევარი არის ეპოქა, როდესაც ქართული საზოგადოების გარშემო ყალიბდება ახალი რეალობა, როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. ამ პერიოდში ეყრება საფუძველი ეროვნულ ღირებულებებს და იდეებს, რამაც მოახდინა XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა და განაპირობა ძირითადი ცვლილებები. ხსენებულ პერიოდში ეყრება საფუძველი ქართულ მწერლობაში ახალი მიმართულების, ,,ქართული კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებას. ერთი შეხედვით ქართულ კრიტიკულ რეალიზმს აქვს, როგორც მიმსგავსებული ტენდენციები დასავლურ კრიტიკული რეალიზის მოდელებთან, ასევე აქვს თვითმყოფადი გამოხატულება, აღწეროს რეალობა ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი ფაქტებით. ბურჟუას პერცეფციების დანახვა, იმ დროინდელ საზოგადოებრივ აზროვნებაში, შესაძლებელია იმ ლიტერატურულ ნაწარმოებში, რომელიც შეიქმნა XIX ს-ის მეორე ნახევარში და გაჯერებულია კრიტიკული

რეალიზმისთვის დამახასიათებელი სიტუაციურობით. მასში კარგად არის დანახული, იმ პერიოდის საზოგადოების დამოკიდებულება და ურთიერთობა ბურჟუაზიის ფენასთან.

ნაშრომის სპეციფიურობა და სიახლეა ის, რომ ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ საისტორიო კვლევებში ბურჟუაზიის აღმოცენების ფენომენი. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლიტერატურის საისტორიო წყაროდ გამოყენების ტენდენციას, რაც იძლევა ეპოქის სრულყოფილად ანალიზის საშუალებას. მხატვრული და პუბლიცისტური ლიტერატურა საუკეთესო წყაროა ნაშრომში დასმული საკითხის შესასწავლად. ლიტერატურამ დაგვანახა XIX ს-ის მეორე ნახევრის საზოგადოების სრული სურათი, ფენომენი ბურჟუასი, რომლის იმდროინდელი ქართული შესატყვისი ვაჭარია. უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ჩემი კვლევისთვის საბაზისო ლიტერატურული წყაროები იქმნებოდა ეპოქის თანამედროვე მწერლების მიერ. ამ გარემოებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ლიტერატურის ანალიზისთვის. ვინაიდან მკვლევარს ეძლევა შესაძლებლობა ავტორის თვალით დაინახოს ეპოქის რეალობა. ისტორიკოსის ვალია ლიტერატურულ ნაწარმოებში ერთმანეთისგან გამიჯნოს ავტორის აბსტრაქტული და სუბიქტური პოზიცია. როგორ შეიძლება გაკეთდეს ეს? - აუცილებელია ჯერ თვით მწერლის ფსიქოლოგიის გამორკვევა, პირადი ცხოვრებისა და ნაწარმოებების მიხედვით, შემდეგ იმ გარემოცვის დახასიათება, რომელშიც ავტორი ცხოვრობდა, იმ ინტელექტუალური რეჟიმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელიც ბატონობდა იმ წრეში, სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს გამორკვევა და სხვა.

კვლევის პროცესში ლიტერატურას მოვაცილეთ მხატვრული სამკაული და მასალა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე გადმოვიტანეთ, რადგან ლიტერატურა, რომელიც საზოგადოებრივი განწყობილებების და შეხედულებების ამსახველია, ისტორიზმით არის გამსჭვალული. ისტორიული პროცესის სვლასთან ერთად, ლიტერატურა პოზიციებს ცვლის. იცვლება გარემო, ინტერესები, მსოფლმხედველობა, იდეები და სხვა.

ნაშრომის ქრონოლოგიური არეალი XIX ს-ის მეორე ნახევარია, როგორც ქართულ რეალობაში ბურუაზიის აღმოცენების ხანა. ნაშრომი შედგება ექვსი თავისგან. პირველ თავში

განხილულია ლიტერატურის, როგორც საისტორიო წყაროდ გამოყენების ტენდენციის ანალიზი. ასევე ამ თავში წარმოდგენილია ისტორიაში ფსიქოანალიზური მიდგომის (რომლის პიონერი ფროიდი იყო) დამკვიდრების პირობები.

მეორე თავი ეხება საფრანგეთში ბურჟუაზიის ჩამოყალიბების წინაპირობებს, განვითარების გზებს და შედეგებს. ქართულ ბურჟუაზიასთან განსხვავების ნათლად საჩვენებლად, კვლევის პროცესში შედარება მომყავს ფრანგულ ბურჟუასთან, რომელიც ფუნდამენტურ როლს თამაშობდა ეროვნული კონსოლიდაციისთვის და ფაქტიურად მოწინავე წოდებას წარმოადგენდა უკვე მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთისთვის. ქართული ბურჟუაზია ნაკლებად ატარებდა ეროვნულ ხასიათს. ამ წოდების წარმომადგენელთა უმეტესობა არაქართველები იყვნენ. შესაბამისად ბურჟუა და ეროვნული საკითხი გამიჯნული იყო ერთმანეთისგან.

მესამე თავში საუბარია ქართულ მწერლობაში, კერძოდ დრამატურგიაში, ბურჟუაზიის ასახვაზე. აქ დასავლეთ ევროპის კრიტიკული რეალიზმის ტენდენციები შედარებულია ქართულ კრიტიკულ რეალიზმთან. არის თანხვედრაც დას. ევროპის რეალიზმის მახასიათებლებთან, მაგრამ ამავე დროს აქვს თვითმყოფადი, სპეციფიკური თავისებურება.

მეოთხე თავში აღწერილი და გაანალიზებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურული ნაწარმოებები, სადაც ნათლად ჩანს ბურჟუაზიის ურთიერთობა თავადაზნაურობასთან, ამ უკანასკნელის დაკნინებული მდგომარეობა. ბურჟუაზიის, როგორც შემდგომში დაწინაურებული სოციალური ფენის დამკვიდრების გზები, მათ სტატუსი და აღქმა ქართული საზოგადოების მიერ.

მეხუთე თავში აღწერილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე პუბლიცისტების ნააზრევი ბურჟუაზიაზე, მათი მოღვაწეობის უარყოფითი შედეგები ქართული საზოგადოებისთვის და დასახულია მათ მიერ გამოსავლის პოვნის გზები.

მეექვსე თავში აღწერილია ის ქართველი მრეწველები, რომლებმაც რადიკალური ცვლილება შეიტანეს ბურჟუას თავდაპირველ პერცეფციაში. თუ მანამდე ბურჟუა აღიქმებოდა გაუნათლებელ, ძუნწ, უკულტურო დახლიდარად, XIX საუკუნის ბოლო ოცწლეულში

ასპარეზზე გამოსული ქართველი მრეწველები უკვე არიან განათლების, კულტურის, ქველმოქმედების ნამდვილი მესვეურები. ამასთან მათ შეცვალეს ის სპეციფიკა, რომლის მიხედვით თუ მანამდე ვაჭრობის საქმე მხოლოდ თბილისელი სომხების ხელში იყო, ქართველმა მრეწველებმა სავაჭრო სისტემა მოარგეს ეროვნულ ნიადაგს. დაწნაურებული ქართველი მრეწველების აღწერა გვაძლევს იმ ხედვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის ქართულმა ბურჟუაზიამ განვითარების იმ დონეს მიაღწია, რომელიც არსებობდა საფრანგეთში - ბურჟუაზია ქვეყნის წამყვანი სოციალური ელემენტი გახდა და აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თავი I. ლიტერატურა და ისტორია

ლიტერატურა ლათ. სიტყვაა და ნიშნავს -,,ანბანის ასოს". *ბერძნულიდან არის „ვწერ"- ფართო მნიშვნელობით, საზოგადოებრივად ღირებული ნაწერი და ნაბეჭდი პროდუქცია* [ქართ. საბჭ. ენციკლობედია 1979: 241]; ვიწრო გაგებით-მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნების ერთ-ერთი დარგია, რომელიც გამოსახვის საშუალებად იყენებს სიტყვას, მეტყველებას, ენას. ანტიკურ ხანაში მას მხოლოდ ზეპირსიტყვიერების ფორმა ჰქონდა, შემდეგ კი წერილობითი ფორმა მიიღო. დროთა განმავლობაში ლიტერატურამ შეიძინა კერძო ხასიათი და გახდა საზოგადოებრივი ყოფიერების, ადამიანური ურთიერთობების, ემოციების გამოხატვის და კვლევის საშუალება (ვ. კოტეტიშვილი 1959).

ლიტერატურის უწინდელი მკვლევარები, უფრო განყენებულად აზროვნებდნენ, ე. წ. ესთეტიკური კრიტიკის წარმომადგენლები. მათი მსჯელობა ასეთი იყო: ამა თუ იმ ლიტერატურულ მოვლენაში ორი მხარეა აღსანიშნავი: წარუვალი და წარმავალი. პირველის ანუ მარადიულის სახით ისინი წარმოადგენენ ჭეშმარიტებას, სიკეთეს, სილამაზეს, რაც ყოველ ლიტერატურულ მოვლენაში უმთავრეს მხარედ გვესახება. ხოლო რაც შეეხება წარმავალს, ანუ იმ სუბიექტურობას, რომელიც ავტორის თავისებურებას შეადგენს, ან იმ დროულ მოვლენებს, რომელიც ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებში იკვეთებიან. ვხვდებით, რომ აღნიშნული კრიტიკის წარმომადგენლები ამ აზრებით მხოლოდ საკუთარ

შეხედულებებს არკვევდნენ და არა ლიტერატურულ მოვლენებს. თავისთავად ცხადია, რომ აქ მხოლოდ აბსტრაქტულ ცნებათა სისტემების არსებობა იყო ყოველგვარი კონკრეტული შინაარსის გარეშე, რაც ადრე თუ გვიან მომაბეზრებელი და ცარიელი გახდებოდა ლიტერატურის მკითხველისთვის. ლოგიკურად რომ დავუკვირდეთ, აღმოაჩინო ყოველ ნაწარმობში ორი მხარე: მარადიული და წარმავალი, ეს მეტისმეტად თვითნებურია. ავტორის შემოქმედებითი მოვლენის ასეთი განკვეთა შეუძლებელია, რადგან შემოქმედება მთლიანია და დაიწყო მისი გახლეჩა მარადიულის თუ წარამავლი იდეების ძიებისთვის, ამგვარი ატრიბუტები მხოლოდ სიტყვებია, რასაც ფაქტიურად არანაირი მნიშვნელობა არა ენიჭება. ავტორს შემოქმედების აღქმისთვის ქიმიური ანალიზი ვერ იწარმოება, რადგან ლიტ. ნაწარმოებში ყოველგვარი მსჯელობა ეპოქალურია. (ვ. კოტეტიშვილი 1959).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უწინდელმა ესთეტიკოსებმა ვერ დაგვიტოვეს სწორი და ურყევი მეთოდები ლიტერატურის ანალიზისთვის. საინტერესოა ისტორიული მეთოდების დამკვიდრება ლიტერატურის ანალიზისთვის, საინტერესოა რას წარმოგვიდგენენ ისტორიკოსები ლიტერატურის ანალიზის დახატვისას. ისტორიული მეთოდების მომხრეები უარყოფდნენ წარუვალ პრინციპებს და არსებითად იმ ,,დროულსა და ცვალებად" მხარეს აცხადებდნენ, რომელსაც ესთეტიკოსები მეცნიერულად უარყოფდნენ. ამ იდეის შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიაში ვკითხულობთ შემდეგს: *„ლიტერატურული მოვლენა თუ არის მნიშვნელოვანი ამბობდნენ ამ სკოლის წარმომადგენელი, სწორედ იმ „დროებითი" მხარით, რომელშიც ჩანს მწერლის თავისებურება, მისი ეროვნული ხასიათი, სქესი, ჰასაკი, მის გაშემო საზოგადოების ინტერესები, ნივთიერი მოწყობილობა და მრავალი სხვა მხარე"* [ვ. კოტეტიშვილი 1959: 16]. აქედან ვასკვნით, რომ ისტორიული მეთოდის მიმდევრებამ ლიტერატურის საკითხს ჩამოაცილა სქოლასტიკური -*,,ფორმალური, ცხოვრებასა და პრაქტიკას მოწყვეტილი ცოდნა; უსაგნო მსჯელობა"* [მ. ჭაბაშვილი 1989; 63] პირნაკეთობა და მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე გადმოიტანეს მისი კვლევა.

ლიტერატურა, როგორც მოვლენათა წრე, რომელიც საზოგადოების განწყობილებით და აზრებით ისაზღვრება. ეჭვს გარეშეა, რომ ისტორიულ მომენტთან არის დაკავშირებული

და ამ უკანასკნელის ცვლილებასთან ერთად, ლიტერატურაც პოზიციებს ინაცვლებს. იცვლება გარემო, ინტერესები, მსოფლმხედველობა, იდეები და სხვა. ეს ყველაფერი აღიბეჭდება ლიტერატურის ფურცლებზე, აზროვნების და შემოქმედების ხრახნში გატარებული.

ლიტერატურის საშუალებით, თუ გადაჭარბებულ ნათქვამად არ ჩაითვლება, შესაძლებელია ისტორიის აღდგენა. როგორც იპ. ტენი ამბობდა *,,ზნეობრივი ისტორიის დაწერა და ამბავთა მმართველ ფსიქოლოგიურ კანონებთან მისვლა, უმთავრესად შესაძლებელია ლიტერატურის შესწავლის გზით*" [იპ. ტენი 1990: 79] ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ისტორიის აღდგენა შესაძლებელია თუნდაც დ. გურამიშვილის, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის და სხვათა შემოქმედებით. მხატვრული ლიტერატურა ცხოვრების ანარეკლია, ის მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი არსებობის ყოველ ფაქტორთან და განსაკუთრებით კი, იმ ადამიანთა გრძნობებთან და იდეებთან, რომლებთანაც მუდმივად ურთიერთქმედებს. მაშასადამე ლიტერატურული მოვლენა, ისტორიის პრიზმით, შესწავლილ უნდა იყოს არა იზოლირებულად, არამედ ყველა იმ ძალთა გათვალისწინებით, რასაც ბოკლმა[1] საზოგადოების დინამიკა უწოდა.

ბოკლს ახლებურად ჰქონდა წარმოდგენილი ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობა. მეცნიერს აინტერესებდა ისტორიის ხანგრძლივი პერიოდები და მისი სიღრმისეული მიმდინარეობები. ის უპირატესობას ანიჭებდა არა წერილობით დოკუმენტებს, რომლებიც სუბიექტივიზმით გამოირჩეოდა, არამედ წარსულის სხვა ელემენტებს: მატერიალური კულტურის ნივთთა ცვლილებებს, რომლებიც ენებმა, რიტუალებმა, ტრადიციებმა დროთა განმავლობაში განიცადეს. მეცნიერების არეალი გაფართოვებული იყო ცოდნის სხვა სფეროებთან ურთიერთობითაც, როგორიცაა გეოგრაფია, დემოგრაფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია. ამგვარად გამდიდრებული ისტორია უნდა ყოფილიყო ბოკლის აზრით, მთავარი გამაერთიანებელი მეცნიერება ადამიანის შესახებ. (შ.თ.ა 2014);

[1] ჰენრი თომას ბოკლი (1821-1862) - ინგლისელი ისტორიკოსი, სოციოლოგ-პოზივისტი.

ზიგმუნდ ფროიდის თეორიებმა ადამიანის გონების შესახებ ჩამოაყალიბა მეოცე საუკუნის ინტელექტუალური კლიმატი, რამაც მოახდინა გავლენა ისეთ მნიშვნელოვან სფეროებზე, როგორიც არის ლიტერატურა, ხელოვნება, განათლება, სოციალური მეცნიერებები (მათ შორის ისტორიაც). ფსიქოანალიზური მიდგომა, რომლის შემოღების პიონერიც ფროიდი იყო, ნიშნავს ადამიანთა ისტორიის შემქმნელი ფარული, არაცნობიერი ძალების ძიებას. ფროიდის მომხრეები ამას ისტორიის ასახსნელად უდიდეს მიდგომად მიიჩნევენ, მოწინააღმდეგეები კი ლანძღავენ მას, როგორც ფსევდომეცნიერებას, რომელიც რწმენის კულტს უფრო უახლოვდება, ვიდრე ისტორიის ფილოსოფიას. („როგორ დავწეროთ ისტორია“ 2017).

თუ კლასიკურად გაგებული ისტორია ფიქსირებულ ფაქტებსა და რაციონალურ ახსნას უტოლდება, ფსიქოანალიზური თეორია გვთავაზობს ისტორიულ მოვლენებს და ფაქტებს მივუსადაგოთ ქვეცნობიერ მოტივებზე აგებული ქცევები. ვინაიდან მოტივაციები ადამიანის მოქმედების ხასიათს განაპირობებს. ეს შიდა სამყაროა, სწორი გასაღები: ის სრულად აღწერს გარეგან მოქმედებებს. ფსიქოანალიზი წარმოაჩენს უმარტივესი ისტორიული პირების ჩამომყალიბებელ გამოცდილებებს და ამით ძალუძს მათი ქმედებების ნამდვილი ხასიათისა და მოტივაციების გამოვლენა. პიტერ გეი, იდეების ისტორიკოსი, რომელიც ფსიქოანალიტიკური ისტორიის ერთ-ერთი თავგამოდებული დამცველი იყო, მიუთითებდა, რომ ფსიქოანალიზურ თეორიაში დახელოვნებამ, მას ისტორიული ანალიზის ახალი განზომილება წარმოუჩინა - გაუმძაფრა წყაროებისადმი მგრძნობელობა და ტექსტების კითხვა.[2](„როგორ დავწეროთ ისტორია“ 2017). გეის აზრით: *„დახელოვნებული, მაგრამ ფსიქოანალიტიკური სიღრმისგან განძარცული, ისტორიკოსი რჩება უბრალო „ხელოსნად“, მხოლოდ ფსიქოანალიტიკური მეთოდის მცოდნე ისტორიკოსს ძალუძს მუსიკის დაწერა სიმფონიური ორკესტრისათვის“.* [„როგორ დავწეროთ ისტორია“ 2017: 188];

[2] მაგალითად დაანახა ის რომ ტექსტები იმდენსვე მალავენ, რამდენსაც ავლენენ.

,,ფსიქოისტორია, როგორც დისციპლინა იწყება ფროიდის ნაშრომით ,,ლეონარდო და ვინჩი და მისი ბავშვობა". მეცნიერი ლეონარდოს როგორც ხელოვანის ინსპირაციას, მისი ცხოვრების რამდენიმე ფაქტის ანალიზს აფუძნებდა. თუმცა გარდატეხა ფსიქოანალიზური ისტორიის განვითარებაში მეორე მსოფლიო ომს მოჰყვა. ომის წლებში ფსიქოანალიზი უფრო ფართოდ გავრცელდა, რამდენადაც ბრიტანელი და ამერიკელი, უამრავი პრაქტიკოსი ნაციზმის მიერ გამოყრილი ევროპელი ემიგრანტების ჩათვლით ცდილობდნენ აეხსნათ, როგორც ჰიტლერის, ისე გერმანელი ხალხის ,,ფსიქოპათოლოგია", რომელმაც მის ხელისუფლებაში მოსვლას მხარი დაუჭირა. ყველაზე გამორჩეული იყო უოლტერ ლენგერის ფსიქონალიზური შრომა ჰიტლერის შესახებ." [„როგორ დავწეროთ ისტორია" 2017: 190]; ის იკვლევდა ჰიტლერის ურთიერთობას ახალგაზრდა სათაყვანო დედასთან და ხანშიშესულ, საძულველ მამასთან, თავის სავარაუდო უკანონო შვილობას და დედის სიკვდილის მიზეზს.[3] მეცნიერი ასკვნიდა, რომ ჰიტლერი იყო პარანოიდული ისტორიული პიროვნება. ფსიქოანალიზურმა თეორიამ, ახალ ინტელექტუალურ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი - ადამიანური ქცევის მეცნიერებას, რომელსაც შეეძლო ეპასუხა უპასუხო კითხვებისთვის.

ბოლო დროს ფსიქოანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ფსიქოანალიზური ისტორია ნიშნავს ისეთ მიდგომას, რომელიც აერთიანებს პირდაპირ და ისტორიულ ანალიზს. ისინი მიუთითებენ, რომ ფსიქონალიზი უნდა იყოს ისტორიკოსის მრავალთაგან ერთ-ერთი იარაღი და გამოყენებულ იქნას ტრადიციული ისტორიოგრაფიის ჟანრებისა და მეთოდების შემავსებლად. მათი აზრით ფსიქონალიზის მიმდევარი ისტორიკოსი უნდა აღზარდონ, როგორც ისტორიკოსებმა, ისე ფსიქოანალიტიკოსებმა.

,,ბოლოდროინდელი ლიტერატურული კვლევების ახალ მოდურ მიმართულებად იქცა შემობრუნება ისტორიისკენ. ნაწილობრივ ამას იწვევდა მრავალი გავლენა, მაგალითად კვლევითი გრანტები ან საჭიროება წარმოეჩინათ მიმდინარე კვლევების ,,ინოვაციური" ბუნება." [როგორ დავეროთ ისტორია" 2017: 236]; თუმცა დებატები ,,ისტორიული" და

[3] ჰიტლერის დედას გერმანელი ექიმი მკურნალობდა.

,,ლიტერატურული“ კვლევის შეპირისპირების შესახებ, ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე მონაცვლეობს. ჩნდება კითხვა, რა შეიძლება დაინახონ ისტორიკოსებმა ლიტერატურულ კვლევებში? როგორ ცვლის ისტორიოგრაფიას ლიტერატურულ კვლევებში გამოთქმულ თვალსაზრისი? როგორ გვესახება ისტორიის და ლიტერატურის ინტერდისციპლინურობა?

თანამედროვე ლიტერატურაში ისტორია იღებს მრავალ ფორმას, რომელთაგან ზოგი უფრო თვალსაჩინოა. ისტორიის ყველაზე უფრო ორიგინალური გამოკვლევა იმ ლიტერატურულ პრაქტიკებშია, რომლებიც განსაკუთრებულად კარგად არიან ინფორმირებული სივრცესა და დროში ცხოვრებისეული პირობების ცვლილებების შესახებ, თუმცა თავს ისტორიულ ლიტერატურად არ წარმოაჩენენ.

ერის მთელი მოძრაობა, რასაც ისტორიას ვუწოდებთ, საზოგადოებრივი აზრები თუ ეპოქის განწყობილებანი, ყველაფერი ეს ლიტერატურაში აღიბეჭდება ახალი სურათების, იდეების, თემების და სიუჟეტების სახით. ჩვენმა სინამდვილემ ლიტერატურას არ შემოუფარგლა იდეათა თუ ამოცანათა ქვეყანა, რომ მუდმივად ერთსა და მავე კერპების წინ იყოს დაყუდებული. არა, ცხოვრება მას ასხვაფერებს, ახალისებს, ძველ კითხვას ახალი კუთხით შეუბრუნებს, ძველ იდეას ახალ შუქს მიაყენებს, ერთი სიტყვით სახეს უცვლის, ან უკეთ, თვით გადადის ლიტერატურაში, როგორც ცოცხალი წყარო. ხოლო თუ ლიტერატურულ ნაწარმოების შინაარსი ჩამორჩება ეპოქის ბუნებას ან ფიქრებს, ის ნაწარმოები კვდება.

ყოველი ლიტერატურული მოვლენა, ისევე როგორც ყოველი ისტორიული ფაქტი, გამოჩნდება არა, როგორც ერთგვარი არაფრისგან გამომდინარე და არაფერთან დაკავშირებული, არამედ როგორც შემადგენელ ელემენტთაგანი მიზეზ-შედეგობრივი რიგისა, გარემოებების და პირობების ნაწილში მოქცეული. აქ თითქოს მთელი ისტორიის ხელის მოხვევა გამოდის, სადაც ზოგადი ისტორიული მხარები მნიშვნელოვან ფონად უნდა გამოჩდნენ, რომელზეც უნდა გამოჩნდეს ისტორია, აიხსნას მისი განვითარების პროცესი საუკუნეთა მანძილზე.

თავი II. ბურჟუაზია საფრანგეთში

XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან საფრანგეთში საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი ძირფესვიანად შეიცვალა. ფეოდალურ ურთიერთობათა წიაღში კაპიტალისტურ საწარმოო ძალთა ზრდა-განვითარების შედეგად მომხდარი სოციალ-ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური ძვრების ზეგავლენით საფრანგეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის მძლავრი დაჯგუფებები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მესამე წოდებას და დაუპირისპირდნენ სამეფო ხელისუფლებას.

მზარდი ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა სწრაფ სამეურნეო აღმავლობას ფეოდალური წყობა კი ფრანგული აბსოლუტიზმით ამფერხებდა საფრანგეთის ეკონომიკურ განვითარებას. შექმნილმა ვითარებამ და კლასობრივმა ინტერესებმა საფრანგეთის ბურჟუაზია მესამე წოდების სათავეში ჩააყენა.

1788 წლიდან დაწყებული რევოლუციური სიტუაციის მთავარი ნიშნების ჩამოყალიბება გამომდინარეობდა საფრანგეთის აბსოლუტური სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობიდან. საფრანგეთის გლეხობის გაჩანაგების გამო მკვეთრად შემცირდა ხაზინაში გადასახადების შეტანა, სამეფო კარი კი კვლავ განაგრძობდა უდიდესი თანხების ხარჯვას. ფინანსური კრიზისი სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. საფრანგეთში ხაზინის ხარჯების დასაფარად გადასახადებით შემოსული თანხები აშკარად აღარ კმაროდა. აუცილებელი გახდა ფულის სესხება ბურჟუისგან ან სამღვდელოებაზე და თავადაზნაურობაზე გადასახადების შეწერა ან ამ საშუალებების ერთდროულად გამოყენება.

1789 წლის 14 ივლისს პარიზის რევოლუციური ხალხის ხანმოკლე, მაგრამ თავგანწირული იერიშის შედეგად დაეცა ბასტილიის ციხე-სიმაგრე. ბასტილიის დაცემა წარმოადგენდა სიგნალს ფრანგი ხალხის აჯანყებისთვის. რევოლუცია დაიწყო საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე. ქალაქის ბურჟუაზია ძალაუფლებას სტაცებდა მეფის ადმინისტრაციას, აყალიბებდა საკუთარ სამხედრო ძალას-ეროვნულ გვარდიას, რომელსაც სათავეში მარკიზი ლაფაიეტი ჩაუდგა. იძულებით აწესებდა ფასებს პროდუქტებზე, სპობდა შუა საუკუნეობრივ ამქრულ სისტემას და მრეწველობის სახელმწიფოებრივ რეგლამენტაციას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან ძალას მიაღწია გლეხთა მოძრაობამ პროვინციებში. აჯანყებული გლეხთა მასები ძალით იტაცებდნენ მიწებს, აუქმებდნენ ფეოდალურ წესებს, დაუზოგავად უსწორდებოდნენ თავიანთ მებატონეებს, იწვოდა სენიორთა ციხე-დარბაზები, ნადგურდებოდა გლეხთა ვალდებულებების სენიორალური დოკუმენტები.

სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ,,საქმიანი“ წრეები საზოგადოების ყველაზე უფრო რევოლუციურ ელემენტს წარმოადგენდნენ. ბურჟუაზიის ეს ჯგუფები იყვნენ რევოლუციური მოძრაობის ტონის მიმცემნი. ,,ფეოდალიზმის ნაშთების პირობებში ბურჟუაზიას შესაძლებლობა არ ჰქონდა გაეშალა ინიციატივა ვაჭრობასა და მრეწველობაში. ვაჭრობას აფერხებდა შინაგანი ბაზრის სივწროვე და თითოეული ოლქის საძოვრებზე არსებული შინაგანი საბაჟოები ხოლო მრეწველობას გზას უხშობდა დრომოჭმული ამქრული რეგლამენტაცია. ამავე დროს პოლიტიკურ უუფლებობა ბოჭავდა ახალბედა კაპიტალისტურ კლასს-ბურჟუაზიას, არ აძლევდა საშუალებას, ხელთ აეღო სახელმწიფო მმართველობის საჭე და პოლიტიკური ყობილება ეკონოიკური განვითარების მოთხოვნილებისამებრ გარდაექმნა“ (კ. ანთაძე 1978).

საფრანგეთში მწვავე რევოლუციური კრიზისი ელვის სისწრაფით მწიფდებოდა. საერო და სასულიერო ფეოდალების ექსპლუატატორული წნეხი გლეხთა მასების მიმართ უფო და უფრო ძლიერდებოდა და ამ უკანასკნელთ სრული გაპარტახების გზაზე აყენებდა. ამასთანავე საფრანგეთს ხშირი სასოფლო-სამეურნეო კრიზიესები გრიგალივით გადაუქროლებდა თავზე. აგრარულ კრიზისს და მოუსავლიანობას თან დაერთო მძაფრი

სავაჭრო სამრეწველო და საფინანსო კრიზისი. ყოველივე ამის უშუალო მიზეზი, აბსოლუტური ტახტის გვირგვინოსნების და პრივილეგირებული წოდებების დამღუპველი პოლიტიკა, შეუწყნარებელი მფლანგველობა და ხელგაშილოლბა იყო, რასაც მეფე და მისი სასახლე იჩენდა ხალხის და სახელმწიფო დოვლათის ხარჯზე.

აბატი სიესი თავის ბროშურაში ,,რა არის მესამე წოდება", რომელიც 1789 წ გამოვიდა, აყენებს კითხვებს და იქვე პასუხობს:

1) რა არის მესამე წოდება?-მთელი ერი ხელფეხშეკრული და გაყვლეფილი.

2) რას წარმოადგენდა ის ამ დრომდე პოლიტიკურად?-არაფერს.

3) რად სურს მას გახდომა?- რაიმედ.

რა არის საჭირო ერის არსებობისა და აყვავებისთვი? -კერძო შრომა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. [ე. ბურჭულაძე 1939:26]

აბბატ სიესის აზრით მესამე წოდება მთელი საფრანგეთის ხალხის 94% წარმოადგენდა. პრივილეგიურ წოდებებს განუწყვეტლივ მოაგონებდნენ: *,,თქვენ ორასი ათასი ხართ- ჩვენ კი 25 მილიონი".* [ე. ბურჭულაძე: 1939: 26] მაშასადამე იმდროინდელ საფრანგეთში ხალხის ნებისყოფა-ეს მესამე წოდების ნებისყოფაც იყო და პირიქით.

დამფუძნებელი კრების მიერ 1791 წ. კონსტიტუციის მიღების შემდგომ დამფუძნებელმა კრებამ ადგილი დაუთმო საკანონმდებლო კრებას, რომელიც არჩეულ იქნა ახალი კონსტიტუციის მიხედვით. საკანონმდებლო კრებაში უმრავლესობას მსხვილი ბურჟუაზია წაროადგენდა. კრების რესპუბლიკური შემადგენლობა იყოფოდა ორ ფრთად: ჟირონდისტებად და იაკობინელებად. ჟირონდისტები გამოხატავდნენ მსხვილი ბურჟუაზიის მისწრაფებებს, ისინი იცავდნენ მეფეს და მოლაპარაკებას ფარულ მტრებთან აწარმოებდნენ. თავდაპირველად ძალაუფლება ჟრონდისტების ხელთ იყო, ხოლო იაკობინელები იყვნენ მოწინავე ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველაზე მოწინავე წარმომადგენლები, ისინი მოითხოვდნენ ფეოდალიზმის სრულ ლიკვიდაციას.

1793 წლიდან დაიწყო რევოლუციური მოძრაობა ჟირონდისტების წინააღმდეგ. ძალაუფლებას რევოლუციური ბურჟუაზიის წამყვანი წარმომადგენლები დაეუფლნენ.

ამგვარად, მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობა დაემხო. საფრანგეთში დამყარდა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, რომელსაც მხარს უჭერდა ქალაქის პლებსი და გლეხთა მასები. იაკობინელებს მშვენივრად ესმოდათ დიქტატურის მნიშვნელობა. რობესპიერი ამბობდა რევოლუციური წყობილება ვალდებულია დაიცვას ყველა კეთილი მოქალაქენი, მაგრამ ხალხის მტრებისთვის მას მოეპოვება მხოლოდ ერთი საშუალება-სიკვდილი.

იაკობინელთა დიქტატურამ დაასრულა ბურჟუაზიული რევოლუცია. ,,ქვეყნის შიგნით მათ მოახდინეს ფეოდალიზმის ლიკვიდაცია. გლეხობა მთლიანად გათავისუფლდა სენიორთა ვალდებულებებისგან. კონვენტის განკარგულებით ხანძარს მისცეს ყველა დოკუმენტი, სადაც აღნუსხული იყო სენიორთა უფლებები. ამრიგად იაკობინელთა რევოლუციურმა დიქტატურამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია: გაანადგურა ფეოდალური წყობილება, შექმნა მძლავრი ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნდამენტი კაპიტალიზმის გავითარებისათვის. იაკობინელები ანადგურებდნენ პრივილეგირებულ წოდებებს, სდევნიდნენ მსხვილ სპეკულანტებს, მაგრამ კერძო საკუთრების უფლებას წმინდად აღიარებდნენ.

მათ ვერ შეძლეს ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება. ძალაში დატოვეს მუშათა საწინააღმდეგო კანონი. ამ ნიადაგზე პლებსის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ იაკობინელებს. ხალხთა მასებს და იაკობინელებს შორის უფსკრული გაითხარა. უკანასკნელნი გარიყულნი აღმოჩნდნენ. თვით იაკობინელებს შორის მწვავე უთანხმოებამ იჩინა თავი. 1794 წელს დააპატიმრეს რობესპიერი და მომხრეებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. დაიწყო თერმიდორული კონტრევოლუციის ხანა, რომელმაც გააჩაღა უსაშინლესი ტერორი. ბურჟუაზიული რევოლუციის მონაპოვარი მაინც დარჩა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშე იდგა მხოლოდ ერთი ამოცანა: აღეგავა, უკუეგდო, დაემსხვრია წინანდელი საზოგადოების ყველა ბორკილი. ამ ამოცანის შესრულებით ბურჟუაზიულმა რევოლუციამ დაასრულა ის რაც მას მოეთხოვებოდა-კაპიტალის ზრდა.

თავიIII. ბურჟუაზია ქართულ სინამდვილეში

3.1 ბურჟუას დაბადება ქართულ კრიტიკულ რეალიზმში

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი ქართული საზოგადოებისთვის, როგორც პოლიტიკური, ასევე სამწერლობო თვალსაზრისით ახალი პერიოდია. ამ პერიოდში ეყრება საფუძველი იმ ეროვნულ იდეებს და ძალებს, რომელმაც მოახდინა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა და განაპირობა ძირითადი ცვლილებები. ხსენებულ პერიოდში მკვიდრდება ,,ქართული კრიტიკული რეალიზმი". ერთი შეხედვით ქართულ კრიტიკულ რეალიზმს აქვს, როგორც მიმსგავსებული ტენდენციები დასავლური კრიტიკული რეალიზმის მოდელებთან, ასევე აქვს ორიგინალური სახეც და აღწერს რეალობას ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ჩვენ ვიცით, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში კრიტიკული რეალიზმი მკვეთრად იკიდებს ფეხს მსოფლიო ლიტერატურაში. *,,კრიტიკული რეალიზმის წამყვანი*

ლიტერატურული ჟანრებია - რომანი, მოთხრობა, პოემა, ისევე როგორც დრამატული ჟანრები, რომლებიც წარმატებით იყენებენ სატირასა და იუმორს, გროტესკსა და ირონიას, რათა უკეთ გამოხატონ ლიტერატურის პოზიცია". [ი. რატიანი, გ. ლეთოდიანი, ა. წერედიანი 2015: 58];

ქართულ სინამდვილეში კრიტიკული რეალიზმი ჩამოყალიბდა, როდესაც ორი სოციალური ჯგუფი (ბურჟუაზია და არისტოკრატია) ექიშპებოდა ერთურთს. არისტოკრატია კარგავდა ძლევამოსილებას, ხოლო ბურჟუაზია იბრძოდა თავის დასამკვიდრებლად. ხელმოცარულ და გაღარიბებულ არისტოკრატიას საკმარისად გაბრძოლების არც თავი ჰქონდა და არც შესაძლებლობა ჩაბმულიყო კაპიტალიზმის ფერხულში.

კრიტიკული რეალიზმის სულის ჩამდგმელნი დას. ევროპაში იყვნენ: დიკენსი, სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი. მათი შემოქმედება გაჯერებულია ისეთი ეპოქალური მნიშვნელობის საკითხებით, როგორიც არის ფული, და ამ უკანასკნელის არ არსებობის შემთხვევაში ადამიანი ვერ აღწევს ბედნიერებას და დამოუკიდებლობას. ძირითადად აღნიშნული მწერლების ნაწარმოებებში იკვეთება პერსონაჟები, რომელთაც სურთ ადგილის დამკვიდრება მაღალ საზოგადოებაში, სადაც მნიშვნელოვანი და ღირებული მხოლოდ ფულია და სიმდიდრე. მოიპოვო ამგვარ საზოგადოებაში უპირატესობა და ბედნიერება, ეს ნიშნავს რომ უნდა გაგაჩნდეს ფული. მაგრამ აქ შეუძლებლობას და წინააღმდეგობას ქმნის ის, რომ პერსონაჟებმა სიმდიდრე უნდა მოაგროვონ პატიოსნად, ყოველგვარი ცბიერების გარეშე. მაგრამ ბურჟუაზია და პატიოსნად ფულის მოგროვება შეუთავსებელია და მაშასადამე, სწორედ ეს უტოპიურობა იქცა ბურჟუაზიული საზოგადოების მწვავე კრიტიკის იარაღად.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მწერლობის ძირითადი ნიშანსვეტი ეროვნული თვითმყოფადობის იდეების და ახალი ნაციონალური იდენტობის[4] ძიება იყო. ამ საკითხების

[4] იქ იგულისხმება ენტონ სმითის მოსაზრება ნაციონალიზმის შესახებ. რომლის მიხედვით ერის ერთობა განპირობებულია სოციალური კონსენსუსით. ეს აწუხებდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ინტელექტუალებს. ამის მიღწევას ცდილობდა ილია ჭავჭავაძე ,,ჩატეხილი ხიდის" პრობლემის გაშუქებით.

პარალელურად ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა შეითვისა ის სოციალური გარემო, რომელიც არსებობდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბურჟუაზიის დამკვიდრების გათვალისწინებით. აღნიშნული სოციალური ფონი აღწერა ლ. არდაზიანმა რომანში ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", გ. ერისთავმა პიესებში, აქვსენტი ცაგარელმა „ხანუმაში" და ა. შ. ეს ლიტერატურული ნაწარმოებები გახდა რეალობის ანალიზის უტყუარი წყარო.

ბურჟუაზიისთვის მუდმივი ბარიერი იყო საზოგადოების შუაში ყოფნა და ამის დაძლევისკენ მიილტვოდა. ირმა რატიანი კარგად აღწერს არისტოკრატიას და ბურჟუაზიას შორის არსებულ ანტაგონიზმს: *,,ბურჟუა არ იყო გმირი, ის იყო ანტიგმირი, რომელმაც გარკვეულ შემთხვევაში დადებითი ინტერპრეტაცია შეიძინა. ასეთი წარუმატებლობის მიზეზი, ალბათ, ,,იმ უზარმაზარ განხეთქილებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ძველსა და ახალ მმართველებს შორის არსებობდა: თუ კი არისტოკრატიას ეყო თავხედობა, შეექმნა უშიშარი და უნაკლო რაინდების მთელი გალერეა და ამით მოეხდინა საკუთარი თავის იდეალიზაცია, ბურჟუამ ეს არ ჩაიდინა. თავგადასავლის გარეშე კი გმირმა დაკარგა უნიკალურობა, რომელიც მოულოდნელობასთან შეხვედრის შარმით იყო განსაზღვრული. რაინდთან შედარებით ბურჟუა არაფრით გამორჩეული და მოუხელთებელი მოჩანდა, ნებისმიერი სხვა ბურჟუების მსგავსი.*" [ი. რატიანი, გ. ლეთოდიანი, ა. წერედიანი 2015: 58];

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მწერლობა შორს იდგა ბურჟუის იმ მომწიფებული იდეის გაგებისთვის, რომელიც არსებობდა ევროპაში. ქართული რეალიზმისთვის ბურჟუა არ მოიაზრებოდა, როგორც მესამე წოდება, რომელიც დას. ევროპაში საკმაოდ დაწინაურებულ ფენას წარმოადგენდა. ამ პერიოდში საქართველოში არ ჰქონდა ბურჟუას შეძენილი ის თვისებები, როგორიცაა ,,მშრომელი", განათლებული, კომფორტის მოყვარული, გავლენიანი, გამოსადეგი, სერიოზული. არამედ ის იყო ჩანასახოვან ფაზაში მდგარი მესამე წოდება, რომელმაც ვერ ჰპოვა განვითარება, მისი შეძენილი თვისება კი: დახლიდარობა, კინტოობა, ჩარჩობა, სიძუნწე, გაუნათლებლობა,

პრივილეგიას მოკლებულობა და სასაცილო პერსონაჟებად ქცევა იყო. თუმცა ქართულმა მწერლობამ, როგორც ამას სოციალური მწერლობის იდეოლოგია მოითხოვდა, შეძლო ბურჟუას ჩვენება ისტორიული მოცემულობის, მისი როლის და ფუნქციის, ქართულ არისტოკრატიასთან ურთიერთობის, ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი ნიშნულით. შესაბამისად, ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა შესანიშნავი ნაწარმოებები.

ამ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ბურჟუას სახე წარმოდგენილია ცნება ვაჭრის გაგებით, რომელიც ბურჟუის აღქმის უფრო ადრეული ვარიანტია. იქმნება შთაბეჭდილება ორი კლასობრივი სახისა: ბურჟუის, რომლის ქართული ექვივალენტი არის ვაჭარი და თავადაზნაურობის. ბურჟუასთვის ფულს პრიმიტიული მნიშვნელობა ენიჭება და ორიენტირებულია მხოლოდ და მხოლოდ დაგროვებაზე, ხოლო თავადაზნაურობა კი წარმოადგენს ,,ძველი დროში“ გამომუშავებული, ქართული რაინდული ცნობიერების სახეს. ქართული დრამატურგია შეურიგებელია როგორც ვაჭრების, ისევე თავადაზნაურების მიმართ: არ სჯერა ბურჟუზიის, რომელიც გზას მექრთამეობით, ფულის გამოძალვით და ვაჭრული თვისებებით იკაფავს, მაგრამ ამასთანავე, მათ არ სჯერათ თავადაზნაურების, რომლებმაც დაკარგეს ყოველგვარი ზნეობრივი მახასიათებლები. შესაბამისად ტექსტში იგრძნობა მწერლის სინანული აღუდგენელი სამართლიანობის გამო. ქართულმა დრამატურგიამ, მთავარ პერსონაჟებად ვაჭრები და თავადები აქცია, ხოლო სცენად ქალაქური ცხოვრება, როგორც აუცილებელი პირობა. აღწერა ქალაქი ცხოვრების რიტმით, სიჭრელით, სტილით, სოციალური შრეებით, ქალაქისთვის დამახასიათებელი თვისებით, რაც ყველაფრის მიმღებლობას გულისხმობს. შესაბამისად ქალაქი იყო ადგილი, სადაც წარმოებდა და არსებოდა ახალი სოციალური ფენა, რომელიც იმ პერიოდში წვრილი ბურჟუას სახით არსებობდა.

შემდგომში ვაჭართა ფენის მიმართ აგრესია საქართველოში ლოიალობით შეიცვალა. შეიცვალა ვაჭართა ცხოვრების წესიც: გაუნათლებლობა და უწიგნურობა წარსულს ჩაბარდა. ბურჟუაზია თანდათან გაძლიერდა და ფეხი მოიკიდა. ფეოდალური ნანგრევების ქვეშ

მოყოლილმა არისტოკრატიამ დაიწყო ფიქრი გადაჩენაზე, მაგრამ სამწუხაროდ ამ გადარჩენის მექნიზმები ერთგვაროვანია.

3.2 ბურჟუაზია - ეკონომიკის, ვაჭრობის სათავეებთან

ბატონყმობის გაუქმების შემდგომი ეპოქა (XIX-ის 60-90-იანი წლები) საქართველოში აღინიშნა ეკონომიკის აღმავლობით. ბატონყმობის გაუქმებამ და XIX-ის 60-70-იანი წლების რეფორმებმა დიდად შეუწყო ხელი ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრებას. ეს პროცესი სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობდა, მაგრამ ძველი სოციალური და ეკონომიკური სისტემის ნგრევა და ახალი ბურჟუაზული ურთიერთიბების დამკვიდრება მაინც წარმოადგენდა ეპოქის განმსაზღვრელ მოვლენას. ბატონყმობის გაუქმების შემდგომ კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად აფერხებდა ის გარემოება, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდგომ მიწის დიდი ნაწილი თავადაზნაურობის ხელში დარჩა, მხოლოდ მცირე

ნაწილს შეეძლო მეურნეობის კაპიტალისტურ წესზე მოწყობა, დაქირავებული შრომის გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა. გლეხობა მართალია ყმობისგან განთავისუფლდა, მაგრამ მიწის სიმცირე მას საშუალებას არ აძლევდა დამოუკიდებლად მოეწყო მეურნეობა და მემამულეესთან კავშირი საბოლოოდ გაეწყვიტა. მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების დაბალი დონე შეუძლებელს ხდიდა სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური კავშირის გაძლიერებას.

ბატონყმობის გაუქმებას თან ახლდა სოციალური ცვლილებები სოფლად. კერძოდ, დაკნინდა თავადაზნაურობის სოციალური მდგომარეობა. მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელი მემამულეები ახერხებდნენ რენტაბელური მეურნეობის გამართვას. მებატონეთა ნაწილი მიწას ვალებში ყიდდა, ან აღებული ვალის სანაცვლოდ ბანკში აგირავებდა. თავადაზნაურობის მიწების მყიდველი, ძირითადად არაქართული (დიდწილად - სომხური) ბურჟუაზია იყო. ცვლილებები აღინიშნა გლეხობაშიც. დაიწყო გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია - ფენებად დაშლა. საბოლოოდ ეს პროცესი იმით დამთავრდა, რომ გლეხობა დაიშალა სამ ფენად: უღარიბეს, საშუალო და მდიდარ გლეხებად.

ბატონყმობის გადავარდნამ, საქართველოში ხელი შეუწყო მრეწველობის აღმავლობას, XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში წვრილი ვაჭრობა კვლავ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ მის ადგილს თანდათან იჭერდა კაპიტალისტური მეურნეობა. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოს მრეწველობაში გაბატონდა მსხვილი მანქანური წარმოება. საქართველოში კაპიალიზმის განვითარებას ხელი შეუწყო რკინიგზის მშენებლობამ. 1872 წელს დასრულდა ფოთი-თბილისის, ხოლო 1883 წელს ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. რკინიგზამ ხელი შეუწყო როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის განვითარებას. მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდა თბილისი და ბათუმი.

კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში ორი თავისებურება ჰქონდა: 1. XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში ვაჭრობაში პრიორიტეტი ჰქონდა სომხურ ბურჟუაზიას, რომელმაც ათწლეულების მანძილზე დიდი სიმდიდრე დააგროვა. სიმდიდრის

დაგროვების მნიშვნელოვანი წყარო იყო გაღარიბებული ქართველი თავადაზნაურებისთვის ფულის სესხება. სომეხ ვაჭრებს ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში თავადაზნაურთა მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი რჩებოდა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შესაძლებელი გახდა დაგროვილი ფულისა და სხვა სიმდიდრის წარმოებაში დაბანდება, ასევე ვაჭრობის გაფართოება. ამ დროისთვის ფული სომხური ბურჟუაზიის ხელში იყო. სწორედ მათ გახსნეს თბილისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში პირველი საწარმოები. სომხურმა ბურჟუაზიამ ხელში ჩაიგდო მრეწველობის მთელი რიგი დარგები, სომხები დაეპატრონენ ვაჭრობასაც. ქართულ ბურჟუაზიას, რომელიც ის-ის იყო ფეხს იდგამდა, არ შეეძლო კონკურენცია გაეწია სომხური ბურჟუაზიასთვის. მისი როლი ძალზე უნიშვნელო იყო. სერიოზული კონკურენცია სომზურ ბურჟუაზიას თითო-ოროლა ქართველმა მეწარმემ თუ გაუწია. მათ შორის უნდა დავასახელოთ ძმები ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია. ქართული ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტე იყო საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების დამახასიათებელი ნიშანი.

2. მეორე თავისებურება იყო მუშათა სოციალური ფენის ჩამოყალიბება. საქართველოს მუშათა კლასი ძირითადად სოფლებიდან წამოსული გლეხობის ხარჯზე ყალიბდებოდა. ამასთან ქალაქში სამუშაო ადგილის შოვნის შემთხვევაში გლეხი არ წყვეტდა სოფელთან კავშირს. თბილისსა და ბათუმში სწორედ ასეთი მუშები სჭარბობდნენ. ამ შემთხვევაში მუშისთვის არსებობის წყაროს წარმოადგენდა არა მარტო ქალაქში მიღებული ხელფასი, არამედ სოფლის მეურნეობის შემოსავალიც. მუშათა მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობდა ქალაქში მიღებული ხელფასით. მუშა, რომელიც არ წყვეტდა კავშირს სოფელთან, თავისი ბუნებით არ შეიძლება მივიჩნიოთ ნამდვილ მუშად. ის ორმაგი ბუნებისა: მის ფსიქოლოგიაში შეინიშნება, როგორც მუშის, ასევე გლეხისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ამგვარი მუშა ქალაქში მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში ადვილად ტოვებს ქალაქს, უბრუნდება სოფელს და პირიქით. საქართველოს მუშათა კლასის ეს ორმაგი ბუნება წარმოადგენდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებას.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში კაპიტალისტური წარმოების ზრდასთან ერთად სწრაფი ტემპით იზრდებოდა ვაჭრობაც. კაპიტალიზმმა შეაკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, გააფართოვა საშინაო ბაზარი და საქართველო უფრო აქტიურად ჩაბა როგორც შიდა სარუსეთო ეკონომიკურ ცხოვრებაში, ასევე საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის მარტო ტფილისში ითვლებოდა სამი ათასამდე დუქანი და სავაჭრო დაწესებულება. ტფილისის საშინაო ვაჭრობის ბრუნვა 8 251 000 მანეთს შეადგენდა. მომდევნო პერიოდში რკინიგზის გაყვანამ, სამთამადნო მრეწველობის და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებამ, საკრედიტო ორგანიზაციების დაარსებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ვაჭრობის განვითარებას. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ქათულ ღვინოსა და სპირტიან სასმელებზე, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტებზე, თამბაქოსა და აბრეშუმზე, განსაკუთრებით კი სიმინდსა და მარგანეცზე მოთხოვნილების გაზრდამ განაპირობა საგარეო ვაჭრობის პასიური მდგომარეობიდან აქტიურ დგომარეობაში გადასვლა. ამრიგად XIX საუკუნის 80-90-იან წლებში სავაჭრო მიმოქცევისა და ფულის ბრუნვის შემდგომი გაფართოება ნათლად ასახავს ვაჭრობაში კაპიტალიზმის განმტკიცებას (დ. შველიძე. 2004).

თავიIV. ბურჟუაზია ქართულ დრამატურგიაში

4.1.გიორგი ერისთავი

,,დავა“, ,,გაყრა“, ,,ძუნწი“

გიორგი ერისთავი ქსნის ერისთავთა შთამომავლობას ეკუთვნოდა. მის წინაპრებს ჯერ ქსნის საერისთავო რეზიდენციაში – სოფელ ახალგორში უცხოვრიათ, შემდეგ კი სოფელ

ოძისში გადასახლებულან. გ. ერისთავი დაიბადა სოფელ ოძისში 1813 წელს. (დ. გამეზარდაშვილი 1949).

რვა წლამდე გიორგი სოფელში იზრდებოდა. დედამ ასწავლა მას ქართული წერა-კითხვა და მანვე ჩაუნერგა სიყვარული მწერლობისადმი. 1821 წელს მშობლებმა გიორგი მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც ოთხი წელი სწავლობდა. შემდეგ კი დავითს თავისი შვილი ბიძასათვის მიტროპოლიტ ვარლამისათვის გაუგზავნია მოსკოვში. ვარლამს გიორგი და მასთან ერთად ჩასული თავისი ძმისშვილი ესტატე, ერთ–ერთ კერძო პანსიონში მიუბარებია. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ ესტატე ავად გამხდარა, მოსკოვის ჰავა ვერ აუტანია და ვარლამსაც ორივე ახალგაზრდა სამშობლოში დაუბრუნებია. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, გიორგის სწავლა აღარ გაუგრძელებია, მალე ის საგანგებო დავალებათა მოხელედ ჩარიცხეს სამხედრო გუბერნატორთან.

ახალგაზრდა გიორგი მალე ს. დოდაშვილის ლიტერატურული წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა. ეს ის დროა, როდესაც, როგორც ი. მეუნარგია შენიშნავს: *,,რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ ჩვენებური ახალგაზრდა ყმაწვილკაცნი, რომელთაც ჩამოიტანეს ქართული მწერლობის სიყვარული, ქართველი ბატონიშვილებისა და მათ გარეშე პირთაგან შეძენილი პეტერბურგსა და მოსკოვში. ამ ყმაწვილკაცთ ზედ დაერთო ის თაობაც, რომელმაც გამოზარდა კეთილშობილთა სკოლაში და ცოტ-ცოტათი ტფილისში დაარსდა ქართული მწერლობის მოყვარულთა წრე, სადაც დაიბადა შემდეგში ქართული ჟურნალის გამოცემის აზრი. ამათში გიორგი ერისთავს პირველი ადგილი ეჭირა"* [ი. მეუნარგია, 1944: 13].

1830 წლიდან მონაწილეობდა მეფის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, რისთვისაც 1832 წლის დეკემბერში დააპატიმრეს. 1834 წ. გადაასახლეს ქ. ვილნოში, სადაც ქვეით დივიზიაში გაამწესეს. ერისთავმა შეისწავლა პოლონური ენა და ლიტერატურა, დაუახლოვდა მოწინავე პოლონურ ოჯახებს. 1838 წელს მას ნება დართეს დროებით ჩამოსულიყო საქართველოში, სადაც საბოლოოდ 1842 წელს დაბრუნდა. ერთხანს თბილისში სახელმწიფო სამსახურში იყო, 1854 წლიდან კი სოფ. ხიდისთავში დასახლდა.

გ. ერისთავის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილია დრამატული თხზულებები. მან ერთ-ერთმა პირველმა დაუდო სათავე ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას, დაარსა ქართული პროფესიული თეატრი, რომელსაც 1850-1854 წლებში ხელმძღვანელობდა. იყო უდიდესი კულტურული წამოწყების ინიციატორი: პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალი "ცისკარის" დამაარსებელი და რედაქტორი.

მისი თხზულებები უშუალოდ ეხება XIX საუკუნის 40-50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას. მისი დიდი დამსახურება ქართული ლიტერატურის ისტორიაში, პირველყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა, სწორად გაიგო იმდროინდელი მწერლობის წინაშე მდგარი ამოცანები, ალღო აუღო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ დიდ სოციალურ ცვლილებებს და მხატვრულ მეთოდად რეალიზმი აირჩია.

გ. ერისთავი თავიდანვე გამოირჩეოდა ცხოვრების სინამდვილის რეალისტურ ფერებში გადმოცემით. წარსულის იდეალიზაცია არ წარმოადგენდა მისი შემოქმედების დამახასიათებელ ნიშანს. ის ადრევე მიხვდა, რომ ლიტერატურული ნაწარმოები ადვილად გასაგები უნდა ყოფილიყო ხალხისთვის. გ. ერისთავის, როგორც საზოგადო მოღვაწის, სიძლიერე მდგომარეობს მის ხალხურობაში. ის იცნობდა უბრალო ხალხის ცხოვრებას, იცოდა მისი ენა და ფიქრები. ამან დიდწილად შეუწყო ხელი გ. ერისთავს დაეძლია რომანტიზმი და სოციალური სივიწროვე ლიტერატურაში და საფუძველი ჩაეყარა ახალი სალიტერატურო მიმართულების - რეალიზმისთვის.

ლიტერატურაში რეალიზმის აღმოცენება დაკავშირებულია ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებასთან, რამაც მოითხოვა სინამდვილის შესწავლა, გაბატონდა დაკვირვების მეთოდი მეცნიერების ყოველ სფეროში. რა თქმა უნდა სინამდვილის ასახვა ადრეც შეადგენდა მწერლობის დანიშნულებას, მაგრამ რეალიზმი, როგორც მხატვრული მეთოდი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, რომელიც მოითხოვს სინამდვილის არა უბრალო ასახვას, არა მხოლოდ დეტალების სისწორეს, არამედ ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში გადმოცემის სისწორეს, მხოლოდ XIX საუკუნეში, ბურჟუაზული ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოიშვა და განვითარდა.

გ. ერისთავი თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით, კლასობრივი სიმპატიით, ლიბერალური თავადაზნაურობის მხარეზეა. მიუხედავად ამისა, პირველმა სწორად მან აჩვენა თავადაზნაურობის დაკნინება, რაც უაღრესად კომიკურ ფერებში წარმოადგინა, რადგან მისი სამწერლო მეთოდი სწორედ რეალიზმი იყო.

გ. ერისთავის კომედიებში დაკნინებულ, უიმედო, ფუქსავატ ადამიანებად მოგვევლინა თავადაზნაურობის, როგორც ძველი, ისე ახალი თაობა. მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ მწერალი სიხარულით არ ხვდება იმ სოციალურ პროცესს, რასაც პრივილეგირებული ფენის გადაგვარება ჰქვია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მას მეტად გაახარებდა ის, თუ ფეოდალური არისტოკრატია შეძლებდა ბურჟუაზიულ ურთიერთობასთან შეგუებას, ცხოვრების ისეთ მოწყობას, რომ არ გამხდარიყო მსხვერპლი ვაჭრის ქისისა, თვითონ ჩაუდგებოდა სათავეში ბურჟუაზიულ განვითარებას. გ. ერისთავი „ძუნწში“ შეეცადა შეექმნა ცხოვრების უნარის მქონე არისტოკრატიის სახე არჩილის სახით, რომელიც ალექსანდრე რაინდიძის[5] ერთგვარი წინამორბედია.

გ. ერისთავის შეხედულებით, თავადაზნაურობა გადაგვარების გზაზეა, მაგრამ მისი ზნეობრივი ღირსებები, მაინც უფრო მაღალია, ვიდრე ვაჭრების. კარაპეტას მოჯამაგირე ივანიკა,[6] რომელიც ვერ იტანს თავისი პატრონის სიძუნწეს და უხასიათობას, არჩილს ეუბნება *,,ნეტავ შენთან მომკლა შენის ყურებით, სხვა რამ არის თავადიო“.* [გ. ერისთავი 2014: 167]; გ. ერისთავი არ იცავს ბატონყმურ ინსტიტუტს.

გ. ერისთავი თვითონ იყო მებატონე, მაგრამ ის ადრევე მიხვდა ბატონყმობის სისაძაგლეს და გაათავისუფლა ყმები. მწერალი ს. მგალობლიშვილი, რომელიც გ. ერისთავის გარდაცვალების გამო გორში ჩამოსულ გლეხებს შეხვდა, წერს: *,,მახსოვს სოფლიდან ჩამოსული გლეხები ტიროდნენ, დედაკაცები ხომ სულ იხოცებოდნენ ტირილითა. თურმე პოეტის ნაყმევები, იყვნენ რომელსაც ისინი ბატონყმობის გადავარდნამდე გაეთავისუფლებინა“.* [ს. მგალობლიშვილი 1939: 41] ა. წერეთელის გადმოცემით, გ.

[5] ლ. არდაზიანი ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.
[6] „ძუნწი“.

ერისთავი სწუხდა, რომ ბატონყმობის გადავარდნა მაინც არ ეწყობოდა გლეხობის სასარგებლოდ [გ. ერისთავი 1884: 9].

გ. ერისთავი თავის კომედიებში არა ერთხელ საუბრობს ბატონყმობის უსამართლობაზე. კომედია ,,გაყრაში", როცა ანდუყაფარი ისაკუთრებს ქალაქში ნაყიდ შუშებს იმის გამო, რომ მას უყიდია, პავლე ამბობს: *,,რომ იყიდე, შენი პენციიდგან მიე თუ? კახიშვილი რომ აიკელ იმითი არ წახველ ქალაქსა, შე გაუმაძღარო?".* [თ. გოგოლაძე 2014: 149] მწერალი გვიჩვენებს, რომ ასეთი აკლების შემთხვევები იშვიათი არ იყო. ამას მოწმობს ყარდაშვერდის დიალოგი გაბრიელთან. ყარდაშვერდი გაბრიელს ურჩევს მოურავობა სთხოვოს თავის ბატონს, ვინაიდან მოურავი მონახევრეა ბატონის: *„ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისია, ერთი სიტყვით, ბატონის მონახევრე არი"* [გ. ერისთავი 2014: 151] ამბობს ყარდაშვერდი. ეს უკანასკნელი შემთხვევით არ მსჯელობს ასე, ის უშუალო მოწმეა ყოველივე ამის. ასეთივე გამოცდილება აქვს ანდუყაფარის მოურავს ბარამსაც, რომლიც თავის ბატონს ურჩევს გაწეროს ფული გლეხობაზე და აღებული ფულით სასამართლო მოქრთამოს და სხვა. ამგვარად გიორგი ერისთავის კომედიებში პირველად ვხვდებით ბატონყმური ინსტიტუტის კრიტიკას.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ერისთავმა მთელი შესაძლებლობებით გადაგვიშალა ვაჭართა კლასის უარყოფითი მხარეები, მაინც აშკარად გამოჩნდა, რომ მომავალი ცხოვრების საჭე მათ ხელში იყო. გ. ერისთავის ვაჭრები ცბიერები, ძუნწი და გაუტანლები არიან, მაგრამ სწორად უღებენ ალღოს ცხოვრებას. მათში ჭარბად არის მოქმედების უნარი, იციან ფულის ძალა და ფულის დაგროვებისთვის საჭირო ხერხები. მართალია „გაყრასა" და „ძუნწში" ჩვენ წინ დგანან პირველი დამგროვებლები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ მოქმედების ფართო ასპარეზის შექმნას, მაგრამ გ. ერისთავი გვიხატავს აქტიურად მოქმდ ვაჭრებს, რომლებიც ფულის ფართო მიმოქცევას აწარმოებენ. როგორც ლიტერატურათ მცოდნე გ ჯიბლაძე აღნიშნავს *,,ამ კომედიის ანალიზი გვიმტკიცებს, რომ იგი წარმოადგენს სპეციფიკურად ახალი სტადიას ქართველი მოლიერის შემოქმედებაში".* [გ.ჯიბლაძე194: 160-

161] რეალისტურ ფერებში დაგვიხატა გ. ერითავმა მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეთა და მებატონის მსახურთა სახეებიც.

ცნობილი მოღვაწე და მოაზროვნე პლ. იოსელიანი, რომელმაც „გაყრის“ პირველი გამოცემისთვის, დაწერა წინასიტყვაობა, საგანგებოდ აღნიშნავს: *”... მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა, და მცირეთა სხუათა, არა იყო ჩვეულებითისა საუბრისა ენითა, რომელიც არის უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. ამწერამან ამა პირველისა ქართულ ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათვის. სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთივე მიიღო ღირსება, რომლისთვისცა ეკვირვებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინს, პლავტსა, ტერენციოსს, მენანდრსა და სხვათა. მაქვს იმედი, რომ ესრეთა ჩემგან ახლისა გვარისა მწერლობისა მოწონებას არვინ მიიღებს პირმოთმინებით თქმულად და თვითეული კეთილ-გამზრახი ქართველი სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხვანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა“* [“ცისკარი”, 1864, № 9].

ამდენად პლ. იოსელიანმა გიორგი ერისთავის ენა შეაფასა, როგორც ენა „ახლისა გვარისა მწერლობისათვის”. ხოლო ეს „ახალი გვარი“ იყო კომედია. ის სხვებსაც მოუწოდებს მიჰყვნენ გ. ერისთავის მაგალითს, დაწერონ კომედიები. პლ. იოსელიანის მოწოდებამ ააღელვა ალ. ორბელიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ გ. ერისთავის გმირები ლაპარაკობენ ისე, როგორც მეტყველებენ ცხოვრებაში. მაშასადამე, გ. ერისთავს *”სხვა ქართული არა დაუბადებია რა მწერლობისათვის, ის ქართული იმათი საკუთარი ყოფილაო”*[13]. [ალ. ორბელიანი, 1857. № 9].

გ. ერისთავის კომედიების ენა, ცხადია, არ შეიძლება მივიჩნიოთ ახალ სალიტერატურო ენად, რომლის საბოლოო ჩამოყალიბება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და მათი თანამებრძოლების სახელებთანაა დაკავშირებული. მაგრამ ის არის გარკვეული ეტაპი ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლის გზაზე. მან შეარყია არქაული სამწერლობო ენის ავტორიტეტი. გ. ერისთავის კომედიების ენის ნაკლი მდგომარეობს

დიალექტიზმებისა და ჟარგონების ჭარბ გამოყენებაში. მას არა ჰყავს ისეთი პერსონაჟი, რომლის მეტყველება, თვით მწერლის შეხედულებითაც, გამართული და გამართლებული იყოს. ის არც ამ მხრივ გაძლევს დადებით გმირს. მაგრამ გ. ერისთავის დამსახურება ისაა, რომ იგი ერთნაირი შეუბრალებლობით დასცინის როგორც არქაული ენით მეტყველთ, ასევე ,,ჩარჩული ჟარგონით", დიალექტიზმებითა და ბარბარიზმებით დამძიმებული ენით მოსაუბრეებს.

გ. ერისთავის შემოქმედებაში ყოველთვის იმარჯვებს რეალიზმი, რომელსაც ადგილს უთმობს ხოლმე ავტორის პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მისი რეალიზმის ცხოველმყოფელობა, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ ის თანამედროვე საზოგადოებას ასახავს. გ. ერისთავის კომედიების გმირთა პროტოტიპები მწერლის ახლო ნაცნობი ადამიანებია. გ. თუმანიშვილის ცნობით: ,,ძველ კაცებს კარგად ახსოვდათ, თუ ვინ იყო გამოყვანილი გ. ერისთავი კომედებში ამა თუ იმ გმირი სახით. მისივე თქმით გაყრაში მწერალს გამოყვანილი ჰყავს თავისი თავი და ნათესავ-ნაცნობები". [გაზ. ,,თემი". 1912 წ. N-58];

კომედია მტკიცედ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ის მიისწრაფვის ასახოს სინამდვილე, საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტული მოვლენები. ნამდვილი კომედია მთელი თავისი მხატვრული სახეებით საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებური მხატვრული სურათია. გიორგი ერისთავის კომედიებიც უმთავრესად ამ პრინციპზეა აგებული. მათ საფუძვლად პრაქტიკული სოციალური ინტერესი უდევთ. ოფიციალური სახე ქართულმა რეალიზმმა გ. ერისთავის კომედიებში მიიღო- XIX საუკუნის 50-იან წლებში.

გ. ერისთავი გრძნობს, რომ სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ქართველ მემამულეთა ცხოვრებას ეკონომიკური საფუძვლები ეცლება. ამიტომ არის, რომ ქართველ მებატონეთა სახლ-კარს კომედიის დასაწყისში ასე აღგვიწერს: *„ოთახი გაულესავი, ფანჯარა, რომელიმე ქაღალდგადაკრული. ცალგვერდზე დგას ტახტი... ანდუყაფარი ზის ტახტზე. მუთაქა უძევს კალთაში, ორის ხელით არის დაბჯენილი მუთაქაზე"*

[გ.ერისთავი 2014: 131]. ამ აღწერილობის შედეგი ასეთია, თითქოს ეს სახლი ღარიბი ადამიანის თავშესაფარს წარმოადგენს, სინამდვილეში კი, ის ეკუთვნის თავად დიდებულიძეებს, რომელთაც ცხრაასი კომლი ყმა ჰყავდათ.

გ. ერისთავმა, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, ასახა ეკონომიურად დაცემის გზაზე დამდგარი მაღალი წოდების ბედოვლათობა, გონებრივი შეზღუდულობა და ზნეობრივი სიღატაკე. მან პირველმა შეამჩნია, რომ XIX საუკუნის 50-იანი წლებისთვის ქართველმა თავადაზნაურობამ დაკარგა ცხოვრების უნარი, ალღო ვერ აუღო ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ავადმყოფურად ჩაეჭიდა ძველ პატრიარქალურ სამყაროს და ამაოდ შეეცადა მის შენარჩუნებას.

გ. ერისთავის რეალისტურმა ალღომ განჭვრიტა, რომ ჩამორჩენილ ნატურალურ მეურნეობაზე და მის მოტრფიალეთა ბრწყინვალებაზე ლაპარაკი თავისთავად ჩამორჩენილობას ნიშნავდა. მის თანამედროვე მოღვაწეთაგან განსხვავებით, გ. ერისთავმა თვალი გაუსწორა სინამდვილეს, დარწმუნდა, რომ წარსულზე ტირილი, წინაპართა აჩრდილების წინაშე ქედის მოხრა არაფერს იძლეოდა; მან დრომოჭმულსა და ჩამორჩენილს შელამაზება კი არ დაუწყო, არამედ ნამდვილი სახელი უწოდა და რეალისტურ სახეებში ასახა მთელი მისი ავლადიდება.

ეკონომიკური სივიწროვის საფუძველზე თავად-აზნაურთა ბანაკში წარმოიშვა განხეთქილება, უთანხმოება და შური. მაღალი წოდების წარმომადგენლები უფრო იოლად ახერხებდნენ ერთმანეთის დაღუპვას, ვიდრე ნამდვილ მტერთა შებრძოლებას. ქართველი თავადაზნაურობა მეტად მთვლემარე მდგომარეობაში შეხვდა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების დასაწყისს.

გ. ერისთავი გვიჩვენებს, რომ თავად-აზნაურთა ძველი თაობის ერთი ნაწილი, რომლისთვისაც გაუგებარია ახალი ეკონომიური პროცესი, ხედავს მდგომარეობის გაუარესებას, ყოველ ღონეს ხმარობს ხელიდან არ გაუშვას მამული; არ ერიდება სიცრუეს, წაგლეჯას, ოღონდ ხელთ იგდოს რაიმე. ამ გაბოროტებული და დაბნეული წოდების წარმომადგენლები ცდილობდნენ თავიანთი პირადი ინტერესებისთვის გამოიყენონ

ბიუროკრატიული აპარატის გაიძვერა და გაქნილი მოხელეებიც, რათა ერთმა მეორის ხარჯზე გაიუმჯობესოს მდგომარეობა. ავადმყოფურ პატივმოყვარეობასა და მტრობას მეტი სისწრაფით მიჰყავს ისინი ისტორიის დაღმართისაკენ.

ასეთებია: ამირინდო და ონოფრე[7]. ეს ორი ზვიადი თავადი სიმდიდრეს უანგარიშოდ ხარჯავს მექრთამე მოხელეებთან ერთი უმნიშვნელო ადგილის - ჩალიანის დასანარჩუნებლად. ამ ვაჟბატონებმა იციან, რომ დავაში უფრო მეტი ეხარჯებათ, ვიდრე ეს სადავო ადგილი ღირს, მაგრამ არც ერთი არ თმობს. ეს უნდათ სასამართლოს მოხელეებსაც. ისინი ერთსა და იმავე დროს, ორივესგან იღებენ ქრთამს და ხან ერთს, ხან მეორეს აკუთვნებენ ჩალიანს, რათა დავა არ დასრულდეს.

თავის ბედნიერებას ამირინდო იმაში ხედავს, რომ სასამართლოს მოხელეები თავის მხარეზე ჰყავდეს, თანაც იმაზე ოცნებობს, თუ როდის დაბრუნდება პეტერბურგიდან ნასწავლი შვილი, რომელიც პოეტი ყოფილა, რომ არზები დაუწეროს. მან არ იცის, რას ნიშნავს პოეტობა, მაგრამ ფიქრობს, ბევრი კანონების ცოდნას უნდა გულისხმობდეს.

ამირინდომ იცის, რომ ,,კალამი ხმალი გახდა“ – ,,,ერთ ასოს დაბღაჯვენ და დარჩა მშიერი“. ამიტომ შვილი მეტად ვერაფრით გაახარებს, თუ არა არზების წერით. მაგრამ აქაც უღალატა ბედმა ამირინდოს. მის მიერ მიცემულ არზის ქაღალდზე ბეგლარმა ლექსი დაწერა, ის კვლავ ცბიერ სარქისისა და რაფიელის ხელში დარჩა. ისინიც კარგად პარსავენ ამ ,,მსუქან ცხვარს“ და თითო ,,ტოჩკასა და ზაპეტაიაში“ თითო ოქროს ართმევენ. ამირინდომ არ იცის, რას ნიშნავს ,,ტოჩკა და ზაპეტაია“, მას ჰგონია, ესაა კანონების მთელი არსი.

ამირინდოს ორეულია მისი მოდავე ონოფრეც, რომელსაც ,,ქალაქის სასამართლოს ფულები” გამოლევია, მაგრამ თავს მაინც არ ანებებს საჩივარს. ის გამწარებული დარდობს ჩალიანზე. შვილს – მიხეილს, ნაღვლიანად ეუბნება: *,,წამართო, წამართო! რა ვქნა, ერთი სისხლს მაინც მოვახდენ და...”.* [გ. ერისთავი 2014: 123]. მას ადარდებს არა ჩალიანი, არამედ ის, რომ ამირინდომ აჯობა. როდესაც გაიგებს, სადავო ადგილებს ,,სახელმწიფოდ

[7] ,,დავა“

დასდებენო”, სიამოვნებით იტყვის ,,რა მენაღვლება... დეე, დასდვან, ჩემ მოსისხლეს ხომ არ დარჩება...”.[გ. ერისთავი 2014:126].

ძველი თაობის მეორე ნაწილს დავისა და მოქმედების უნარიც აღარ აქვს, მისთვის წარმოუდგენელია პატრიარქალური ოჯახის დარღვევა და შეცვლა. ის გრძნობს ახალი ცხოვრების დაწოლას, აღსასრულის მოახლოებას, მაგრამ არ იცის რა გზას დაადგეს. მას არ შესწევს უნარი საკუთარ ეზოს გარეთ გავიდეს და რაიმე საშუალებას მიმართოს, უიმედოდ მწუხარებს თავის სავალალო მდგომარეობაზე და საკუთარ სახლში, ძმებთან იჩენს მხოლოდ „ვაუკაცობას”. ტიპიური სახე ასეთი ჩამორჩენილი და გაუნათლებელი თავადისა გ. ერისთავმა დაგვიხატა ანდუყაფარ დიდებულიძის სახით[8].

ანდუყაფარის მთელი ტრაგედია იმაშია, რომ გაყრას უპირებს, თერგდალეული ძმა – რუსეთში სწავლამიღებული ივანე; მას აწუხებს იმის შეგნება, რომ არ ძალუძს ხელი ააღებინოს ივანეს, თავის გადაწყვეტილებაზე. მამაპისეული ოჯახის გაყოფა – დანაწილება ანდუყაფარს სამარცხვინოდ ეჩვენება, განადგურების და დაცემის სიმბოლოდ ეხატება. ამიტომაცაა უიმედოდ რომ მოთქვამს:

,,ჰეი ოჯახო, კარგო ოჯახო,

შემდგომ გაყრისა ვის დავენახო!

ახ, ვეღარ დავცემ კარავსა მკაში,

უნდა ვიმალო მე მამითადში! “. [გ. ერისთავი 2014:132]

ანდუყაფარის ეს მონოლოგი დაშლის გზაზე დამდგარი ძველი ფეოდალური ოჯახის გამოტირებაა. ანდუყაფარს ბანს აძლევს ძველი თაობის წარმომადგენლების ამირინდოსა და ონოფრეს მოთქმა და დაბნეულობა. როგორც ანდუყაფარი, ამირინდოც გრძნობს, რომ რაღაც თავისებური, ახლებური ხდება მათ ხავსმოკიდებულ ცხოვრებაში: *,,რით ვერ შეიტყვე ამბობს-კალამი ხმლად გაგვიკეთდა. ერთ ასოს დაჯღაბნიან და დარჩი მშიერი! ეი, ეი, ჩაიშალა ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში!“.* [გ. ერისთავი 2014: 99]

[8] ,,გაყრა“

ხოლო ძუნწში თავადი არჩილი ძველი რაინდული საქართველოს ძლევამოსილების სიმბოლოზე, ახლა კი ახალი ცხოვრების მსვლელობისგან ჟანგმოკიდებულ ხმალზე, განცვფრებული ამბობს:

,,ამას რას ვხედავ? ხმალი ჩემი პაპაჩემის ავთანდილისა!

ოხ, მამავ, რარიგად გმადლობთ!

შენ გხედავ, ხმალო პაპისა ჩემის.

ჩემგან შეჭედვა და მორთვა გშვენის!

შენით არ იყო ავთანდილ გმირი

ამარცხის სპანი? ვითა საყვირი

მეორედ მოსვლის მათ დასცეს ზარი. "[გ. ერისთავი2014: 186]

ძველი თაობა ფეოდალური საქართველოს მხარეზე დგას. ესენი გრძნობენ, რომ მისი საძირკველი ირყევა, რომ რაღაც ახალი ხდება ცხოვრებაში. რით უპასუხებენ ახალი ცხოვრების შემოტევას? თავადაზნაურობის ამ ფენამ, არა მარტო ეკონომიკურად დაიწყო დაცემა, არამედ გონებრივადაც ჩამორჩა ცხოვრებას. ამირინდო გაოცებული ამბობს: *,,საკვირველი რამ არის ფულით ცემა. ერთხელ, ყაწვილო, ქრთამი მთხოვა საქმეზედ ერთმა სულიერმა, სახელს ვერ ვიტყვი. ჩავყარე გრძელ პარკში ათი თუმანი, შევიმწყვდიე ოთახში, ამდენი ვცემე, ვცემე რომ წაიქცა გულშეყრილი. ბოლოს ადგა კვნესით, ის ფული ჯჯიბეში ჩავუწყვე. მე მეგონა მიჩივლებს მეთქი, მამათქვენი არ წამიწყდეს, დიდი მადლობა მითხრა, საქმეც გამიკეთა და მეგობარი შეიქმნა. ნეტავი არ გამოეცვალათ"* [გ. ერისთავი 2014: 83].

ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, ქართველი ახალგაზრდები განათლებას რუსეთში იღებდნენ. გ. ერისთავი თავის კომედიებში „გაყრა", „დავა", ცდილობს მოგვცეს ,,განსწავლული" ახალი თაობის სახე. ამ ახალგაზრდობის წარმომადგენელია ,,გაყრაში" ივანე დიდებულიძე, ხოლო ,,დავაში" ბეგლარი და მიხეილი. ესენი კომედიებში ცნობილი არიან როგორც ,,რუსეთუმეები", ,,თერგდალეულები". ძნელი არ არის დავინახოთ ვითომ განათლებული, მეოცნებე, უსაქმო და ამპარტავანი ახალგაზრდის სახე. შესაძლოა ვიფიქროთ რომ ეს ვითომ განათლებული თაობა ებღაუჭება ახალს, მაგრამ მათ არ შესწევთ

ძალ-ღონე იბრძოლონ სიახლითვის. რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ბეგლარი თავის მონოლოგში ამბობს:

,,დღეს ვგევარ აწ მე ახალშობილსა,

ვხედავ რა სახლსა ჩემის მშობლისა,

დღეს ვიწყებ ახლა სოფლის ცხოვრებას

და მისთა ვნებათ ზღვის მღელვარებას,

უნდა ვიბრძოლო,ღელვაში ნავით,

ვუსვა ნიჩაბი სუსტისა მკლავით"[გ. ერისთავი 2014: 85].

ბეგლარი აპირებს ცხოვრების ფერხულში ჩაბმას. მას ეეჭვება, რომ თავისი სუსტი მკლავით შეძლეს ცხოვრების გზის გაკაფვას.

,,ახალი თაობის" წარმომადგენლებს შორის შედარებით უფრო სრულყოფილი ივანეა. მას, როგორც ყოველ უცოდინარს, რომელსაც სურს განათლებული ადამიანი იყოს, დიდი წარმოდგენა აქვს თავის ,,ევროპულ" განათლებაზე. ის ვარშავაში სწავლობდა „აგრონომიას" და ცდილობს მისი შემწეობით თავდაყირა დააყენოს ძველი ქართული ფეოდალური მეურნეობა.

ივანე დასცინის ქართულს, ნაციონალურს; *,,სახლები არ ვარგა", ,,ქართული ღვინო ეტო გლუპოსტ", საქართველოში რომანი არ იციან".*[გ. ერისთავი 2014:134] წუნობს ქართული მეურნეობის წესებს და სხვა. სინამდვილეში კი რა შეუძლია ივანეს? განა მას აქვს ძალა ქართული ფეოდალური ოჯახის მეურენობა ახალ ყაიდაზე გარდაქმნას? ივანეს, ცხადია, ამის უნარი არ შესწევს. მისი ნაკლი პირველყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ესმის საქართველოს მეურნეობა, არ იცის რა ასწავლეს ვარშავაში და როგორ უნდა გამოიყენოს საქართველოს პირობებში.

საქართველოს ცხოვრებაში შემოიჭრა ახალი სოციალური ძალა, ახალი გაგებით, ახალი ზნით და ჩვეულებებით. ცხოვრების ასპარეზს იპყრობს ფული. გ. ერისთავმა კომედიებში ახალფეხადგმული ჩარჩ-ვაჭრები წარმოდგენილი არიან მიკირტუმ ტრადადოვის ,,გაყრა", კარაპეტა დაბაღოვის ,,ძუნწი", მარტირუზა რიბნიკოვის ,,უჩინმაჩინის ქუდი", ივანე მინასოვი

,,წარსული დროის სურათები“. ვაჭრები ამ დროს უმთავრესად დაბალი სოციალური ფენიდან გამოდიოდნენ. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ფენა, ვაჭართა კლასი, წინააღმდეგ ფეოდალური არისტოკრატიისა, ქართული სინამდვილისა და ვითარების მცოდნეა. რა გზით, რა საშუალებით იკაფავს გზას, ახალფეხადგმული ბურჟუაზია ცხოვრების სათავეებისკენ? ის, რაც ქართველი თავადაზნაურობის ბატონობის დასაყრდენი იყო, ხმალი და მკლავი, მხოლოდ სიცილს ჰგვრის კარაპეტა დაბაღოვს. არჩილის სიხარული თავისი მამა-პაპის ხმლის დანახვაზე კარაპეტას დაცინვას იწვევს. ის ახალი ცხოვრების ავანსცენიდან ირონიულად გაიძახის: *,,ხედამთ, ჟანგიან რკინაზედ რასა ბოდამს, ჩემი ოქროებს თვალი არ უყურა“.* [გ. ერისთავი 2014: 138]

კარაპეტამ არ იცის რა არის ან რისთვისაა ცხოვრებაში საჭირო დამბაჩა, რომელიც მას ერთმა თავადის მსახურმა მოუტანა დასაგირავებლად. კარაპეტა დამბაჩას ისე უყურებს, როგორც უბრალო რკინას. მსახურის მიერ დასაგირავებელი დამბაჩიდან მხოლოდ ვერცხლი ხიბლავს, რადგან ამჩნევს რომ ცხოვრებაში წამყვანი ძალა იარაღს კი არა, არამედ ვერცხლს და ოქროს ეკუთვნის.

საშუალებები, რომლებითაც ეს ახალფეხადგმული ბურჟუაზია გზას იკაფავს სიმდიდრის პირველი დაგროვებისკენ, არაა პატიოსნური და წესიერი. მიკირტუმა პირადაპირ ეუბნება ივანეს:

,,კტუ ნა სვეტე ჩესნა ბუდით,

ბუდით ნასიტ ხლება გუდით!“[გ. ერისთავი 2014: 141]

მართლაც ამ ახლად აღმოცენებულ ვაჭრებს ახასიათებს ცბიერება, მოტყუება, მკაცრი ანგარიში, სიძუნწე, გაუტანლობა და სხვა. ამ გზით ახდენენ კაპიტალის პირველად დაგროვებას.

მიკირტუმა თაგვივით შემძვრალა დიდებულიძეების ოჯახში და როგორც ჩარჩი, პროცენტების გადახდით ღრღნის მათი ოჯახის საძირკველებს. მსგავს სიტუაციას ვაწყდებთ ძუნწშიც, სადაც იკვეთება იმ პერიოდში დამახასიათებელი ბურჟუაზიული მკაცრი ანგარიშსწორება. არჩილს სურ კარაპეტას ხორბალი უთავაზოს, კარაპეტა კი ასეთი

ანგარიშით უპასუხებს თავად არჩილს: *,,არა კნიაზ, ყველამ თავისი ჩოტკი აქვს, ესეიგი ანგარიში, პურს დაფქვა უნდა, მერე გაცრა, მერე თბილი წყალი, მერე მოზელა, მერე გუნდა, მერე თხელება, თორნე. თორნეში ფიჩხი, მერე ჩაკვრა, მერე ამოკვრა, მერე მარანში ჩაშვება...“*[გ. ერისთავი 2014: 175].

კარაპეტას ასეთი მეწვრილმანი ანგარიშიანობა, რომელიც ისტორიულად დამახასიათებელი იყო ახალაღმოცენებული ბურჟუაზიისათვის სიძუნწეში გადადის. ავტორი კარაპეტას ხასიათის გაშლით ცდილობს მოგვცეს სიძუნწეს სახე. კარაპეტა დაბაღოვი ვაჭართა კლასის აღმოცენების პერიოში შექმნილი სახეა სიძუნწია. მას ახასიათებს გამდიდრების წყურვული და სიძუნწე ისე, რომ დაავადებამდეა მისული. კარაპეტა ,,ყოვლის შემძლებელი ძალის-ოქროს წინაშე სულ სხანაირია, ამქვეყნურ ცხოვრების რეალურ ყოფას სცილდება ,,გიჟივით იცინის“ და რაღაც თავდავიწყებაში გადადის. კარაპეტასთვის ფული ყველაფერია: *,,ჩემი ცოლი შენა ხარ!“ ჩემი შვილი შენა ხარ“ ასე გაგიფრთხილდე, თუ თქვენ ერთმანეთს მოგაკლოთ ღორი გავხდე!“.* [გ. ერისთავი 2014:170-171]

წინააღმდეგობას ვაწყდებით ახალფეხადგმულ ბურჟუაზიის შიგნითაც. ვაჭრებს შორის კონკურენცია არსებობს. მარტირუზა იმუქრება, რომ ფარღათოვი მალე გაკოტრდება და მის ქონებას საჯარო ვაჭრობაში თვითონ ჩაიგდებს ხელში.

გაყრის შემდეგ ის ვეღარ ნახავს ,,სამასი ნამგლის ტრიალსა”, “ზვარიც უნდა გაუყონ”; ესეც არაფერი, მაგრამ თერგდალეული ძმა *,,ზვარში აპირებს ვაზების დაჭრას და ვაზების წილ თუთების ჩაყრას“.* [გ. ერისთავი 2014: 132] ანდუყაფარს არც ბარამის რჩევა მოსდის ჭკუაში. ბარამის რჩევით, საკმარისია ანდუყაფარმა გლეხებისგან აკრიფოს ოთხასიოდე თუმანი, ამ ფულით მოისყიდოს სასამართლო და გაყრაზე უარი უთხრან ივანეს. მაგრამ ანდუყაფარი გრძნობს, რომ დღეს თუ არა, ხვალ ივანე მაინც თავისას გაიტანს. *“ვთქვათ, ორი წელიწადი არ გაგვყარეს, – ეუბნება ბარამს ანდუყაფარი, – მერე ხომ უნდა გაგვყარონ”*.[გ. ერისთავი 2014:134]; *,,ფული რომ დაგჭირდებათ უნდა ეხვეწნეთ კაკოვო ნიბუდ მიკირტიჩ გასპარიჩ!“.* [გ. ერისთავი 2014: 135]; აი, საკუთარი სისუსტის შეგრძნების მაგალითი. ანდუყაფარს აკვირვებს

ივანეს ქცევა და გეგმები: *“არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში, იწამლებიან თუ რა არის. ბიჭო, რასაკვირველია, მოზდოკს მეც ვიყავ, მაგრამ კი არ გავგიჟებულვარ”.* [გ. ერისთავი 2014: 135]

ეს “სახელოვანი მოგზაური”, რომელსაც მოზდოკამდე მიუღწევია, მორალურად ისე დაცემულა, რომ მზადაა ერთი მუთაქისათვის საკუთარი ძმა სასიკვდილოდ გაიმეტოს, ხოლო მინებს ფეხით ამტვრევს, ძმებმა რომ არ ისარგებლონ. ამასთანავე, იგი ახერხებს მთელი ვალები გადასახდელად დააკისროს ივანეს, რომელიც შედარებით გულუბრყვილობას იჩენს გაყრის დროს. გმირთა ასეთი წვრილმანი მოქმედების ჩვენებით მწერალი დიდ სოციალურ მოვლენებში ახედებს მკითხველს. ძველი თაობის გალერეას ავსებს პავლე დიდებულიძე. პავლეს სახით გ. ერისთავმა შექმნა მეტად ცოცხალი ხასიათი უდარდელი თავადისა, რომელიც ანგარიშს არ უწევს, არც თავის მდგომარეობასა და არც საერთო სიტუაციას. მას ჰგონია, რომ ყოველთვის ისე იცხოვრებს, როგორც ცხოვრობს, სადარდებელი სხვა არაფერი აქვს, თუ არა მწევარ – მეძებრები, რომელთა დანახვაც კი მთელ საცხოვრებელს ურჩევნია. ოჯახის მოვლა მას ენაგარეცხილი და მოხერხებული ცოლისათვის მიუნდვია, თვითონ კი სანადიროდ დაიარება ქორ-მეძებრებით.

პავლე ყველაზე უფრო დასრულებული და ცოცხალი სახეა იმ თავადთაგან, რომლებიც გ. ერისთავს გამოყვანილი ჰყავს თავის კომედიებში. მოხერხებულადაა დახატული აგრეთვე ცბიერი კნეინას ტიპი – მაკრინე. ის სულ რამდენჯერმე გამოჩნდება სცენაზე, მაგრამ არ შეიძლება დაგვავიწყდეს მისი გაიძვერა სახე. პავლეს მისამართით წამოსროლილი მისი რეპლიკები სრულ წარმოდგენას გვაძლევას გაღარიბებულ და ენაგარეცხილ კნეინაზე. ფუქსავატობითა და გონების „სიმდიდრით“ პავლეს ჩამოჰგავს იმერელი აზნაური ლომინ გოდაბრელიძეც „დავა“. ლომინი ქარაფშუტა და უვიცია. მას თბილისი უნახავს და გაოცებულია ქალაქური ცხოვრებით, ყველაფერი უცნაურად გაზვიადებულად მოსჩვენებია. ეს ბრიყვი აზნაური იმისთვის წვალობს და ხარჯავს ფულს, რომ სასამართლომ მეოთხე ცოლის შერთვის ნება დართოს. ლომინის სახით, გ. ერისთავმა წარმოგვიდგინა ,,შემოდგომის აზნაურების” წინამორბედი.

გ. ერისთავმა თანამედროვეთ უჩვენა, რომ თავად-აზნაურთა ძველი თაობა დაცემის გზაზეა დამდგარი, მისი სასიცოცხლო ძალები ამოწურულია, მას უნარი არ შესწევს ბურჟუაზიული ურთიერთობის შესაბამისად წარმართოს თავისი ცხოვრება. როგორიცაა ახალი თაობა-შვილები? კომედია „შეშლილში“, ახალი თაობა უფრო მაღალ მორალურ ღირსებებს ამჟღავნებს, ვიდრე ძველი, მაგრამ არც მას შესწევს უნარი, ხელი ჩასჭიდოს ცხოვრების სადავეს.

„დავაში” ახალი თაობა წარმოდგენილია მიხეილის და ბეგლარის სახით. ეს უკანასკნელი ,,შეშლილის” გმირის – ბეგლარის განმეორებაა, მისი ორეულია, მაგრამ მცირედ განსხვავებულ ვითარებაში მოხვედრილი. პეტერბურგიდან სოფელში დაბრუნებული ბეგლარი “დავა” თავის თავს ,,ახალშობილს” ადარებს და სწუხს, ვაითუ ვერ შეძლოს ,,უსვას ნიჩაბი სუსტისა მკლავით” და ვერ გაუძლოს ,,ზღვის მღელვარებას”. ის სკეპტიკურად არის განწყობილი საკუთარი მომავლისადმი:

,,იქნება ბედმან, თვალით ვერ მხედმან,

უდროთ მოსთვალოს ჩემი ცხოვრება?

იქნება ერთა, გონების მტერთა,

მოსწამლონ ჩემი ნიჭიერება? „[გ. ერისთავი 2014: 85]

არც მისი ძველი ამხანაგი მიხეილი უწინასწარმეტყველებს უკეთესს. მიხეილი ადრევე გრძნობს, რომ ბეგლარის პოეტურ ბუნებას მოსწამლავენ: *,,შენ ხომ პოეზიაზე ხელს არ აიღებ, პოეტებს დიდ ქვეყანაშიაც სულელებს ეძახიან, შენ აქ დაღუპული ხარ, მესტვირეს დაგიძახებენო”.* [გ. ერისთავი 2014: 87]

მიხეილი თითქოს უფრო პრაქტიკული ადამიანია, მას სამხედრო სამსახური აურჩევია, რადგან, მისი თქმით, მეტ მხიარულებასა და უდარდელობას გრძნობს იქ კაცი. ბეგლარს იმის იმედი აქვს, რომ „სამასხარაოს არასა იქმს” მაგრამ ჩვენი კომედიოგრაფი მკითხველს და მაყურებელს აგრძნობინებს, რომ არ კმარა იყო ბუნებით კეთილი, ნიჭით დაჯილდოებული, და არც ის, რომ „სამასხარაო არა ქნა რა“. საჭიროა მტკიცე ნებისყოფა, მოქმედებისა და

ბრძოლის უნარი. ეს უკანასკნელი თვისება კი გ. ერისთავის კომედიაში დახატულ ახალგაზრდებს აკლიათ.

ბეგლარი და მიხეილი სისულელედ თვლიან მათი მშობლების ერთმანეთთან მტრობას, მაგრამ მთელი სიღრმით ვერ წვდებიან ამ მტრობის სოციალურ ძირებს. ბეგლარის სიტყვით, მათი ასეთი მტრობის მიზეზი გაუნათლებლობაა. დარწმუნებულია, რომ ახალი თაობის წარმომადგენლებს შორის ასეთი რამ არ განმეორდება: *,,ვვონებ დამერწმუნებით – ამბობს ბეგლარი, – მე და მიხეილს არ მოგვივა ჩხუბი და არც საჩივარი ერთმანეთზედაო".* [გ. ერისთავი 2014: 90]. ბეგლარი, რა თქმა უნდა, ცდება. მხოლოდ გაუნათლებლობა არ იყო მიზეზი ძველ თაობაში გაბატონებული მტრობისა, ეს მხოლოდ ერთი მომენტი შეიძლება ყოფილიყო; მთავარი მიზეზი ეკონომიკური პირობების გაუარესებაში, ბატონყმური ინსტიტუტის რღვევაში მდგომარეობდა. განათლებული, მაგრამ ცხოვრების უცოდინარი და უნებისყოფო შვილები (ბეგლარი, მიხეილი) მალე მამების ბრმა მორჩილნი ხდებიან. მათ, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, სასამართლოს უვიც მოხელეებთან ქრთამები მოაქვთ და ერთმანეთს თავაზიანად უთმობენ რიგს მის გადასაცემად. აი, სად გამომჟღავნდა მათი სისუსტე, უხერხულობა და, თუ გნებავთ, ქარაფშუტობაც; იციან, რომ სისულელეს ჩადიან, რომ ორივე ერთი და იმავე საქმისთვის იხდიან ქრთამს და შედეგიც არ აწუხებთ, მაგრამ მაინც ასრულებენ მშობლების დავალებას.

მიუხედავად ამისა, „შეშლილი" და „დავა" აშკარად გვარწმუნებს, რომ ახალი თაობის წარმომადგენლები მოუმზადებელნი არიან ცხოვრებისათვის. მეტ დროს ოცნებას ანდომებენ, ვინემ საქმეს. საკმარისია მცირე დაბრკოლება და წინააღმდეგობა, რომ ისინი დაიბნენ ან დათმობაზე წავიდნენ. ახალი თაობის უსუსურობა და მისი მოუმზადებლობა პრაქტიკული ცხოვრებისათვის მეტი სიცხადით „გაყრაში" გვიჩვენა ავტორმა.

ივანე „გაყრა" უფრო კომიკური სახეა, ის ოცნებობს ცხოვრების ახლებურად მოწყობაზე, ლაპარაკობს „აგრონომიაზე", „ირიგაციაზე" და „გუანოს გაკეთებაზე". ხედავს, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ სასმელად იყოს ღვინო. საჭიროა ის ფულსაც იძლეოდეს, რომ არ ეხვეწებოდე, მაგრამ რა გზით? ივანე თავის ცოდნას ვერ უფარდებს ცხოვრების ნამდვილ

მითითებებს. მას სურს ზვარში ვაზი აჩეხოს და მის ნაცვლად თუთა დარგოს, ბილიკები გააუქმოს ბაღში და გზები გააკეთოს სესეირნოდ, მოაწყოს ,,ბესედკები" და სხვა. მას სამშობლოში ბრმად გადმოაქვს რუსეთსა და პოლონეთში ნანახი და გაგონილი, რაც ანდუყაფარის სამართლიან გაკვირვებას იწვევს.

ივანეს ყოველი გეგმა ფულს საჭიროებს, ფულის შოვნის თავი კი მას არ აქვს. ივანეს არც მიკირტუმისავით მომჭირნეობა შეუძლია, არც რამაზივით ქრთამების აღება და ,,აბრუნდების" კეთება. ის თვითონ აცხადებს: *,,მე სამსახურის თავი არა მაქვს", ,,მე მინდა ვიხაზეინო"* [გ. ერისთავი 2014:142], მაგრამ ,,ხაზეინობას" ივანე ვერ ახერხებს, ვინაიდან ძველი სიმდიდრე – მამული, ხელიდან ეცლება, ხოლო ფულის შოვნა არ შეუძლია. მშვენიერი სურათია ,,გაყრის" მესამე მოქმედებაში, როცა მწერალი ერთმანეთს ახვედრებს ძმებთან გაყრილ მეოცნებე ივანეს და გაქნილ მევახშეს – მიკირტუმ გასპარიჩს, რომელიც პირველის ფანტაზიას იდეალური მეურნეობის მოწყობის შესახებ ვაჭრული პრაქტიციზმით აფასებს და ყველაფრის საზომად ფულს აცხადებს. ივანე გულმოკლული ჩაილაპარაკებს: *,,მოვიდა სატანა, მოსწამლა ჩემი ფანტაზია...".* [გ. ერისთავი] 2014: 154]

დიახ, ეს სატანა იყო ახალი ცხოვრება, რომელიც მეოცნებე არისტოკრატიის ფანტაზიას სწამლავდა და არარაობად ხდიდა. მეოცნებე და თავმომწონე ივანე, რომლის შეხედულებით *"საქართველოში სიყვარულის მაგალითი არ ყოფილა! რომანიც არ დაიწერება!... რამან ბეზ ლიუბვი ეტო უჟასნო...".* [გ. ერისთავი 2014: 140]; დასცინის ქართველ ქალებს, თვითონვე უცებ წამოეგება მიკირტუმას ოქროს ანკესზე. ყოველგვარი გაცნობისა და სიყვარულის გარეშე, ფულის გულისათვის ცოლად ირთავს მიკირტუმის ქალს–შუშანას. დამცინავ ივანეს თვითონ დასცინა ცხოვრებამ. მეოცნებე თავადი, მეურნეობის ევროპულ ყაიდაზე მოწყობასა და ყმებთან კეთილგანწყობაზე ფიქრობდა, მევახშის სიძე ხდება და მორცხვად ისმენს სიდედრის – თათელას დალოცვას: *"ღმერთმა აღას შნო მოგცეს, ყაირათი და ჭკუა, აღასავით მომგები გქნას, შვილო, თუ ღირსი ვარ".* [გ. ერისთავი 2014: 158]. აი, იმდროინდელი განათლებული არისტოკრატიის ჭეშმარიტი სახე. მას მიკირტუმების შნოსა და ნიჭს უსურვებენ და ისიც იძულებულია ეს დარიგება მოკრძალებით მოისმინოს.

მიდიან რა ცხოვრების სარბიელიდან, ანახანუმი "შეშლილი", ანდუყაფარი, პავლე, ონოფრე და ამირინდო "დავა", მათ ადგილს იჭერენ არა ბეგლარი, ტასო "შეშლილი", მიხეილი, ნინო, ბეგლარი "დავა", ან ივანე "გაყრა", არამედ მიკირტუმ გასპარიჩი და მისი თანამოძმენი. თავადაზნაურთა წოდების როგორც ძველი, ისე ახალი თაობა უმწეოა ბურჟუაზიასთან ბრძოლაში; ძველ ნატურალურ მეურნეობას ოქროს კერპები ანგრევენ.

კომედიაში "ძუნწი" ავტორი შეეცადა ეჩვენებინა ფეოდალური არისტოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა და მისი ზნეობრივი უპირატესობა სავაჭრო ბურჟუაზიასთან შედარებით. არჩილი „ძუნწი" არ ჰგავს არც ბეგლარს, არც მიხეილსა და ივანეს. მას თავისი ცხოვრება ისე მოუწყვია, რომ არ აკლია "პური, ღვინო, ძროხა, ქათამი". ამიტომ ის არც ხდება ფულის მონად. მას აწუხებს მხოლოდ სატრფოს – ხამფერას სიყვარული და თუ აქაც გაიმარჯვებს, ბედნიერი იქნება ყოველმხრივ.

არჩილი, მოცილებული ,,ხმიანს ქვეყანას", უფრო სწორად, ბურჟუაზიულ ქალაქს, თავს ბედნიერად გრძნობს სოფელში, სადაც მეურნეობა, ჩანს, ურიგოდ არ აქვს მოწყობილი და შეუძლია სხვასაც დაეხმაროს პურით.

არჩილს ვერც სიყვარული აჩოქებს ვაჭრის წინაშე. მართალია, მას წინ ეღობება სასიმამრო, სომეხი ვაჭარი კარაპეტა, რომელსაც ქართველი თავადი ეჯავრება, მაგრამ არჩილი გრძნობს თავის ძალას. ის თავდაპირველად თავაზიანად ესაუბრება კარაპეტას და სთხოვს ქალს, მაგრამ, როდესაც მისგან დაცინვის მეტს ვერაფერს მოისმენს, მაშინ ის უარს იტყვის მის სიყვარულზე. ის მტკიცე ნებისყოფის მქონე არისტოკრატია, რომელსაც ვერ აშინებენ კარაპეტები. მაგრამ ბოლოს, არჩილი ხამფერას ირთავს არა ფულისათვის, არამედ ნამდვილი სიყვარულით. ამიტომ ის აღწევს მიზანს. არჩილი ალექსანდრე რაინდიძის წინამორბედიცაა. ბევრი რამაა მათში საერთო.

არჩილი რომანტიკული პიროვნებაცაა, მას სწორად არა აქვს გათვალისწინებული ახალი ცხოვრების თავისებურება. ის ხოტბას ასხამს თავის პაპის ავთანდილის – ჟანგიან ხმალს, მაგრამ ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ კარაპეტას სიტყვებით დასცინა: ,,ხედამთ ჟანგიან რკინაზედ რასა ბოდამს!... ჩემი ოქროებს თვალი არ უყურაო". [გ. ერისთავი 2014:144] გ.

ერისთავი, რომელმაც არჩილის სახით კარაპეტას დაუპირისპირა საკმაო შეძლებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე ახალგაზრდა არისტოკრატი, სინამდვილეს მაინც არ ღალატობს და მის მოქმედებას მწარე დაცინვის საგნად ხდის. ამრიგად გ. ერისთავმა დღის სინათლეზე გამოიტანა მაღალი წოდების ჩამორჩენილობა და ფუქსავატობა. მან, როგორც მხატვარმა, შექმნა ცოცხალი სახეები დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადაზნაურებისა. ის იხედება მოვლენათა სიღრმეში. მოხდენილი ამბების ჩართვით, გმირთა რეპლიკების საშუალებით, ავტორი გასაგებს ხდის, თუ რაში და სად უნდა ვეძიოთ მათი უბედურების მიზეზი.

თავად-აზნაურთა ძველი თაობა გონებაგამოფიტული და გულღვარძლიანია, ალღოს ვერ უღებს ახალ ცხოვრებას და ცხოველური სიჯიუტით ეჭიდება ყოველივე ძველს, დრომოჭმულს. ახალი თაობა ზნეობრივად უფრო მაღლა დგას, გრძნობს უფროსი თაობის სიმახინჯეს, არ მოსწონს მისი მოქმედება, მაგრამ თვითონაც არ შესწევს ცხოვრების გარდაქმნის უნარი, მეოცნებე და უხერხემლოა. ბეგლარები და ივანეები უმწეონი არიან აღადგინონ ანდუყაფარების, პავლეების, ამირინდოებისა და ონოფრეების ბედოვლათობით დაცემული მეურნეობა.

გ. ერისთავის კომედიების იდეური აზრი ისაა, რომ უარყოს ბატონყმური ცხოვრება, რომელიც ყოველგვარი ჩამორჩენილობისა და უბედურების წყაროა; მებატონეთა უზრუნველმა ცხოვრებამ გადააგვარა ანდუყაფარი, პავლე, ამირინდო და ონოფრე, ხოლო ბეგლარები და ივანეები მეოცნებე, ფუქსავატ და ზედმეტ ადამიანებად აქცია.

ახალფეხადგმული ბურჟუაზიის ცხოვრების სურათებიც ქართულ ლიტერატურაში პირველად გ. ერისთავმა მოგვცა თავის კომედიებში "გაყრა", "ძუნწი", "წარსული დროების სურათები". გ.ერისთავის კომედიებში გამოყვანილი ვაჭრები: მიკირტუმ ტრდატოვი "გაყრა", კარაპეტა დაბაღოვი "ძუნწი", ივანე და გაბრიელ მინასოვები, ჯიმშერ აკუნიანცი "წარსული დროების სურათები", – XIX საუკუნის 50-იანი წლების ვაჭართა კლასის ტიპიური წარმომადგენელები არიან.

ცნობილია, რომ სავაჭრო ბურჟუაზია განვითარების პირველი ეტაპზე "მორცხვად" და "თავაზიანად" მოქმედებს. მას ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული თავისი კლასობრივი

უპირატესობა ფეოდალურ არისტოკრატიასთან შედარებით; ანგარიშს უწევს ამ უკანასკნელის პრივილეგიებს და ცდილობს ეკონომიურ სიძლიერესთან ერთად მაღალი წოდების უფლებებიც მოიპოვოს.

ბურჟუაზიული ურთიერთობის ღვიძლი შვილები – ვაჭრები ცხოვრების ასპარეზზე ცარიელი ჯიბით გამოდიან, სამაგიეროდ მათ აქვთ ცხოვრების ალღო და მოქმედების უნარი. ისინი იტანენ შიმშილსა და სიცივეს, დაცინვასა და წყრომას, ოღონდ კაპიკი კაპიკს მიუმატონ და ,,ოქროს ტახტი" უფრო ძლიერი გახადონ. იციან, რომ მათი მხსნელი მხოლოდ ფულია, ფულის საშუალებით შეუძლიათ გამოჩნდნენ საზოგადოებაში და ადვილად აღარ დაეჩაგვრინონ სხვას. ისე დიდია მათი სიყვარული ფულისადმი და თანაც ისე დაბალია მათი ცოდნა ფულის ფართო მოხმარებისა, რომ საკუთარი ,,ზანდუკების" მონები ხდებიან. სავახშო კაპიტალის წარმომადგენელთა სულში სიძუნწე და სიცივეა დაბუდებული.

ფულის დაგროვების პროცესში მათ არ ახსოვთ არც ცოლი, არც შვილი და არც საკუთარი თავი. მაგრამ გადის დრო და მდგომარეობა იცვლება. გამდიდრებული ვაჭრები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, აღარ არგიათ ვიწრო ნაჭუჭში ყოფნა და თავის მოჩვენება ღარიბებად. პირიქით, ცდილობენ "კეთილშობილის" სახელი და მეტი გასაქანი მოიპოვონ, ერთმანეთის ქონება შთანთქან, კონკურენტი გააკოტრონ. მათ ოჯახურ ცხოვრებაში ფეხს იკიდებს ბურჟუაზიული „მაღალი ეტიკეტი", ზნედაცემულობა და მტრობა. სავაჭრო ბურჟუაზიის ცხოვრების მთელი ეს მხარე საკმარისი სისრულით აქვს მოცემული გ. ერისთავს ზემოთ დასახელებულ კომედიებში. მწერალმა ვაჭარი პირველად "გაყრაში" გამოიყვანა.

მიკირტუმ ტრდატოვი გაუნათლებელი, მაგრამ მოხერხებული და გაიძვერა მევახშეა. ის შემძვრალა დიდებულიძეთა ოჯახში და არა მარტო მათ ქონებას ეპატრონება, არამედ ახერხებს თავისი მიზნების სასარგებლოდ ამ ოჯახის მესვეურების ამოქმედებას. მიკირტუმს სწამს ფულის ძალა, იცის, რომ უფულოდ ახლა ვერავინ ვერაფერს გახდება: "ეს სოფელმა სულ ფული, ფული სხვა ყველამ ტყუილია" [გ. ერისთავი 2014:142] ამბობს ის. თან არც იმას მალავს, რომ ბევრ უსინდისობასაც სჩადის ფულისათვის: ,,კტუ ნა სვეტე ჩესნა ბუდით, ბუდით ნასიტ ხლება გუდით". ასეთია მიკირტუმის "მოძღვრება", რომელსაც კარგად იყენებს

პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მან მოახერხა, რომ დიდებულიძეთა ოჯახის ვალი ივანეს რგებოდა ,,წილში" და აიძულა ივანე, შეერთო მისი ქალი – შუშანა. მართალია, მიკირტუმს არ მოსწონს ჯიბეცარიელი "ფრანტი", მაგრამ უნდა თავისი ქალი კნეინა გახადოს: *"ჩემი შუშანი კნეინა დაუძახონ: კნეინო, კნეინო! ბაზარშიაც დიდი რამ იქნება, დიდებულიძეანთ ხნამე". "თვითონაც "კომისიაში ოქმი შეუტანია", რათა კნიაზი გახდეს; დიდებულიძეებთან დამოყვრება ამიტომაც სჭირდება".* [გ. ერისთავი 2014:156-157];

კარაპეტა დაბაღოვი "ძუნწი" თავისი ძლიერების შეგნებაში უფრო წინაა წასული, ვიდრე მიკირტუმ ტრდატოვი. კარაპეტა წინააღმდეგია თავისი ქალი მისცეს ქართველ თავადს, ის ხელს უშლის ხამფერასა და არჩილის დაქორწინებას. კარაპეტას თვალში დიდი და კარგი კაცია ის, ვისაც ფული აქვს და ვინც ფულის ყადრი იცის; ხოლო ქართველი, მისი თქმით, *"ფულის მტერია, ფულს არ დააყენებს ჯიბეში, როგორც ნიორი ისე აუყროლდება და ისე გადაყრის".* [გ. ერისთავი 2014: 161]ის ნატრობს ისეთ სასიძოს, რომელიც ,,გინდა ქვრივიც იყოს, ფულის ყაირათი იცოდეს". [თ.გოგოლაძე162]

კარაპეტა სიძუნწის განსახიერებაა. ის წინააღმდეგია იმისა, რომ ოჯახში ნახშირი დაწვას ვინმემ, ყველას ,არწმუნებს, რომ სიცივე უხდება ადამიანს, ლოყებს ვარდივით აწითლებსო. მის ოჯახში ათი წელია თბილი შეჭამანდი არავის უჭამია. ბნელში ყოფნა ურჩევნია, სანთლების დაწვას, თავის თავსაც კი არწმუნებს, რომ ,,ვახშამი მოდნა აღარ არიო". კარაპეტას თვალში არაფერი არ ფასობს, რასაც შეუძლია თუნდაც ოდნავი ხარჯი გამოიწვიოს. მისთვის ძვირფასია მხოლოდ ოქრო და ვერცხლი, რომელსაც, როგორც განძს, ისე ინახავს და მასთან ალერსით ტკბება.

მომჭირნე, დაგროვებულმა კარაპეტამ ჯერ კიდევ არ იცის ფულის ნამდვილი დანიშნულება, ის თავისი სიმდიდრის მონაა. მარტვილობს მხოლოდ იმიტომ, რომ ფული დააგროვოს. საიქიოშიც ფულს ელოდება. სიკვდილი აწუხებს იმიტომ, რომ ფულის ბედი ადარდებს. მაგრამ აქაც ნახა გამოსავალი, როცა ექიმი ეტყვის, სიკვდილი მოახლოებულიაო, გადაწყვეტილი აქვს გაადნოს თავისი ოქრო და დალიოს, რათა ,,ვერავინ წაიღოს". აი, განძთა ტიპიური დამგროვებელი, რომელსაც მარქსი საცვლელი ღირებულების მარტვილს

უწოდებს. კარაპეტა გრძნობს, რომ დიდი ქონების პატრონია, იცის, რომ შეუძლია ხვალვე გახდეს "პაჩოტნი ღრაჟდანინ, ბლუღოროდნიც, დვარაზა ბლუღოროდნიცა", მაგრამ ამისათვის ფული უნდა დახარჯოს, ფულის დახარჯვა კი წარმოუდგენელ დანაშაულად მიაჩნია: "თუ თქვენ ერთი ერთმანეთს მოგაკლოთ, ღორი გავხდეო", ეფიცება კარაპეტა ფულს. ის იმით კმაყოფილდება, რომ იცის აქვს "ოქროს ტახტი" და შეუძლია "სოფელი თავდაყირა" გადააბრუნოს. უსიამოვნება და შურიანობა სუფევს ვაჭართა მთელ ცხოვრებაში. შემდეგში ისინი უკვე არა თუ მალავენ თავიანთ ქონებას, არამედ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად გამოაჩინონ; დიდ ჩინოვნიკებს ქრთამით იმადლიერებენ, რათა ერთმანეთს უფრო გაბედულად გამოსჭრან ყელი "წარსული დროების სურათები". გაიძვერა, ძუნწი და ზნედაცემულები არიან გ. ერისთავის ვაჭრები, რომლებიც ცხოვრების სარბიელს ეპატრონებიან.

გ. ერისთავმა თავისი რეალისტური დრამატურგიით დაიწყო სრულიად ახალი ეპოქა ქართულ ლიტერატურაში. მისი შემოქმედება დიდი შენამატი იყო ქართული ლიტერატურისათვის.

4.2. ლავრენტი არდაზიანი

,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", ,,ფულები", ,,ტფილისის ტროტუარზედ".

ლავრენტი პეტრეს ძე არდაზიანი-ქართველი მწერალი; ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დაიბადა თბილისში 1815 წელს. 1832 წელს სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიის სამრევლო სკოლაში, 1831 წელს სამრევლო სკოლიდან სემინარიაში გააგრძელა სწავლა, რომელიც 1837 წელს დაამთავრა, მაგრამ სემინარიის დამთავრების ატესტატი ვერ მიიღო. გამოცდების წინ უეცრად გულყრა მოსვლია და უგრძნობლად წაქცეულა ისე, რომ სიკვდილს ძლივს გადარჩენილა. მაგრამ სემინარიის საგამოცდო კომისისას ეს გარემოება არაფრად მიუღია და გამოცდებზე არ გამოცხადების მიზეზით მისთვის მხოლოდ კურსის მოსმენის ატესტატი მიუციათ. სემინარიის

დასრულების შემდეგ 1846 წლიდან მსახურობდა ე.წ საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამმართველოში ,,ამიერკავკასიის პრიკაზში", გენ-გუბერნატორის კანცელარიაში, ხოლო 1860 წლიდან ის მუშაობდა ,,საზოგადოებრივ მზრუნველობათა ამიერკავკასიის პრიკზში" მაგიდის უფრისის თანამდებობაზე. აქ მას ნამსახურებისთვის მიუღია ,,კოლეჟსკი ასესორის" ჩინი. ლავრენტი არდაზიანი გარდაიცვალა 1870 წლის 13 იანვარს. (დ.გამეზარდაშვილი 1975).

სამწერლობო ასპარეზზე არდაზიანი გამოვიდა შექსპირის ,,ჰამლეტის" (,,ცისკარი" 1858 წელი) პროზაული თარგმანით და მალე ,,ცისკარის" წამყვანი თანამშრომელი გახდა. არდაზიანმა ადრევე გამოამჟღავნა ცხოვრების ახალი მოვლენების შეცნობის უნარი ლექსში-,,ფულები". (,,ცისკარი" 1859), ხოლო ცნობილ რომანში ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" (,,ცისკარი" 1861) დამაჯერებლად ასახა ძველი სოციალური ყოფის ნგრევა და ბურჟუაზული ურთიერთობის დამკვიდრების გარდუვალობა საქართველოში.

თუმცა მწერალი ლიბერალური თავადაზნაურობის პოზიციებზე იდგა, მისი რომანის წარმატება თავად-აზნაურთა რომანტიკულმა სახეებმა კი არ განაპირობა, არამედ სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლის-მეჯღანუაშვილის ცხოვრებისა და ფსიქოლოგიის დაკვირვებულმა, რეალისტურმა ანალიზმა. ავტორის სურვილის წინააღმდეგ რომანი გვარწმუნებს, რომ მაღალი წოდება უძლურია მეჯღანუაშვილების წინაშე. ლ. არდაზიანმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ქართულ რეალისტურ პროზას. ის მწერლობას უსახავდა საზოგადოებრივი მოვლენების რეალისტურ ასახვას. ერთ თავის ხელნაწერ სტატიაში ლ. არდაზიანი წერს: ,,პოეზიის მიერ კაცი შაეჭიდება უბედურებასა, დასძლევს მას. მის მიერ კაცი სცნობს ჭეშმარიტებასა, სარგებლობასა და სიკეთესა, კეთილმოქმედებასა და მავნებლობასა ბოროტისასა, მის მიერ ძნელი ღვაწლი კეთილმოქმედებისა გარდაექცევა კაცსა სუბუქად და სასიამოვნოდ." (,,ცისკარი", 1862 წელი. N-10).

მწერალი უპირისპირდება იმ მწერლებს, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში მხოლოდ მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლების ცხოვრებასა და მისწრაფებებს გამოხატავდნენ. მისი აზრით მწერლობა სწორად უნდა ასახავდეს სინამდვილეს, აღწერდეს

ყოველ ადამიანს განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა. აღნიშნული მოსაზრების შესახებ, ლ. არდაზიანი სოლომონ მეჯღანუაშვილის პირით ამბობს: „ისტორია მოვალეა მისცეს ადგილი თავის სტრიქონებში გამოჩენილ პირებსა, გინა იყოს იგი მეჯღანუას ცოლი“ [ლ. არდაზიანი 1911; 1].

ლ. არდაზიანის კიდევ ერთი პროზაული ნაწარმოები ,,მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“, (,,ცისაკრი“ 1862 წელი. N-6) რომელიც ,,ბიძია თორნიკეს“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა ჟურნალ ,,ცისკარში“ 1862 წელს. ,,მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“ შეიცავს დრამატულ სცენებს, შედგება ვრცელი შესავლისა და ცხრა სცენისაგან. მასში დიალოგის ფორმით გადმოცემულია მაშინდელი თბილისის ცხოვრების რეალისტური სურათები. ასეთი ნაწარმოები, რომლებიც სამოციანი წლების ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებას ასე რელისტურად გვიხატავდეს, არც ისე ბევრია.

მწერალი მოგზაურობს მაშინდელი თბილისის ,,ტროტუარზე“ და ამ მოგზაურობის დროს ნახულს გადმოგვცემს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყველა სურათში თბილისის მაშინდელ მოქალაქეთა უარყოფითი მხარეების გამკიცხავის როლში გამოყვანილია დაბალი სოციალური ფენის, გლეხობის წარმომადგენელი; ის ნაწარმოებში იწოდება ,,ქალაქის ბიჭად“.

მწერალი წინასწარვე გვაფრთხილებს, რომ თბილისის ,,ტროტუარზე“ ,,ნახავთ ჭკვიან, დარბაისელ ხალხს, კარგად განვითარებულსა. ამათგან მრავალ ნამდვილ ახალს შეიტყობთ, მრავალს რასმე ისწავლით“. მაგრამ აქვე არიან ,,ცრუ-მეცნიერები, გამოუსვლელნი და იმათი ტაკიმასხარები; ეს ხალხი სტკეპნის და სცვითავს ტროტუარსა, ყურებს გიჭედს ყოველგვარი სიცრუითა, მკვეხარობითა, განკიცხვითა, სხვაზედ დაცინვითა, თუმცა თვითონ არიან სასაცილონი და ამას ვერა ხედავენ“ (,,ცისკარი“, 1861: N-6).

პირველ სურათში მწერალი დასცინის ახალი ცხოვრების ფუფუნებით, ,,მოდებით“ გატაცებულ, მაღალი წრის ქართველ ქალებს. ესენი მოხიბლა სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში ქალაქში შექმნილმა ახლამა ცხოვრებამ, ლამაზმა სანახაობებმა, ლხინმა, ბრჭყვიალა ნივთებმა. მათ უთავბოლოდ დაუწყეს ფლანგვა თავიანთ ქონებას.

მაგრამ ქართველ თავადაზნაურობას გააჩნდა კი ამის შესაძლებლობა? - ყიდდა თავის ქონებას, ,,პრიკაზიდან“ სესხულობდა ფულს, ან როგორც თავად ლ. არდაზიანი შენიშნავს, ქალების ქმრები ,,ლაქიის თანამდებობას“ ასრულებდნენ ფულიანის კარზე. მათი ქონების ნაწილი ვიღაც ვაჭრებს უვარდებოდათ ხელში.

ერთ-ერთ ეპიზოდში არდაზიანი ურთავს სასიმღერო კუპლეტებს, რომლებსაც მაშინდელ თბილისში მღეროდნენ. ,,ახალი მოდის“ კაბებით, ,,ხაბარდით“ გატაცებულ ქალს მწერალი ასე დასცინის:

,,ქალო ხაბარდიანო,

გაქვს და გიხარიანო,

შენს ოჯახს დასცემ, დაამხობ,

ვაჭრებს კი ჯიბეს უვსებო“ [9]

ლ. არდაზიანს ძალიან კარგად ესმოდა მაშინდელი ეკონომიკური ვითარება. ის კარგად ხედავდა, რომ თავადაზნაურობას სავაჭრო ბურჟუაზიის სახით დიდი მტერი გაუჩნდა. ,,პრიკაზი“, რომელიც ვითომ თავადაზნაურობის დახმარებისთვის დაარსეს, სინამდვილეში ხელს უწყობდა მათ ეკონომიკურ გაღატაკებას, რადგან ქართველი თავდაზნაურობა ,,პრიკზიდან“ მიღებულ სესხს მეურნეობას კი არ ახმარდა, არამედ მას უთავბოლოდ ფლანგავდა.

ლ. არდაზიანი კარგად იცნობდა პოლიტიკური ეკონომიკის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. მას, სამსახურეობრივი მოვალეობის მხრითაც უხდებოდა ქალაქის ეკონომიური ცხოვრების დაკვირვება და შესწავლა, რადგან 1860 წლიდან ის მუშაობდა ,,საზოგადოებრივ მზრუნველობათა ამიერკავკასიის პრიკზში“ მაგიდის უფრისის თანამდებობაზე. აქ მას ნამსახურებისთვის მიუღია ,,კოლეჟსკი ასესორის“ ჩინი.

---

[9]საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ლექსების კრებულში (S- ფონდი, საქმე-3723) მოთავსებულია ხელმოუწერელი სათაურით ,,სასიმღერო ლექსი“. აღნიშნული კუპლეტი წარმოადგენს ამ ლექსის ნაწილს. როგორც ჩანს. ლ. არდაზიანის ეს ლექსი პოპულარული ყოფილა მაშინდელ თბილისში, რომ მას მღეროდნენ კიდეც.

საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრებას, ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის საძირკველების შერყევა და სავაჭრო ურთიერთობების სწრაფი განვითარება მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით, სავაჭრო ბურჟუაზიამ თანდათანობით მოიკიდა ფეხი საქართველოში და განამტკიცა თავისი ძალა.

ლ. არდაზიანი მხატვრულ შემოქმედებაში ასახავს ზემოთ ხსენებულ პროცესებს. მას ეკუთვნის ,,ცისკარის" 1859 წლის ნომერში ინიციალებით ,,ლ. ა" ხელმოწერილი ვრცელი ლექსი ,,ფული", რომელშიაც გამოხატულია სავაჭრო ურთიერთობების, ფულის ძალა და სიმტკიცე. ავტორს სწორად აქვს დანახული ფულის თვისებები, სავაჭრო ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პერიოდში მისი ორმაგი ბუნება: - რომ იგი ზოგიერთს აბედნიერებს და ზოგიერთ უბედურს ხდის. როდესაც ლ. არდაზიანი ლექსში ფულს ახასიათებს, მას მხედველობაში აქვს სავაჭრო ურთიერთობების განმასახიერებელი ძალა. ამიტომ მწერალი ფულში, სავაჭრო ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პერიოდში, უარყოფითთან ერთად დადებით მხარეებსაც ხედავს.

ლ. არდაზიანი აღნიშნულ ლექსში გამოთქვამს იმავე შეხედულებებს, რასაც უფრო სრულყოფილად ,,სოლომონ ისააკ მეჯღანუაშვილში" იძლევა. მწერალი ფულში, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ ბურჟუაზიულ ურთიერთობაში არ ხდევას ზნეობრივი სისპეტაკის წყაროს, მაგრამ მის გაბატონებას მოცემულ ეპოქაში კანონზომიერ და აუცილებელ მოვლენად თვლის. ლექსში კარგადაა დანახული ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფულისადმი ლტოლვა და მისი დანიშნულება.

ბატონყმური წყობილების ეპოქაში, როცა გლეხი ყოველმხრივ დამოკიდებული იყო მემამულზე, სავაჭრო კაპიტალის განვითარებაც ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ვაჭრობაში მხოლოდ გამონაკლისები ახრხებდნენ ჩაბმას, მაგრამ მათი რიცხვიც შემდგომში ნელ-ნელა იზრდებოდა. პირველდამგროვებელი ვაჭარ-მევხშენი ბეჯითად ეუფლებოდნენ ფულის სხვადასხვა ფუნქციების გამოყენებას, რაც კიდევ უფრო აჩქარებდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევას.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებაში სავაჭრო ბურჟუის გამოჩენა ჯერ თბილისში იგრძნობოდა. ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრად იქცა თბილისი, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ცხოვრებათა მრავალფეროვნების წყალობით, უფრო გახსნილად შეხვდა ახალი კლასის-ბურჟუაზიის საქმიანობას. პირველი გაბედული ნაბიჯი ვაჭრობის საქმეში თბილისელმა სომხებმა გადაგდეს. თუმცა უცხო ტომელთა ამგვარი დაწინაურება საქართველოში უცხო არ იყო, ჯერ კიდევ ორიათასი წლის წინ სტრაბონი წერდა: „იბერიაში ვაჭრობა უცხოტომელთა ხელთ არის“.[13] ამის შემდეგ მე-19 ს-ის ჩათვლით ვითარება არ შეცვლილა. ქართული ფეოდალური საზოგადოებისთვის ეს სფერო იყო უცხო, ვინაიდან ეკონომიკაში და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს სოაციალური ფენა ყოველთვის იყო მეორეხარისხოვანი და დაცინვის ობიექტი.

ბურჟუაზიის დაწინაურება და წამყვან სოციალურ ფენად ქცევა ხდება 70-იანი წლებიდან ეტაპობრივად - საქალაქო არჩევნებში ისინი იკავებენ ხმოსნების ადგილებს.

ბურჟუაზიული ცხოვრების დაწოლა ძირმომპალ ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემაზე, თანდათანობით აშკარა გახდა. ფულმა დაარღვია ფეოდალურ ციხე-კოშკებში გაბატონებული სიმშვიდე და უდარდელობა. მამა-პაპური ტრადიციების ერთგული, დამცველი ფეოდალური არისტოკრატია შეაძრწუნა სამოქმედო ასპარეზზე ფულის მეპატრონეთა გაბედულმა გამოჩენამ. ლიბერალურ-თავადაზნაურთა ბანაკში დაიწყო მსჯელობა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისა და ,,განმტკიცების“ შესახებ.

XIX საუკუნის 50-იანი წლებისთვის სავაჭრო ბურჟუაზია ისეთ ძალად იქცა, რომ მისი შეუმჩნევლობა და მისგან გვერდის ავლა შეუძლებელი გახდა როგორც პრაქტიკულ ცხოვრებაში ასევე საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობისას.

მაღალი წოდება მტრულად შეხვდა კაპიტალიზმის წარმოშობასა და განვითარებას საქართველოში, მაგრამ უმეტესობისთვის აშკარა იყო, რომ ეპოქის ჩარხი ბურჟუაზიისკენ ეწეოდა ცხოვრების სინამდვილეს. ისინი კი მსჯელობას იწყებენ არა იმის შესახებ, თუ როგორ

[13] თ. ყაუხჩიშვილი ,,სტრაბონის გეოგრაფია“, 1957 წ.

აეცდინათ ქვეყანა განვითარების ამ გზისთვის, არამედ დაიწყეს მსჯელობა იმის შესახებ თუ რა საშუალება გამოენახათ, რათა შემდეგშიც შეენარჩუნებინათ უზრუნველი ცხოვრება და პრივილეგიები; თუ როგორ ,,მოერიეგებიათ'' ერთმანეთთან ეს ორი ანტაგონისტური სისტემა.

საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მთელი ეს პროცესი შედარებით სრულად და მოხდენილად აისახა ლ. არდაზიანის ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში". ლექსი ,,ფული" შეიძლება სოციალური რომანის -,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის" თავისებურ შესავლად ჩაითვალოს. ამ ლექსის აზრი სავსებით შეესაბამება ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის" ავტორის იდეურ მიმართულებას.

ლ. არდაზიანი ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში" ასახავს საქართველოში XIX საუკუნის 40-50-იან წლებში, ბატონყმური ურთიერთობის დროს, ქალაქად სავაჭრო კაპიტალის პირველი დაგროვების, მისი განვითარების პროცესს და ამასთან დაკავშირებით თავადაზნაურთა მდგომარეობის შეცვლასა და დაქვეითებას. იმ დროს, როდესაც სოლომონ მეჯღანუაშვილი სავაჭრო ასპარეზზე გამოდის, საქართველოს დედაქალაქი თბილისი ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. ლ. არდაზიანი ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში" აღნიშნავს, რომ თბილისის სავაჭრო მოედანზე ყოველდღიურად ნახავდით სხვადასხვა თემის ხალხს. ესენი არა მარტო ადგილობრივი ვაჭრები იყვნენ, არამედ შემოჰქონდათ და გაჰქონდათ საქონელი. ნაწარმოებში ლ. არდაზიანის მიერ გამოხატულ ვაჭართათვის უცხო არ არის რუსეთის, მოსკოვის ბაზარი. ნაწარმოების ერთ-ერთ პერსონაჟს მოვაჭრე სარქისბეგაშვილს, რომელსაც თბილისში ოცი დუქანი აქვს, ვაჭრობას აწარმოებს არა მარტო საქართველოში, არამედ მოსკოვშიც. ასევე, რუსეთის ბაზარს კარგად იცნობს სოლომონ მეჯღანუაშვილიც.

რომანი ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" აგებულია სოლომონ მეჯღანუაშვილის თავგადასავლებზე. ასახავს მოვლენათა ქრონოლოგიას, თუ როგორ ჩამოყალიბდა სავაჭრო ბურჟუაზია, ვაჭრის სახე, ჯერ კიდევ ბატონყმური ურთიერთობის პერიოდში. მართალია სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი წარმოშობით ქართველი არაა, მაგრამ,

მიუხედავად ამისა, ის როგორც ახლადაღმოცენებული სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელი, ჩვენი მაშინდელი გარდამავალი ცხოვრების პერიოდშია აღმოცენებული.

სავაჭრო ბურჟუაზიის წარმოშობა ქართული სინამდვილისთვის დიდ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ეს იყო ძალა, რომელმაც შემდგომ ფერი შეუცვალა ჩვენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

მეჯღანუაშვილი, როგორც ეს თავდაპირველად დამახასიათებელი იყო ვაჭართა კლასისთვის, გამოსულია დაბალი სოციალური წრიდან. მამამისი, როგორც ნაწარმოების დასაწყისში აღნიშნავს სოლომონი, ქალაქელი მეჯღანე იყო. სოლომონი მაშინ დაიბადა, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა ისტორიას ჩაბარდა და საქართველოს გამგებელი რუსეთი შეიქნა. რუსეთთან დაკავშირებამ დააჩქარა საქართველოში სავაჭრო ბურჟუაზიის განმტკიცება. სოლომონი წარმომადგენელი ხდება იმ ახალი ვაჭართა კლასისა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო ჩამოყალიბება.

სოლომონ მეჯღანუაშვილს, მომავალ ვაჭარს, მშობლებისგან არაფერი დარჩენია. ძველი თბილისის მივარდნილ კუთხეში- *,,ციხის უბანში" მათი ბინა უფრო ,,დათვის სოროს" ჰგავდა, ვიდრე ადამიანის საცხოვრებელ ადგილს."*[ლ. არდაზიანი 1911:2]

თავადი ლუარსაბ რაინდისძე დახმარებას უსასყიდლოდ უწევს გაღატაკებულ გაიანეს და მის ობოლს. ამით ავტორი გვიხატავს იმ პროცესს თუ როგორი დიდსულოვნებით და კეთილი ბუნებით ხასიათდებოდნენ თავადები, როგორ უსასყიდლოდ უწევდნენ დახმარებას გაჭირვებულთ და ამ კეთილშობილურ დახმარებაში როგორ პარაზიტივით გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ სოლომონ ისაკიჩის მსგავსი ჩარჩები და კინტოები. ფაქტიურად ეს ახალი ფენა, რომელსაც უკვე მოვაჭრენი, ბურჟუები, მაგრამ ქართველი საზოგადოებისთვის ჩარჩ-კინტოები წარმოადგენენ, იყვნენ ნაყოფნი კეთილშობილი თავადიშვილების დახმარებით გამოკვებილი გაღატაკებული ფენა, რომლებიც ნაცვლად მადლიერებისა გამოხატვისა, მუწუკივით დაასხდნენ იმ პერიოდის დაწინაურებულ საზოგადოებას. ვფიქრობ ავტორს სურს დაგვანახოს ის რომ სოლომონის მსგავსნი, არიან ნაყოფი, არა კაპიტალისტური წყობისა,

რომლებსაც აღებ-მიცემობა უნდა გაეჩაღებინათ და ძლიერი ეკონომიკა წარმოეშვათ, არამედ არასასურველი ნაყოფი იმ ხისა, რომელებსაც თავადები ასაზრდოვებდნენ.

აქ უნებლიეთ იკითხავთ: რა ისწავლა ამ სახლში ისეთი სოლომონმა რომ ასე ჩქარად გამდიდრდა? რამდენი ჭკვიანი კაცი გაზრდილი, კარგი გვარიშვილი და მუშა კაცი, ფიქრობ შენ მკითხველო! რა მოხდა ასეთი რომ მეჯღანუაშვილმა ასე მაღლა აიწია ისიც ბატონ-ყმობის დროს, როდესაც შთამომავლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცის ბედში. სოლომონ ისააკ მეჯღანუშავილმა თავისი ქონება შეიძინა ვაჭრობით და მხოლოდ ვაჭრობით, რისგან შედგება ეს ვაჭრობა? საჭიროა ამისთვის განსაკუთებული ცოდნა ან დიდი ჯაფა? ამას ახლავე ვნახავთ. მეჯღანუშვილი კარგად სარგებლობდა გლეხობის და მებატონეების გაჭირვებით, ასესხებდა იმათ ფულს და ყოველ სამ მანეთზე იღებდა წელიწდში რამდენიმე კოდ პურს. ჩარჩობით და კინტოობითაც ბევრს იღებდა, მით უფრო რომ ეს თავს და თავის სახლობას ისე საწყლად ინახავდა, როგორც ინახავს კაცი, რომელმაც არ იცის ხვალ მოკვდება თუ არა შიმშილით.

თექვსმეტი წლის სოლომონმა მიაშურა თბილისის ბაზარს, სადაც სავაჭრო საქონელთან ერთად პატიოსნების ყიდვა-გაყიდვაც წარმოებდა. ეს ადგილი შექიმნა აღმზრდელი მრავალი ვაჭრობისა და მათ შორის სოლომონისაც. აქ გაისკვნა ამომავალი ბურჟუაზიის საძირკვლები და აქ აიდგა ფეხი სოლომონმაც. პირველი ნაბიჯები ვაჭრობის სფეროში საკამაოდ ადვილად და ინსტიქტის დონეზე გაიკვალა სოლომონმა *,,მე მივართვი ბაღდადი, ჩინოვნიკმა მიიღო, მითხრა მადლობა და ოქროც მადლობასთან ერთად დაადევნა. -კაცის ენაზედ ვერ ვპოვებ სიტყვაა, რომ გვეთქო, როგორ შემიყვარდა ის ის ოქრო! ჩემმა გულმა გაუღო კარები და მაგრა ჩაიკრა".* [ლ. არდაზიანი1911: 37]: ამ გამარტივებული აღებ-მიცემობის წყალობით მალე სოლომონი დაეჩვევა ,,მუქთად ფულების შოვნას", ,,დამებადა აზრი რომ ჩარჩობით მომეგო ფული" [ლ. ადაზიანი 1911: 37];

,,კინტუობა დავიწყე და ჩემი ცხრა თუმან-ნახევარი შიქმნა ცამეტ თუმნათ". [ლ. არრდაზიანი 1911: 38]: სოლომონმა ნელ-ნელა აუღო ალღო ვაჭრობის საქმეს. კარგადაც გამოსდიოდა ეს საქმე, მოგებასაც საკმოდ კარგად ნახულობდა. ამასობაში დრო შეიცვალა

და ჩვენი მდიდარი თავადიშვილი გარკვეული მიზეზთა გამოისობოთ გაღარიბდა. მიწების შესაძენად, რომელიც სურდა თავისი ახლად დაბადებული ვაჟისთვის ეჩუქებინა, არ ჰყოფნიდა საკმარისი თანხა და სლომონს სთხოვა შემწეობა ოცდაათი თუმანი სარგებლის სახით: - ყოველ წელიწადს ვექსილს უცვლიდა, რადგან დასაბრუნებლად საკმარისი თანხა არ ჰყოფნიდა. ლოგიკურია აღნიშნულ თანხასაც ყოველ წელიწადს სარგებელი ემატებოდა, რაც ხელს მშვენივრად აძლევდა ჩვენს სოლომონს. *,,ჩემი გონება იყო გართული ფულებით, ჩემი გული გრზნობდა მხოლოდ ფულების სიყვარულს, ეს სიყვარული იმდენად გამიცხოველდა რომ ხსირად მშრალ პურსაც არა ვყიდულობდი, რომ გროში გროშს არ მოჰკლებოდა, ხშირად განდეგილ ბერსავით, ოცდაოთხს საათში არას ვჭამდი და ხანდახან ორ დღესაცა, მხოლოდ ბერისგან გავირჩეოდი მით, რომ ბერი არა სჭამს გინდ მრავალიც ეწყოს თავლწინ, მე კი ვეზებდი ხოლმე შემთხვევას, ეგების უფასოდ ჩამეგდო სადმე, რომელიმე დარდიმანდის სუფრა".* [ლ. არდაზიანი1911: 40];

ეს იყო მთელი ყოფა სოლომონ ისაკიჩისთვის, ფულის დაგროვება, მაგრამ რისთვის? გამდიდრებისთვის? ამ უკანასკნელს სოლომონი მხოლოდ მაშინ შეიცნობს, როდესაც შერცხვება დაჩაჩანაკებულ კინტოდ ყოფნა სოსია გამწკეპავიძესთან, სიყმაწვილიდანვე ერთად შეზრდილთან. მაშინ ეთაკილება თავისი საქმიანობა სოლომონს, თვითონაც არ იცოდა რა ეთაკილებოდა. არ სურდა თავადის სახლში გაზრდილი, ასე უსასოო და ორ აბაზს დახამებულ კინტოდ წარმდგარიყო სოსიას თვალში. გამოდის რომ სოლომონის მსგავს ვაჭართ იმ პერიოდში წარმოდგენა არ ჰქონდათ რას ნიშნავდა ფულის დაგროვება მდგომარეობის შესაცვლელად და მისი სწორად გამოყენება. სოლომონიც აგროვებდა მაგრამ უმიზნოდ. ტახტის ქვეშ ოთხმოცი ათასი თუმანის მფლობელს ცხოვრების უკეთესი პირობების შეცვლის არანაირი ნიშან-წყალი არ ებადა. თავის ცოლ შვილსაც მშიერ მწყურვალს და გასაცოდავებულს აცხოვრებდა. ჩვიდმეტ წლიანი ვაჭრობის ფონზე როცა გადაწყვიტა თავისი ფულის გამომზიურება მაშინ ცხოვრებაში პირველად ასადილა ოჯახი ნორმალურ საკვებით, ცხოვრებაში პრველად მიხვდა თუ როგორი დაკონკილი და

დაძონძილი დადიოდნენ მისი ცოლ-შვილნი და შეინანა... დაიწყო ცხოვრების რადიკალური შეცვლა.

ასეთი მგლური მისწრაფებები შეიქნა საჭირო ჩარჩ-ვაჭრისთვის, რომ სიმდიდრე შეეძინა, რომ ერთ დროს ღატაკი - შეძლებული მოქალაქე გამხდარიყო. სოლომონის ვაჭრობის საგანი ხშირად იცვლება. ის იქით მიისწრაფვის, საითაც მეტ მოგებას ნახავს. ბატკნებით, ვარიებით, ხილით „კინტოობით“ დაიწყო მან ჩარჩობა, მაგრამ შემდეგ მისი სავაჭრო მოქმედების არეალი თანდათანობით გაფართოვდა, გასცილდა თბილისის ბაზარს და უკვე შიდა ქართლისკენ გაეშურა პურისა და ქერის შესასყიდლად. მალე ჩარჩს მევახშე შეეზარდა, სოლომონი სოფელში ფულს ასესხებს, სამ მანეთზე კოდ პურ სარგებელს იღებს. მარტო ერთი სოფელი ორას კოდ პურს აძლევს წელიწადში სარგებლის სახით. მალე მეჯღანუაშვილი ვაჭრობის შნოს წყალობით დაეუფლება მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, მისი მოვალენი გახდებიან არამარტო გლეხები, არამედ თავადებიც. სოლომონის ფული მართებს თავად ლუარსაბ რაინდიძესაც, რომლის ოჯახშიც აღიზარდა.

მეჯღანუაშვილი, როგორც ეს ჩვევია აღმავლობის გზაზე დამდგარ სავაჭრო ბურჟუაზიას, უაღრესად პრაქტიკოსია. ის პირველ ჯერზე ცხოვრების ბაზარს უკვირდება, მის პრაქტიკას ითვისებს და ისე მოქმედებს. აქ შეიგნო მან არა მარტო ის, თუ როგორ მოატყუოს ადამიანი, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა დაატრიალოს ფული. ის პირველ ხანებში, სანამ საბრუნავი თანხა მისთვის მიუწვდომელ რაოდენობამდე ავიდოდა გრძნობს, რომ მისი მოგება ფულის ბრუნვის სისწრაფეზეა დამოკიდებული.

მეჯღანუაშვილის სავაჭრო მარშრუტის გაფართოებას და სავაჭრო ოპერაციების ზრდასთან ერთად იცვლება, მატულობს მისი შეძლება - კაპიტალი, ხოლო ამ ცვლილებებთან ერთად იცვლება მისი საზოგადოებრივი მდგომარეობაც. თბილისის სავაჭრო მოედანზე მას, ფეხშიშველა ჩარჩს, ახლო წარსულში თავში რომ სცემდნენ, ახლა კი მდგომარეობა იცვლება. მისი ფული დავალიანებულია მრავალგან. სოლომონს სოფლად დიდი პატივისცემით ეგებება როგორც ბატონი, ისე ყმა გლეხი.

სოლომონმა შეიგნო მაშინდელი ცხოვრების ვითარება, რომ ფული ყოვლის შემძლე შეიქნა, რომ ის, ღატაკი, უპატრონო ადამიანი ოქრომ მიიყვანა დიდ სიმაღლემდე. ამიტომაც მის არსებაში ფულმა, ოქრომ დიდი სიყვარული მოიპოვა; *,,გროშს გროშზე ადებს", ენერგიას არ ზოგავს და სინდისზე ხელს იღებს, რომ რაც შეიძლება მეტი ფული მოიგდოს ხელში. ,,კაცის ენაზედ ვერ ვპოვებ სიტყვასა, - ამბობს სოლომონი, - რომ გამოვთქვა, როგორ შემიყვარდა ოქრო! ღვიძლი შეიქმნა ის ჩემი სულისა! ჩემმა გულმა კარები გაუღო და მაგრა ჩაიკრა იგი".* [ლ. არდაზიანი 1911: 43]

გამდიდრების შემდგომ სოლომონი, ემსგავსება იმ მდიდარ ფენას, რომელიც ცხოვრობდა იმ დროინდელ ქართულ სინამდვილეში. სახლი იყიდა პრესტიჟულ უბანში-სოლოლაკში და მოაწყო მაშინდელი მოდის ტენდენციით: *,,მოვრთე გემოვნებით და მდიდრულათ, გადავქექე დროშკით სიონის ქუჩისკენ დროშკა დადგა მელიქიანის ქარვასლის წინ. კარებთან მიმელოდა მრავალი ხალხი, რომელსაც სურდა ჩემი დანახვა, როდესაც გადავხტი დროშკიდან, მე შემომესმა შემდეგი სიტყვები „რა ახალგაზრდაა", „რა ჭკვიანი" სახეზედ ეტყობა რაც არის. გულში გამეცინა, წარმოვიდგინე იმათი დაბრმავება რომ ვერ იცნეს ჩემში კინტუა სოლომანი".* [ლ. არდაზიანი 191: 51] შვილებს დაახურა ჩააცვა, ერთი კარეტა იყიდა და უკვე სოლომონი აღარ იყო ის ჩარჩი კინტო, ის იყო მდიდარი და ეძებდა გზებს მაღალ ფენაში დასამკვიდრებლად.

ლავრენტი არდაზიანი მეჯღანუაშვილს და მის ცოლ-შვილს სასაცილო მდგომარეობაში აყენებს, როდესაც მათ ქართველი განათლებული თავადიშვილის ალექსანდრე რაინდიძის გვერდით წარმოგვიდგენს. მეჯღანუაშვილები, რაინდიძეებთან შედარებით, კულტურულად ჩამორჩენილები არიან.

გავიხსენოთ მეჯღანუაშვილების მდგომარეობა წვეულების დროს ან საოპერო თეატრში. ისინი ოპერაში ხალხის შესახვედრად დადიან და არა ოპერის მოსასმენად. იტალიელი კომპოზიტორის ბელინის ოპერა ,,ნორმას" მსვლელობის დროს სოლომონი, ლოჟაში ამპარტავნულად გამოჭიმული, მუშტრის თვალით სინჯავს დამსწრეებს და ტაშს მაშინ უკრავს, როცა მაყურებლები სულგანაბულნი სმენად არიან გადაქცეულნი, ხოლო მისი მეუღლე

სოფიო ალექსანდრე რაინდიძესთან საუბარში ბაზრული კილოთი ამბობს ოპერის შესახებ: ,,მე თეატრი და ჩაცმა მომწონს და არა ღრიალი“. [ლ. არდაზიანი 1911: 110];

მეჯღანუაშვილების ახალმა ცხოვრებამ, სავაჭრო ურთიერთობის შემოჭრამ წამოსწია წინ. ვაჭრობით, თაღლითობით შეძენილმა ოქრომ შეიყვანა მდიდრულ სასახლეში და სრულიად მოუმზადებელი ოპერაში სამეფო ლოჟის გვერდით დასვა. შეიძლება ამ გარემოებამ ათქმევინა სოლომონს: *„მე ამისთვის არ ვიყავი დაბადებული“*. [ლ. არდაზიანი 1911: 112] სამაგიეროდ სოლომონმა თავისი ვაჟი ისაკი სწავლის მისაღებად გიმნაზიაში მიაბარა და თანაც გადაწყვიტა, რომ თამარი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, განათლებულ თავადს ა. რაინდიძეს მიათხოვოს. მაგრამ განათლების მისაღებად ვერც სოლომონი და ვერც მისი შვილი ისაკი ვერ აღმოჩნდნენ საჭირო სიმაღლეზე. სოლომონს სურს განათლებაც ფულით იყიდოს.

როცა გაიგო, რომ ისაკს სასწავლებელში სწავლა უჭირს იმის ნაცვლად, რომ შვილი მუყაითი შრომით განათლების მისაღებად წაექეზებინა, გაოცებულმა უთხრა: ,,განა ასეთი სასწავლებელია მაგ შენ გიმნაზიაში, რომ ერთი წაკითხვით ვერ დაგისწავლია?!“. ოქროებით გადიდგულებულმა თავის ვაჟს ბოლოს იმედი მისცა: *,,შენ ნუ სწუხარ, შენი ამხანაგები შენზე წინ ვერ წავლენ, შენზე სწავლულად ვერ გამოჩნდებიან და შენზე ადრე ჩინს ვერ მიიღებენ“* [ლ. არდაზიანი 1911: 91]. იმ დროისთვის, ყოვლის შემძლე ფულის მეშვეობით, ამ დაპირების გამართლება შეძლო, მაგრამ ამით მან თავისი შვილი ისეთივე უმცირესობაში დატოვა, როგორშიც თავად იყო ჩავარდნილი. ასეთი იყო XIX საუკუნის 40-50-იან წლებში სავაჭრო ურთიერთობის, ვაჭრის ტიპის ჩამოყალიბების გზა საქართველოში.

ლავრენტი არდაზიანი ამ სოციალურ რომანში მარტო მეჯღანუაშვილების განვითარების აღწერით არ კმაყოფილდება. მან ამ რომანში სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ქართველი თავადაზნაურობის მდგომარეობაც აღწერა. რომანში ნაჩვენებია, რომ გამდიდრებულ მეჯღანუაშვილებთან ერთად თბილისში ცხოვრობს სოფლიდან ქალაქად ჩამოსული, ახალი ცხოვრების ფუფუნებით გატაცებული ქართველი თავადაზნაურობა. მათი

ცხოვრება დაკნინებულია. ისინი ნაწარმოებში აქა-იქ სილუეტივით გაიელვებენ, როგორც უნიადაგო, უსაქმური ადამიანები.

მწერალი განსაკუთრებული ყურადღებით გვიხატავს რუსეთში განათლებამიღებულ ალექსანდრე რაინდიძეს. ის ნაწარმოებში, როგორც თავადაზნაურთა წრის წარმომადგენელი, სოლომონ მეჯღანუაშვილს, ახლად აღმოცენებული სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელს უპირისპირდება. მაგრამ რაინდიძის მხატვრული სახე, მეჯღანუაშვილთან შედარებით, უსისცოცხლოა.

რაინდიძე მემამულეა, ყმების პატრონი. ის ცდილობს ბურჟუაზიული განვითარების პირობებში შეინარჩუნოს თავისი მამულები და ბატონყმური მეურნეობა. საინტერესოა რით ცდილობს ამ ყველაფრის შესრულებას? ის დასახლდება სოფელში და იწყებს ბატონყმური მეურნეობის განვითარებას. მისი აზრით გამოსავალი მონახა, როდესაც როგორც განათლებული მებატონე, ბატონყმურ მეურნეობას უშუალოდ ჩაუდგა სათავეში, გააუმჯობესა, გარდაქმნა, კულტურულად მოაწყო მეურნეობა და ყმებს მდგომარეობა შეუმსუბუქა. ამან, რაინდიძის აზრით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, კლასობრივი წინააღმდეგობა თითქოს მოისპო, ყმები კმაყოფილნი იყვნენ თავისი მდგომარეობით.

ალექსანდრე რაინდიძე ემიჯნება ქალაქს, სავაჭრო ბურჟუაზიას და მისგან დამოუკიდებლობას ესწრაფვის. ის იმ თავადებსაც შორდება, რომლებიც ვაჭრებისგან სესხულობენ და ამ გზით თავიანთ ქონებას ხელში უგდებენ. რაინდიძე ირწმუნება, რომ ის ვალს არ აიღებს, მისი აზრით სოფლად ის ყველაფრით უზრუნველყოფილია და ფულის სესხებასაც არ საჭიროებს. მაგრამ როგორც ვხვდებით რაინდიძისეული, უკეთ თუ ვიტყვით მისი მსგავსი თავადების გამიჯვნა ბურჟუაზიისგან მცდარი გზაა. ის სოფლის ცხოვრების იდეალიზაციას ახდენს და მას ხელოვნურად ალამაზებს, თითქოს ბატონყმური მეურნეობის პირობებში შესაძლებელი იყო მაღალი შრომის ნაყოფიერების მიღება, წოდებათა წინააღმდეგობის დაძლევა ამ შემთხვევაში, თუ მისნაირი განათლებული მებატონე სოფლის მეურნეობას უშუალოდ ჩაუდგება სათავეში რაციონალურად მოაწყობს სოფლის მეურნეობას. რაინდიძეს ჰგონია, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის გვერდით შესაძლებელია

ბატონყმური მეურნეობის თანაარსებობა. ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია. სინამდვილეში ორი საზოგადოებრივი სისტემა: ბურჟუაზიული და ფეოდალური, ვაჭრული და ბატონყმური შეუთავსებელი სისტემებია. ლოგიკურია, ბატონყმური ურთიერთობის დროს, როდესაც მშრომელი და შრომა მონობაშია, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ამით ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაზე მსჯელობა ზედმეტია. ამ დროს ბატონყმური მეურნეობა და მისი მმართველი ფეოდალური კლასი განწირული იყო და მას ასეთი გზები ვერ იხსნიდა. წლების შედეგ, როდესაც თავადი ლუარსაბის შვილი ალექსანდრე დაბრუნდა რუსთიდან, ის გადაწყვეტს მამამისის ვალის გადახდას, რომელიც ევალა სოლომონისგან. სოლომონი სტუმრად ეახლება მას. მათ შორის გამართული ბაასი საკმოდ ნიშანდობლივი და საინტერესოა. სოლომონის კითხვაზე თუ რას აპირებდა რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ და დაიწყებდა თუ არა სამსახურს? ალექსანდრე შემდეგ პასუხს გასცემს: დიაღ რა საკვირველია! მე მქონდა აღთქმული ჩემის დიპლომის შესაბამისი ადგილი, მაგრამ მგონია, ეს ადგილი მიუციათ თქვენის შვილისთვის“. [ლ. არდაზიანი 1911: 97]; ამ ეპიზოდში ჩვენ ვხვდებით საზოგადოებში დამკვიდრებულ პრივილეგიებს ფულის გამოისობით. ალექსანდრემ, რომელმაც მრავალი წელი მიუძღვნა განათლების მიღებას რუსეთში, რომ დაბრუნების შემდგომ დიპლომის შესატყვისი სამსახური ეპოვნა, ადგილი წაართვა და დაიკავა გამდიდრებული კინტოს შვილმა, რომელსაც არც განათლება ჰქონდა და არც შესაბამისი ცოდნა ამ თანამდებობაზე დასაწინაურებლად.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ცხოვრებათა მრავალფეროვნების წყალობით, უფრო გახსნილად შეხვდა ახალი კლასის-ბურჟუაზიის საქმიანობას. პირველი გაბედული ნაბიჯი ვაჭრობის საქმეში თბილისელმა სომხებმა გადადგეს. ზოგადად, ვაჭრობის საქმე საქართველოში ყოველთვის უცხოელთა ხელთ იყო და ამას I ს-ში სტრაბონიც ადასტურებს. ამის შემდეგ XIX ს-ის ჩათვლით ვითარება არ შეცვლილა. ქართული ფეოდალური საზოგადოებისთვის ეს სფერო იყო უცხო, ვინაიდან ეკონომიკაში და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს სოციალური ფენა ყოველთვის იყო მეორეხარისხოვანი და დაცინვის ობიექტი. ფეოდალიზმის დასასრულს და ახალი ეპოქის

მოთხოვნილებებს არისტოკრატიამ ალღო ვერ აუღო, უზრუნველი ცხოვრებისკენ მომართა, სიზარმაცესა და ნებიერ ცხოვრებას დააჩვია.

რაინდიძის ტიპაჟით მწერალი წარმოგვიდგენს იმ ეპოქის თავადს. როდესაც ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ დაიბეჭდა, საზოგადოებრივი ცხოვრების რაინდიძისეული გაგება ქართველ თავადაზნაურობაში არცთუ იშვიათი იყო. ალექსანდრე ორბელიანმა 1859 წელს გაზეთ ,,ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში, თავადაზნაურობას ურჩია მიიღოს განათლება, ისწავლოს ვაჭრობა და გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობა. ა. რაინდიძე განათლებული თავადია, რომელიც მეურნეობის კულტურულად გარდაქმნის, გაუმჯობესების ნიადაგზე ცდილობს ბატონყმური მეურნეობია შენარჩუნებას.

ლ. არდაზიანმა ამ ნაწარმოებში ასახა სინამდვილე. ცხოვრების ასპარეზზე როგორ ბატონდება ახალი სოციალური ფენა, ვაჭართა კლასი. მწერალი გვიჩვენებს, რომ მომავალი სავაჭრო ბურჟუაზიას ეკუთვნის. ერთ დროს გაბატონებული კლასის შთამომავალი რაინდიძეები დაქვეითების გზაზე დგანან. ბევრმა მათგანმა განათლება მიიღო, ზოგიერთი გაიტაცა ქალაქურმა ცხოვრებამ, სოფელი დატოვა და ქალაქს მიაშურა, მაგრამ ქალაქში მათ აღარ დაედგომებათ, რადგან ქალაქს ბურჟუა ეუფლება. საჭიროა თავადაზნაურობამ მიხედოს მის მიერ დატოვებულ სოფლის მეურნეობას და განავითაროს ის. ქართველი თავადაზნაურობს ქონება ვაჭრების (მეჯღანუაშვილების და მიკირტუმების) ხელში გადადის. ნაწარმოებში ჩანს, რომ ქალაქი და სოფელი დიამეტრულ წინააღმდეგობაშია. ქალაქში სავაჭრო ბურჟუაზია მტკიცდება, სოფლად ჩამორჩენილი ბატონყმური მურნეობაა გაბატონებული. რაინდიძეები მეურნეობის უშუალო ხელმძღვანელობით ფიქრობენ ამ წინააღმდეგობის დაძლევას და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას. ეს ტენდენციები იკვეთება ამ რომანში, რაც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ მსგავსი ტენდენციების სიმკვეთრე XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებაში.

ლ. არდაზიანმა ამ ნაწარმოებში შესანიშნავად აღწერა კაპიტალიზირებული ქალაქი, მაგრამ ვფიქრობთ, ვერ შეძლო ეჩვენებინა ბატონყმური სოფლის ნამდვილი სახე.

ქართულ ლიტერატურაში მეჯღანუაშვილს ყავს თავისი წინამორბედი გ. ერისთავის კომედიებში გამოყვანილ ჩარჩ-მევახშეთა (კარაპეტა, მიკირტუმა, მარტიროზა...) სახით. მართალია, მეჯღანუაშვილი მათთან შედარებით უფრო განვითარებულია და სრულყოფილი, მაგრამ მათ შორის ბევრი რამ არის საერთო.

საზოგადო ცხოვრების სარბიელზე ბურჟუაზიის წარმომადგენლები ჯერ კიდევ ფრთხილობენ, მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საკუთარი ეტიკეტი. ამის გამო, ხშირად კომიკურ მდგომარეობაში ვარდებიან, როგორც მაგალითად სოლომონი და მისი ცოლ-შვილი, თეატრსა თუ ლხინში. მათ გვერდით კი რესპექტაბელურად გამოიყურება განათლებული თავადი - ალექსანდრე რაინდიძე. ასეთი დაპირისპირებით მწერალი მიუთითებს სავაჭრო ბურჟუაზიის დაბალ კულტურაზე. მაგრამ ნაწარმოებში ასახული მთელი რიგი მოვლენები აჩვენებს, რომ დღეს-ხვალ ისინიც შეძლებენ გაბედულად დაუდგნენ გვერდით არისტოკრატიას.

ლ. არდაზიანმა გვიჩვენა რეალობა. ცხოვრების ასპარეზზე როგორ ბატონდება ახალი სოციალური ფენა, ვაჭართა კლასი. მწერალი გვიჩვენებს, რომ მომავალი სავაჭრო ბურჟუაზიას ეკუთვნის. ერთ დროს გაბატონებული კლასის შთამომავალი რაინდიძეები დაქვეითების გზაზე დგანან. ბევრმა მათგანმა განათლება სწავლა მიიღო, ზოგიერთი გაიტაცა ქალაქურმა ცხოვრებამ, სოფელი დატოვა და ქალაქს მიაშურა, მაგრამ ქალაქში მათ აღარ დაედგომებათ, რადგან ქალაქს სავაჭრო ბურჯუა იპყრობს. საჭიროა თავადაზნაურობამ მიხედოს მის მიერ დატოვებულ სოფლის მეურნეობას და განავითაროს ის. ქართველ თავადაზნაურთა ქონება ვაჭრების, მეჯღანუაშვილების და მიკირტუმეების, ხელში გადადის.

როგორც ნაწარმოებში ვხვდებით ქალაქი და სოფელი დიამეტრულ წინააღმდეგობაშია. ქალაქში სავაჭრო ბურჟუაზია მტკიცდება, სოფლად ჩამორჩენილი ბატონყმური მურნეობაა გაბატონებული. რაინდიძეები მეურნეობის უშუალო ხელმძღვანელობით ფიქრობენ ამ წინააღმდეგობის დაძლევას და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას. ეს ტენდენციები იკვეთება ამ რომანში, რაც გვაფიქრებინებს მსგავსი ტენდენციების სიმკვეთრეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებაში.

საინტერესოა ლ. არდაზიანის პოზიცია მისი ნაწარმოების გმირებისადმი. არ ვიცი რამდენად შესამჩნევია ეს მკითხველისთვის, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, თითქოს მწერლის პოლიტიკური ინტერსები მიპყრობილია მაღალი წოდების საარსებო კითხვებისადმი. ის უჩვენებს მკითხველს, თუ რა ბედი მოელის იმ ფეოდალურ არისტოკრატიას მაშინ, როცა ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან მეჯღანუაშვილები და სარქისბეგაშვილები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მაღალი წოდების პრივილეგიებს. მწერალი დაინტერესებულია გამოსავალი აჩვენოს ფეოდალთა კლასის თანამშრომლობასა და წინსვლის შესაძლებლობაში. ამისთვის მას საკმარისად მიაჩნია ბურჟუაზიის ზნეობრივი და კულტურული დონის ზრდა, არისტოკრატიის მიერ შექმნილი მდგომარეობის შეგნება, მომჭირნეობით ხარჯვა ქონებისა, საკუთარი მეურნეობის განვითარება.

საერთოდ ლ. არდაზიანი ღრმად იხედება ბურჟუაზიული განვითარების გზაზე დამდგარი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მისი აზრით ფეოდალური მეურნეობის ნგრევის მიზეზი არა ამ უკანასკნელის ჩამორჩენილობაში და უვარგისობაში უნდა ვეძებოთ, არამედ ცალკეულ მებატონეთა გადაგვარებაში. ჩვენ ვიცით, რომ ბურბონების რესტავრაციისას ივლისის მონარქიის ეპოქა აღნიშნულია ისტორიაში, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების საისტორიო ველზე გამოსვლის პერიოდი. აქიდან იწყება ერთგვარი ახალი ისტორია, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა მრეწველობაა. ფული იქცა ისეთ ძალად, რომელსაც ვეღარ შეეტოქებოდა თავადაზნაურობის გაცვეთილი უპირატესობა. სახელმწიფო კონსტიტუციაში შესწორება შეაქვთ ან ახლად წერენ, რომ მდიდარს მიეცეს სათანადო ადგილი. ერთი სიტყვით, ფულმა ღირსება და ,,კეთილშობილთა“ წოდებას ღირებულება შეურყია. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის უდიდესმა მწერალმა ბალზაკმა ფული აქცია თავისი რომანის მთავარ გმირად. მის რომანებში, კაპიტალი - სულთა მპყრობელია. ეს ახალი განწყობილება, მალე იქცა ტენდენციად შემოვიდა საქართველოშიც, ნაყოფად კი ვიღებთ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სოლომონი პირველი გამოვლინებაა ქართული ბურჟუის ფენისა. გამდიდრებული ვაჭარი, რომელიც იწყებს ფულის შემგროვებლობას და არა მის

სარფიან დაბანდებას. ზემოთ ჩამოთვლილი ბევრი ნაკლის მიუხედავად სოლომონისთანა კინტოები, მაინც ლოგიკურად გამოვლენილი ფენაა გაღარიბებულ თავადებსა და გაღატაკებულ გლეხებს შორის. ეს არის ფენა ორ უკიდურეს ფენას შორის. თითქოს ოქროს შუალედს წარმოადგენს. აღნიშნული ნაწარმოები საუკეთესო ,,წყაროა“ ეპოქის ანალიზისთვის, XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის, როდესაც კრიტიკული რეალიზმი ფეხს იკიდებს. ეს ახალი ხედვაა ისტორიული კვლევისთვის. ერთი შეხედვით ნაკლებად სანდო, რადგან შესაძლოა ვივარაუდოთ ლიტერატურულ ნაწარმოებში ავტორისეული აბსტრაქტული ხედვა აცდენილი იყოს რეალური ფაქტებისგან. მაგრამ ფსიქოლოგიური კუთხით კრიტიკულ რელიზმში ასახული სხვისთვის ,,აბსტრაქტული აღქმა“, საფუძველია აწმყოს რეალური ყოფისა. ამდენად აღნიშნულ ლიტერატურულ ნაწარმოებში, ნათლად ვხედავთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებაში დამოკიდებულებას ,,ბურჟუის“ მიმართ და ამ ახლად წარმოქმნილი ფენის თავისებურებას ქართულ სინამდვილეში.

4.3. ავქსენტი ცაგარელი

,,ხანუმა“

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი დაიბადა 21 თებერვალს, 1857 წ. სოფ. დიღომში. ის იყო ქართველი დრამატურგი და მსახიობი. აქვსენტი ცაგარელი კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლად ითვლება. მისი ყურადღების ცენტრშია კაპიტალიზმის შემოჭრით სახეცვლილი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. უსახსროდ დარჩენილი თავადაზნაურობა, რომელიც ვერ თმობს ძველ პრივილეგიებს და უფლებებს. (ი. გრიშაშვილი 1936).

ავქსენტი ცაგარელის კომედია დაწერილია 1882 წელს, ნაჩვენებია ფეოდალური კლასის გაღატაკება და ზნეობრივი დაკნინება. ეს არის ბატონყმობის გაუქმების შემდგომი ეპოქა საქართველოში, რამაც ხელი შეუწყო ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრებას. ეს პროცესი სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობდა, მაგრამ ძველი ბატონყმური, სოციალური და ეკონომიკური სისტემის ნგრევა და ახალი ბურჟუაზული ურთიერთობის დამკვიდრება, მაინც წარმოადგენდა ეპოქის განმსაზღვრელ მოვლენას. ამ ორი უკიდურესი ფენის ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის ჭიდილი, ამ უკანასკნელის დაწინაურება, თავადაზაურთა მხრიდან მდიდარი ვაჭრების - როგორც შემოსავლის წყაროდ ქცევა დამოყვრების საფუძველზე, ასეთი ვითარებაა აღწერილი ავქსენტი ცაგარლის კომედიაში -„ხანუმა“.

კომედია იწყება მისი მოჯამაგირის, ტიმოთეს დიალოგით, რომელიც კიცხავს თავის გაღარიბებულ თვადს ფუქსავატური ცხოვრების გამო. ,,*დაყიდიან, ბატონო, რაც კი პური და ღვინო შემოუვა შემოდგომაზე, ჩასხდებიან ი ვერანა პარახოტში და ქალაქში გნიასს ჩამაიტანენ! ი ფულს სულ აქ მიფშვნეტამენ ერთ ორ კვირაში და შინ რომ დაბრუნდებიან, ზამთრის საგძალიც აღარა აქვთ! ძალიან უთაბაუთოთ ირჯებიან ჩვენი ბატონები.*“ [ა.

ცაგარელი 1936:1]; მწერალი ამ მონოლოგიური დიალოგით გვახედებს ქართველი თავადაზნაურობის იმ ყოფა-ცხოვრებაზე, რომელიც მათ დაუდგათ ბატონყობის გაუქმების შემდეგ. მიუხედავად იმისა რომ ტიმოთეს დიალოგი კომედიურ სახეს იღებს, დაკვირვებული თვალი უმალ შეამჩნევს იმ პერიოდში თავადაზნაურობის დაუფიქრებელ მფლანგველობას. მაგრამ მფლანგველობაც არის და მფლანგველობაც. აქ საქმე გადაჭარბებულ, უაზრო ფუქსავატურ ცხოვრებასთან გვაქვს, რომელსაც საღი აზრი არ ახლავს საფუძვლად.

ავქსენტი ცაგარლის კომედიის გმირი, შეძლებული ვაჭარი მიკირტუმ-ტყუილ-კოტრიანცი, გ. ერისთავის და ლ. არდაზიანის კომედიების გმირებთან შედარებით ხვდება განათლების მნიშვნელობას, ფულიც არ დაუზოგავს ქალიშვილ სონას განათლებისთვის, ინტეგრირებულია საზოგადოებაში და შესაბამისად არისტოკრატიისთვის მისი ოჯახი მისაღები კანდიდატურაა დამოყვრებისთვის. მიკირტუმას მთავარი საზრუნავია თავადაზნაურობის პრივილეგიათა მიღება. ის დაქვრივებულ, შუახნის, გაღარიბებულ თავადს სასიძოდ ირჩევს იმის გამო, რომ მას აქვს მამულები. ერთ-ერთ დიალოგში ის ამბობს შემდეგს: *„მთელ მაგათ გვარს ისე ვიცნობ, როგორც ჩემი ხუთი თითი. ეხლა ისეთი დროა, რომ სიმდიდრე მარტო მკვიდრი მამულია. ფული რა არის, ფული?! ხელის ტოლა მიწა ფეხქვეშ არა გაქვს, რომ თავისუფლად დადგე! აქ სხვა პოლიტიკური საქმეც არის. მაგ კნიაზს ჩემი ხუთასი თუმანი მართებს, ეგ მე თხოვნას ბევრს ვერას დამიწყებს: ხელში არ მიჭირავს, სწორედ დავახრჩობ! რასაც მივცემ, ჩემ ქალს მივცემ... მეორეც, რომ მთელი მაგისი სახლიკაცების მამულს სულ ხელში ჩავიგდებ: ერთი არ არის, ჩემი ფული არ ემართოს... მერე რა მამულია! მადანია, რაღა მადანი!.. იქნება რა ხდება, რა ვიცი... დროებას თავისი მოაქვს... ერთი ვნახოთ.* “[ა. ცაგარელი 1936: 37];

თავადაზნაურობა ფულს დახამებულია, ხოლო მიკირტუმასთვის მთავარი ფასეული სიმდიდრე უძრავ ქონებაშია, ამიტომაც იყო, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბურჟუაზიის წარმომდაგენლები ცდილობდნენ მემეულეთა მიწების ხელში ჩაგდებას.

საბოლოოდ მიკირტუმა უმოყვრდება თავადაზნაურული წარმოშობის ვანოს ძმისწულს და მოხარულია რომ ვანოს გარდაცვალების შემდეგ მას მემკვიდრეობით გადაეცემა მიწები. ამიტომაც მიკირტუმას მატერიალური ბუნება ბედნიერია მიღწეული შედეგით.

4.4. გიორგი წერეთელი

,,პირველი ნაბიჯი“

გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი დაიბადა 1842 წლის 26 მაისს გორში, შეძლებული აზნაურისა და სახელმწიფო მოხელის ოჯახში. დედა ადრე გარდაეცვალა და მამა იძულებული გახდა გაეძიძებინა. ასე მოხვდა ყმაწვილი სამეგრელოში, სადაც გაატარა ბავშვობა. სწორედ ამან განაპირობა მისი ფსევდონიმი — „მაზაკვალის“ (გამთვალავი) არჩევა.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1860 წლიდან სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის 1861 წელს რამდენიმე თვით დააპატიმრეს, ჯერ პეტრე-პავლეს ციხეში, შემდეგ კი კრონშტადტის საპყრობილეში. მას მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დართეს სწავლის გაგრძელების ნება.

გიორგი წერეთელი XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე. იყო პედაგოგი, პოეტი, დრამატურგი, თეატრალური კრიტიკოსი, ესტეტიკოსი, ფილოლოგი და სხვა. 1893 წელს საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო ლიტერატურულ გაზეთ „კვალს". მის თხზულებებს მიეკუთვნება: „პირველი ნაბიჯი“, „გულქანი“, „რუხი მგელი“, ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. (შ. ვაშაყმაძე 1987).

გიორგი წერეთელმაც კომედიოგრაფიის ჟანრით დაიწყო სალიტერატურო საქმიანობა. ამ მხრივ ის შეიძლება იმ ნაკადის გამგრძელელად ჩაითვალოს, რომელსაც სათავე ლავრენტი არდაზიანმა დაუდო. მისი სადებიუტო ნაწარმოები იყო ,,კიკოლიკი, ჩიკოლიკი და

კუდაბზიკა“, რომელიც დაიბეჭდა 1867 წელს ,,დროებაში“. ეს ნაწარმოები-მგზავრის წერილებია, რომელშიც აღწერილია დას. საქართველოს ყოფა. აქ ნაჩვენებია გლეხობაც, თავადაზნაურობაც და ინტელიგენციაც. ნაწარმოებში ასახულია მომენტი, როდესაც ბატონყმობის გადავარდნას ელიან სამეგრელო-სვანეთში, სადაც მოგზაურობდა ავტორი. აქ იგი საუბრობს ხალხის შეგნების განთავისუფლებაზე, ბატონყმობის მოსპობასა და მოქალაქეობრივი გარჯის გზაზე დაყენებაზე. ზოგადად, „ახალი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება, ახალი მეთოდების მიხედვით, ეს იყო საჭირო და ეს ხელმძღვანელობა ინტელიგენციამ იკისრა“ (გ. წერეთელი 1935).

თუ გიორგი წერეთლის პირველი მოთხრობა „კიკოლიკი“ ნახევრად პუბლიცისტური ნაწარმოებია, სამაგიეროდ შემდეგ ნაწარმოებში, რომან „პირველ ნაბიჯში“, რომლითაც დამტკიცდა გიორგი წერეთლის სერიოზული ავტორობა, იგრძნობა ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმე და ყოფის ცოცხალი სურათებით გამოხატვა.

სამართლიანად შენიშნავს ალექსანდრე ხახანაშვილი: *„არც ერთ მის წინამორბედ ქართულ რომანში, არ აღძრულა კრიმინალური საკითხი, რომლის ფონზეც ავტორი საზოგადოებრივ ურთიერთობას ჰკინძავს და ხსნის, არავის მანამდე ისე შორს ფართოდ არ გაუშლია მოთხრობის ქსელი, ასე ვრცელ გეოგრაფიულ რაიონზე, არვის არ უცდია ქართველი ერის ყველა მოდგმათა წარმომადგენლების გამოყვანა, მთელი თავისი ტიპურ ნიშნებით“.*[ვ. კოტეტიშვილი 1959]; ამ ნაწარმოებში იგივე მოტივები ისმის, როგორც ,,კიკოლიკში“ ვნახეთ, აქაც იგივე მხილებაა და ადამიანობისკენ მოწოდებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევეში ავტორი გველაპარაკება მქადაგებლის პირით ხოლო მეორე შემთხვევაში თვით მოქმედებიდან გამომდინარეობს.

,,იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა, მისმა წივილმა პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძლურებულ საქართველოს ერს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყივილი დასავლეთ საქართველოში. ფოთი აღინიშნა შავი ზღვის კიდეზე კავკასიის ბოღაზათ. სამეგრელოში ატყდა დიდი ფაცა-ფუცი, დიდი და პატარა ყველა ფოთისკენ გარბოდა. იმ დროს ერთადერთი ფულის მოსაგები კუთხე ფოთი შეიქნა. მალე

გაიკვერა კავკასიის შუაგულზე ქვეყნის სავაჭრო გზატკეცილი. დასავლეთით ფოთი შეიქნა კავკასიის სავაჭრო ყურე, ევროპისაკენ მიქცეული, და აღმოსავლეთით ბაქო- მეორე სავაჭრო ყურე, აზიისკენ მიქცეული. დადგა მეორე ხანა კაცობრიობის მოძრაობისა და კვლავ მოუბრუნდა იმედი კავკასიას; მასთან საქართველოსაც განუახლდა ძველიდგანვე დაკარგული სასოება, რომ ხელმეორედ გამხდარიყო კაცობრიობის განათლების გზათ და ხიდათ" [გ.წერეთელი 2010: 3]. ეს ახალი დრო იყო და გიორგი წერეთლის დამსახურებაც იმაში გამოიხატა, რომ აღგვიწერა ის ახალი ფსიქიკა, რომელიც იმ დრომ შექმნა.

რომანის მთავარი მოქმედი გმირბი არიან: ბახვა ფულავა და იერემია წარბა. პირველი გლეხობის წარმომადგენელია, მეორე არისტოკრატიის. მთელი რომანი მათი ინტერესთა კონფლიქტია, რაც არსებითად ძველი თემაა, მაგრამ ახალ პირობებში თემაც ახლდება და ორიგინალურად იშლება. ფარული ტენდენცია კი ასეთია: ,,ბრწყინვალე წოდება ახალი ცხოვრებისთვის გამოუსადეგარია, რადგან იერემია წარბას მსგავსი ხალხი მოქმედების გზას ვერ დაადგება. მომავალი გლეხობისაა, რომლის წარმომადგენელიც ბახვა ფულავაა, რომელიც ახალ პირობებს კარგად ეგუება, მდიდრდება, ძველი მებატონის დანგრეულ ბუდეს ეპატრონება და მრეწველობის ქსელებს აბამს.

პარალელურად აღწერს ავტორი ქალ პერსონაჟებსაც: მშრომელთა წრიდან გამოსულ ესმას უპირისპირდება თავადის ქალი ვალიდა. პირველი-მკერავი ქალია, პატიოსანი, გამრჯე, რომელსაც მხოლოდ ის ბედნიერება უნდა, რომელიც მისი საკუთარი მარჯვენით შეიქნება, მეორე კი - საკუთარი გრძნობებით და ერთგვარად სხეულითაც ვაჭრობს, ბრწყინვალე სალონებში კეკლუცობს, მზამზარეულზე ნებივრობს, განცხრომის ტალღებში დაცურავს და თავიდან ბოლომდე მეძავობს სულით და ხორცით. ეს ორი ქვეყანაა, ჯერ ისევ ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული, მხოლოდ იმ გარკვეული ტენდენციით, რომ მომავალი საბოლოოდ შრომის ქვეყნისაა და თუმცა ჯერ იერემია წარბებს რჩებათ გამარჯვება, მაგრამ საბოლოოდ, მაინც მშრომელი ხალხის შურისძიება მოუღებს ბოლოს.

ბახვა ფულავა, ამ შემთხვევაში მშრომელი ხალხის წარმომადგენელია. მართალია, ის გამდიდრდა, თავის წრეს მოსწყდა, მაგრამ თავისი წარსული ზურგით დააქვს, რომ ის

თეკლათის სერებზე თხებს მწყემსავდა და ფეხშიშველი შეუდგა თავის კარიერას. იერემია წარბასთან შედარებით, ის პროგრესული ელემენტია. ფოთში კაპიტალმა ფეხი შემოსდგა, ბახვა ფულავა არის ერთი პირველი ქართველი კაპიტალისტთაგანი, მართალია მცირე მაშტაბით, მაგრამ ქართული სინამდვილის შესაფერისად. საბოლოოდ ის ამარცხებს იერემია წარბას, ე. ი. კაპიტალიზმი დაამარცხებს ფეოდალიზმის ნაშთებს და ამიტომ არის, რომ ჩვენი ავტორი საგანგებო თანაგრძნობით ეკიდება თავის გმირს და მკითხველსაც თითქოს მის სასარგებლოდ მომართავს.

პარალელიზმი თვით გამდიდრების საკითხშიც ცნაურდება. ბახვა ფულავა თავისი შრომით მდიდრდება, მაგრამ იერემია წარბასაც რომ აღეძვრის ეს საღერღელი, ის მდიდარი სომხის ქალს ირთავს, ყოველგვარი სიყვარულის გარეშე. საინტერესო მომენტია. აქაც ძველი ფსიქოლოგია ჩნდება, მხოლოდ ახალი ფორმით. სხვის ხარჯზე ცხოვრებას დაჩვეულთა შთამომავალი, თვითონაც ვერ ახერხებს შრომას, ცხოვრება კი განცხრომით უნდა, ამიტომ ეს გზა აირჩია უშრომელად გამდიდრებისთვის.

ერთი სიტყვით, ბახვა ფულავა და ესმა ახალი ქვეყნის წარმომადგენლები არიან, იერემია წარბა და ვალიდა კი - ძველის. პირველთა ცხოვრებას მრავალი დაბრკოლება ხვდება, მაგრამ მაინც საბოლოოდ ისტორია მათკენ იხრება. მეორენი მართალია, ყოველგვარ დაბრკოლებას ადვილად სძლევენ, მაგრამ ისტორიამ ისინი ბოლო რანგზე მოისროლა. რომანის მთავარი ძარღვია ესმასა და ბახვას შორის სიყვარული, რომელსაც იერემია წარბაც ჩაერთვის, რაც საშინელი მკვლელობით და შურისძიებით მთავრდება.

ამ მთავარი მოტივის გარშემო, სხვადასხვა მოტივების ისეთი რთული გარსია მოქსოვილი, რომ მთელი ეპოქა ცოცხლდება, მთელი თავისი გაბზარული ფსიქოლოგიით, თავადაზნაურული მედიდურობის გადაშენებით, სამრეწველო ინტერესების ჩასახვით, ინტელიგენციის გზააბნეულობით, მტკიცე მორალური საფუძვლის უქონლობით, სწავლა-განათლების ბიუროკრატიული ტენდენციებით და სხვა. ერთი სიტყვით ეპოქის მძლავრი ხელის მოხვევით და მისაღებ თუ უარყოფითი მხარეების მკაფიო და ცოცხალი ჩვენებით.

გიორგი წერეთელი ნატურალისტის სახელით არის ჩვენს მწერლობაში ცნობილი. თავად კი, თავის მიმართულებას „შეუფარა რეალიზმს“ უწოდებდა. ის ამ უკანასკნელის ცნებით, გაემიჯნა იმ მიმართულებას, რომელიც ილია ჭავჭავაძემ შემოიღო. ი. ჭავჭავაძის რეალიზმი მან „შეკეთებულად“ გამოაცხადა. ის ერთგვარად ლავრენტი არდაზიანსაც ენათესავება თემის მხრივ, რამდენადაც ახალი სამრეწველო ეპოქა აქცია თავისი მხატვრობის საგნად, მაგრამ თვით მხატვრობის ხასიათით, ის მაინც ილიას სკოლის ტიპიური წარმომადგენელია.

თავი V. ქართველი პუბლიცისტები

5.1 დიმიტრი ყიფიანი

მემუარებს დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული ცხოვრების შესწავლის საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებულია დიმიტრი ყიფიანის მოგონებები, რომელიც შეიცავს საისტორიო ხასიათის ინფორმაციას. ქართულ საზოგადოებრივ სისტემაში დამკვიდრებულ ბურჟუაზიული ურთიერთობების განხილვისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ დ. ყიფიანის შეხედულებებს. კერძოდ, შეხედულებები სოფლის მეურნეობის რაციონალურ გამოყენებასა და თავადაზნაურობის კლასის გადარჩენაზე. ამ იდეებს იზიარებდა არდაზიანიც და თავის ნაწარმოებში ის თავადაზნაურთა გადარჩენის გზად სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარებას სახავდა.

დ. ყიფიანს ესმოდა ვაჭრობის განვითარების მნიშვნელობა საზოგადოებაში და იბრძოდა სოფლის მეურნეობის ახალ რაციონალურ საფუძვლებზე-ევროპულ სისტემაზე გადაყვანისთვის. სავსებით იზიარებდა იმ ეპოქისთვის ასეთ პროგრესულ პროგრამებს და იცავდა მას პრესაში. ის ასევე ვორონცოვის მიერ 1850 წ. დაარსებულ ,,კავკასიის სასოფლო მეურნეობის საბჭოს“ წევრი იყო და თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდა ჩვენი ცხოვრების ევროპეიზაციას, მოუწოდებდა თავადაზნაურობას ამ ახალი ვითარებისთვის, რასაც სოფლის

მეურნეობის რაციონალური გამოყენება და ევროპული სტანდრტების მიხედვით ეკონომიკის განვითარება ეწოდება.

დ. ყიფიანის აზროვნება და მსოფლმხედველობა გამოხატავდა არისტოკრატიის - წარმავალი კლასის ინტერესებს. მისი მთავარი მიზანი იყო გადაერჩინა ეს წოდება განადგურებისგან და შეენარჩუნებინა მისთვის საზოგადოებრივი პრივილეგიები. თუმცა ისტორიული ცხოვრების შეურყეველ მიმდინარეობის შეჩერება არ შეეძლო, ისეთ დიდ პიროვნებასაც კი, როგორიც დ. ყიფიანი იყო. მან ვერ შეძლო თავად-აზნაურობის განკურნება ღრმა ეკონომიკური ჭრილობებისა და საზოგადოებრივი დაცემისგან. საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ვითარება ახალ მეთაურებს აყენებდა, შესაბამისად დ. ყიფიანის სამოღვაწეო პროგრამასთან ამ ახალ კლასს - ბურჟუაზიას არ შეეძლო რაიმე საერთო ჰქონოდა [დ. ყიფიანი MGMXXX].

5.2. სერგეი მესხი

სერგეი მესხი ერთ პუბლიცისტურ წერილში შეეხება, ვაჭრობის საკითხს, რომელიც ასახავს XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ ეკონომიკურ კლიმატს და სავაჭრო სისტემის ქალაქში არათანაბარ გადანაწილებას. ის ამბობს, რომ ქალაქში ვაჭრობა რამდენიმე დაწინაურებული მოვაჭრის ხელშია, რომლებიც სურვილისამებრ ცვლიან ეკონომიკურ კლიმატს, თავიანთ ამბიციებსა და მისწრაფებებში ხლართავენ და თავისუფლად არსებობის საშუალებას არ აძლევენ მწვრილ მოვაჭრეებს.

დაწინაურებულ ვაჭრების დომინანტური მდგომარება, სერგი მესხის აზრით, არამარტო ვაჭრობის სადავეების ხელში მომართვას გულისხმობს, არამედ ქალაქის საგამგებლო მმართველობის მოქცევასაც. ქალაქის გამგებლად ინიშნებოდა, ისეთი პირები, რომლებიც ვაჭრების ეკონომიკურ პოლიტიკას ხელს მოუმართავდა. სასურველი მიზნის მისაღწევად ისინი იმ ვაჭრებს იყენებენ, რომლებიც დავალებულნი იყვნენ მათზე ფულით. ამიტომაც ს. მესხი სავაჭრო სისტემის რამდენიმე დაწინაურებული მოვაჭრის კაცის ხელში მოქცევას უარყოფით გავლენად მოიაზრებს საზოგადოების ცხოვრებაში.(ს. მეხი 1964)

სერგეი მესხი თავის წერილში საუბრობს გამოსავალზე, თუ როგორაა შესაძლებელი ამ დომინანტი ვაჭრებისგან წვრილი ვაჭრების განთვისუფლება და შევიწროვებული ქალაქის ცხოვრების შემსუბუქება. მისი თქმით ეს გამოსავალი თვითონ წვრილი ვაჭრების ხელშია: *,,მიეცით პირი ერთმანეთს, მომეტებული თანხმობა, უფრო გონივრული გაგება გქონდეთ თქვენი საზოგაო სარგებლისა და დამეწრმუნეთ, რომ რამდენიმე ფულიანი კაცი თქვენ ბრძანებლად აღარ იქნებიან. გაიგეთ რომ თქვენ ძალა ხართ და ეს ძალა მხოლოდ მაშინ განხორიელდექა როდესაც განცალკევებულნი ერთად შეერთდებით, როდესაც ერთურთ შორის თანხობითა და ხელის შეწყობით წაიყვანთ საქმეს. შეძლებულნიც იმიტომ არიან შეძლებულნი რომ იმათ ერთანეთში პირი აქვთ, ერთმანეთს არ ღალტობენ და ყოვლეთვის თანხმობით მოქმედებენ.“*[ს. მესხი 1964: 75]

პუბლიცისტი ქალაქში ახალი ეკონომიკური პოტენციალის სისტემას, რომელსაც ბანკი ეწოდება ,,გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობას“ უწოდებს. იმხანად ახლად იყო დამტკიცებული და მალე იხსნებოდა თბილისში. მისი აზრით ბანკი სარგებელს მისცემდა ყველა წვრილ ვაჭარს, ყველა მოხელეს, რომლებიც ბანკის წევრები გახდებოდნენ. ბანკის წარმატებით დაწინაურება არამარტო წვრილ ვაჭრებს მოუმართავდა ხელს, არამედ ქალაქის ღარიბ მაცხოვრებლებსაც მოუტანდა დიდ სარგებელს.

მისი აზრით ბანკის არსებობის საჭიროება იმით იყო გამოწვეული, რომ ღარიბ მოსახლეობას და გლეხებს კრედიტი თუმნობით სჭირდებოდათ და არაა ათასობით, გაჭირვების დროს ეს ბანკი მოუმართავდა ხელს ღარიბ მოხელეებს და ვაჭრებს. ისინი იძულებულნი არ იქნებოდნენ დაწინაურებულ ვაჭართან მისულიყვნენ და მანეთში, ნახევარი მანეთი სარგებელი ეძლიათ, *,,...განთავისუფლებიან სხვა მხრითაც იმათის დამოკიდებულებისგან: იძულებეული აღარ იქნებიან იმათ ნებაზე იარონ ყოველთვის და განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საზოგადო ინტერსებზეა სჯა. იძულებეულნი აღარ იქნებიან ქალაქის ამორჩევების დროს, იმათ ბრძანება აასრულონ და ისეთი კაცები აირჩიონ, რომელნიც ღარიბებისა და ქალაქის სიკეთისთვის თითქმის სრულებით არ ზრუნავენ. ყველა ეს აქ ჩამოთვვლილი სარგებლობა იმ ახალი ბანკისა, რომელიც ამ ჟამით*

უფ. ანდრია კაპანაძის თაოსნობით იხსნება. ერთ მეათედ ნაწილს რომ ხანდახან მაინც მოუმართოს ხელი გაჭირვებს დროს, დიდი საქმეა“ [ს.მესხი 1964:76]

ს. მესხი სწორად იაზრებდა იმ პერიოდში სოციუმში შექმნილ დისბალანს. ეკონომიკური და პრივილეგირებული მდგომარეობა ვაჭრების ხელში იყო მოქცეული. პუბლიცისტი ამ სიტუაციიდან გამოსავალს ხედავდა, რომ ბანკისგან მიეღოთ სარგებელი წვრილ ვაჭრებს, ღარიბ გლეხებს და ჩაბმულიყვნენ ეკონომიკის იმ ფერხულში, სადაც სარგებლობას არა ერთი დაწინაურებული მხარე, არამედ სხვა მხარეც მიიღებდა.

5.3 არჩილ ჯორჯაძე

არჩილ ჯორჯაძე თავის პუბლიციტურ ნაშრომში გაზეთ ცისკარში აქვეყნებს, რომელიც ეძღვნება ბურჟუას დაკვირებისას თავდაზნაურთა ეკონომიკურ დაკნინებას და იმ სახელმწიფო მექნაიზმებს, რომელიც გაატარა ვორონცოვმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში. კერძოდ დაარსდა 1850 წელ დაარსდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომლის დაარსების მიზანი იყო აღედგინა და ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობისათვის, მაგრამ, როგორც ვგებულობთ „ცისკრის“ პერიოდული გამოცემებიდან, გაუმჯობესება სოფლის მეურნეობაში ისევ უნუგეშო მდგომარეობაში იყო. საქმე მხოლოდ საზოგადოების დაარსებაში და ნაშრომების გამოცემაში არ იყო, რადგან როგორც არჩილ ჯორჯაძე საუბრობს იმ პერიოდში ჩვენ განვიცდიდით დიდ ეკონომიკურ ცვლილებას და საჭირო იყო ჩახედვა ამ ცვლილებათა სიღრმეში. (ა. ჯორჯაძე 1941).

ალ. ორბელიანს ერთ თავის წერილში ,,ჩვენი საქართველოს საზოგადოება“ თითქოს ჰქონდა წადილი ამგვარი ჩახედვისა, მის მიერ პრობლემათა სინთეზირებულად წარმოდგენა სრულიად ასახაავდა მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოების სოციალურ ფონს: *,,ისე გავღარიბდით ამბობს თავად-აზნაურების შესახებ, რომ ღარიბ გლეხკაცებზე უფრო მომატებით, თუ ვაჭრობისათვის არას ვიფიქრებთ და სხვას შესამატს კარგსა. არც თოფი ვარგა და არც ხმალი- ვმადლობ ღმერთსა რაღაც მნიშვნელობაა, იქ რა არის საჭირო- სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი, გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ ყველას ეს ფიქრი უნდა ჰქონდეს ახლა“.* [,,ცისკარი“ 1859: N-10];

საინტერესოდ გვიხატავს არჩილ ჯორჯაძე ვორონცოვის განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ ხასიათს. მისი აზრით ვორონცოვისთვისაც ამოსავალი წერტილი ქვეყნის ეკონომიკური დაწიანურებისთვის სწორედ განათლებით განისაზღვრებოდა. მან ამ მისიის შუამავლად თავადაზნაურობა აირჩია, ამბობს არჩილ ჯორჯაძე. მისი თქმით ვორონცოვი ყველა ღონეს ხმარობდა აემაღლებინა და გაემაგრებინა სოციალური მდგომარეობა თავად-აზნაურობისა, ხელი შეუწყო ეროვნული კულტურის აღორძინებასაც, ამ მხრივ ცდა მართლაც ნაყოფიერი აღმოჩნდა, მაგრამ რაც შეეხება თავად-აზნაურობის სოციალურ მდგომარეობას შედეგი სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა (ა. ჯორჯაძე 1941).

ჯორჯაძის თქმით, თუ ადრე თავიანთ ბუდეებში იყო გამომწყვდეული თავადაზნაურობა და სჯერდებოდნენ იმას, რასაც აძლევდა ბატონ-ყმური შრომა. დროება შეიცვალა, თბილისში გაჩაღდა სხვაგვარი ცხოვრება და ამ სხვანაირ ცხოვრებას მიესია თავად-აზნაურობა. ვორონცოვი უხვად აწესებდა ქართველი თავად-აზნაურობისთვის სამსახურს. შემოსავლიანი ადგილები, მხიარული დროს ტარება, ნადიმები. ყოველივე ეს მებატონეს სოფლიდან ქალაქისკენ იზიდავდა. ყველაფერ ამას დაემატა თბილისში საადგილმამულო ბანკის *,,პრიკაზის“ დაარსება.* ამ ბანკის აზრი იყო რომ მემამულეს სესხის აღება შეძლებოდა და სესხი მამულის რესტავრაციისთვის მოეხმარა. *,,როგორც ფუტკარი თაფლს, ისე დაეწაფნენ მემამულეები ამ ბანკს, ფული კი მამულების განახლებას არ მოხმარდა“* [ა.

ჯორჯაძე 1941: 39). მაგრამ მამულების დაგირავების დროს არც პრიკაზმა ნახა ხეირი, უმეტესად მამულები ერთმანეთისგნ არ იყო გამიჯნული და ზოგჯერ არც კი იცოდა დანამდვილებით რას გირაობდა, სარგებელი არავის შეჰქონდა, ბევრ თავადაზნაურსაც ეპატია კიდეც ეს ვალი. შედეგი კი ის იყო რომ მემამულემ თავის მამულს ვაჭრული თვალით დაუწყო ყურება, რათა მეტი სარგებელი ენახა, სანამ უშუალოდ ამ სიხარბემა მართლაც ვაჭრის ხელში არ აღმოაჩინა თავისი მამული. ამენად არც ვორონცოვის პერიოდი აღმოჩნდა თავად-აზნაურობისთვის სახაარბიელო, პირიქთ ამ უკანასკენელთათვის დამღუპველი აღმოჩნდა.

მართალია ამ გარემოებას, ე.ი თავადაზნაურთა წოდების დაცემას და მიწის მობილიზაციას სხვა შედეგებიც მოჰყვა; სხვა ელემეტები გამოვიდნენ ასპარეზზე: წვრილ მესაკუთრე - ქართველებში, მსხვილი ბურჟუაზია - სომხებში. ა. ჯორჯაძე ამ მოსაზრებას შემდეგი სიტყვებით ამყარებს: *,,თუ პირველ სანამესტნიკოში სასახლეს გარს ერტყნენ ქართველები, ახლა სომხების ჯერი მოდგა. თუ წინად პატივი ,,კეთილშობილებას" ჰქონდა, ახლა იგივე პატივი სქელ ჯიბეს მიენიჭა. მოხდა დიდი და ღრმა ცვლილება და ჩვენთთვის.* [ა.ჯორჯაძე: 1941: 40).

5.4 ნიკო ნიკოლაძე

ცნობილი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე გვიხატავს ქართული სინამდვილის ვაჭრულ თვისებას: *,,გაყიდვის დროს ცდილობენ თუ რა გზით როგორ წააღლიტონ მყიდველს ორიოდე ნამეტანი გროში-ამას ჩვენში ვაჭრობას ეძახიან. ეს ვაჭრობა კი არა ღმერთმა იცის რაა? როგორ არ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ რომ ვაჭრობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებული, აზრიანი, პატიოსანი კაცი ცდილობს შეიტყოს რა ადგილი იშოვნება იათვად, რომელიმე საგანი რა გზით უფრო სახეიროა ამ საგნის გადატან და რა საშუალებით ამ საგნის საჩქაროთ გასაღება, რომ მასში გაცემული ფული მალე უკან დაბრუნდეს."* [ნ. ნიკოლაძე 180-77: 17].

პუბლიცისტი ეკონომიკის განვითარების და სტაბილურობის აუცილებელ გზად სახავს საზოგადოების მხრიდან საექსპორტო ფუნქციით დაინტერესებას, რაც ქვეყნიდან ისეთი პროდუქტის გატანას გულისხმობს, რომელიც ქვეყანაში არ საღდებოდა და მისი აზრით ვაჭრობა ვალდებული იყო ეპოვნა ამ საგნების გასასაღებელი ადგილი. ის ამბობს რომ ვაჭრები ამ დანიშნულებას არ ასრულებდნენ: *„მათი აზრით ტფილისსა და მაკარიას მეტი ადგილი არ არის“.* [ნ. ნიკოლაძე 170-77: 18] მისი თქმით, ის რომ ეს ხეირიანი საქმე ასრულდეს, საჭიროა ამ საქმეს ხელი მოჰკიდო განათლებულმა, გონიერმა და ნასწავლმა პირმა.

ნ. ნიკოლაძე ასევე საუბრობს იმ გარემოებებზე, რაც არსებობდა უწინდელ დროში, როდესაც ვაჭარს უხდებოდა ისეთ დროში ვაჭრობის საქმის წარმართვა, როცა ქვეყანაში ავაზაკობა სუფევდა, გზები იყო ცუდი, ვაჭარს უწევდა სანდო და მოკლე გზის გამოძებნა, რომ საქონელი ეყიდა ან გაესაღებინა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც შორ გზაზე წასულ ვაჭარს ან საქონელი გაფუჭებია, ან კიდევ ზარალში წასულა გარემო ფაქტორების გამოისობით. ამიტომ უწინდელ დროში, როდესაც არ არსებობდა ვაჭრობისთვის ხელსაყრელი პირობები, თითო-ოროლა ვაჭარი მაინც რისკავდა, ეძებდა გზებს, თავისი საქმიანობის წარმოებისთვის: *„ვაჭრებს კარგად ესმოდათ თავიანთი საჭიროება და სარგებლობა-ისინი სადაც კი შეეძლოთ მოგებას ხელს არ აკლებდნენ და თავიანთი შრომით და მოხერხებით კარგ სიმდიდრეს აგროვებდნენ“.* [ნ. ნიკოლაძე 1870-77: 199].

შემდეგში უკვე როდესაც გაიმართა გზები, რა თქმა უნდა ვაჭრებმაც ადვილად დაიწყეს გარემო პირობეის ხელშეწყობით თავიანთი საქმის გაფართოვება და მათი რაოდენობაც საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ პუბლიცისტის აზრით მომრავლებული ვაჭრებს ცუდი გავლენა ჰქონდა ხალხზე, რადგან *,,უფრო მეტ რიცხვს მიჰქონა მოგება და სარებლობა, უფრო მეტი რიცხვი სჭამდა უმაქნისად პურსა“*[ნ. ნიკოლაძე 1870-77:199].

პუბლიცისტი გამოყოფს გამდიდრებულ ვაჭრებს წვრილი მოვაჭრეებისგან, რომელთაც დომინანტური პოზიცია უჭირავთ და ბევრად ცბიერები არიან. ისინი ჯერ აგროვებენ რამე საგანს ან საქონელს მანამ, სანამ სხვა ვაჭრებს არ გამოელევათ და შემდგომ იწყებენ

თავიანთი პროდუქტის გასაღებას და ფასსაც თავიანთი სურვილის და მოგების შესაფერისად ამატებენ. როდესაც გასაყიდი საქონლის ფასი გაბევრებულია ნიკოლაძის თქმით: *„ხალხი ტყუილა იხდის ფულს და ღარიბდება ვაჭრების გასამდიდრებლად“.* [ნ. ნიკოლაძე 1870-77:199]

ნ. ნიკოლაძე საუბრობს ერთ-ერთ მის პუბლიცისტურ წერილში იმ მეცნიერების შესახებ რომელსაც მან „საზოგადო“ ეკონომია უწოდა. მისი აზრით, ეს დარგი იკვლევს იმ გარემოებებს, თუ რა ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას ხალხის გამდიდრებაზე და მის ავ, თუ კარგ მდგომარეობაზე. მისი ცნობით: *„როდესაც ამ მეცნიერებაში გართული სწავლულები დაუკვირდნენ ეხლანდელი ვაჭრობის საქმეს და მდგომარეობას, იმათ დაინახეს რომ ეხლანდელ დროში საზოგადოებას ძალიან ადვილად შეუძლია უვაჭრობოდ გაძლება და თავიანთთვის იმ მოგების შენახვა, რომელიც ახლა ვაჭრების ხელშია.“*[ნ. ნიკოლაძე 1870-77: 200] ის ასევე აკეთებს ანალიზს, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას ვაჭრობის გარეშე ცხოვრება. კერძოდ, პუბლიცისტი გვიზიარებს ამ დარგში ჩახედული სპეციალისტების დასკვნას, როგორ რეალიზდება საწარმოში გაკეთებული პროდუქტი ვაჭარსა და მომხმარებელს შორის. მოვახდენ ამ პუბლიცისტური წერილის ინტერპრეტაციას. როცა მწარმოებელი აწარმოებს პროდუქტს, ის ცალობით არ ჰყიდის, მწარმოებლისგან ყიდულობს ვაჭარი, პირობითად მოსკოველი ვაჭარი, რომელსაც დიდ ქალაქში, ანუ მოსკოვში აქვს მაღაზია, ის ამ პროდუქტის ნაწილს ნისიად ყიდის, ნაწილს კი ნაღდი ფულით. ის, რაც ნისიად არის გაყიდული ნაღდ ფულზე უფრო ძვირი უჯდება მყიდველს. ვაჭრის პრინციპია ამ პროდუქტებზე ნახოს მოგება, რომ დარჩეს ქირის, ახალი სქონლის შესაძენად და კიდევ მოგებისთვის ფული. ახლა ის მყიდველი ვინც ვაჭრისგან ყიდულობს პროდუქტს, პირობითად ამ მყიდველს არქმევს პუბლიცისტი თფილისელ ვაჭარს, მას ეს პროდუქტი მიაქვს თავის მაღაზიაში, იქაც იმ პრინციპით ასაღებს, როგორც ზემოთ ხსენებული ვაჭარი, მაგრამ აქ ის უკვე მეწვრილმანესთა ასაღებს. ეს მეწვრილმანე კიდევ უკვე სოფლებში ან პატარა ქალაქებში ან თბილისის ქუჩებში ჰყდის. ამ მეწრილმანესაც თავის ხარჯებია აქვს და ისიც თავის საქონელს ან ნისიად ჰყიდის, ან კიდევ ნაღდი ფულით. ნიკო ნიკოლძე ამბობს რომ

,,ამნაირათ მოსკოვის, თფილისის ვაჭრებს და მეწვრილმანის ხარჯი, მოგება და სარგებელი, რომ ვიანგარიშოთ, დავინახავთ, რომ ის საქონელი, რომელიც გაკეთებელს პირველათ მანეთად გაუყიდნია, ჩვენ, მყიდველებს, მომხმარებელებს, სამ მანეთად გვიჯდება. რათ გადის ჩვენი ჯიბიდან ეს ნამეტაი ფული? განა არ შეიძლება ისე გაიწყოს საქმე, რომ პირდაპირ იმართებოდეს აღებ-მიცემობა გამკეთებელსა და მომხმარებელს შუა და ვაჭრებს რაც მოგება ან სარგებლობა რჩებათ, ის ტვითონ მყიდველის, მომხმარებლსი ხელში დარჩეს? სწავლულებმა თქვეს, ეს დიახ შესაძლებელიაო". [ნ. ნიკოლაძე 1870-77: 201]

5.5 ნოე ჟორდანია

ნოე ჟორდანია XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებული სოციალური ცვლილებების მიზეზად, ასახელებს ბატონყმობს გაუქმების შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. ყველასთვის ცხადია, რომ გლეხკაცობა ბატონყმობის მოსპობამდე ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. გლეხი ბატონის საკუთრებას წარმოადგენდა, რაკი გლეხი სრულიად დამოკიდებული იყო თავის ბატონ-პატრონზე, აშკარაა რომ მისი შრომა არ იქნებოდა თავისუფალი, აქ შრომა ბორკილ-დადებული, შებოჭილი იყო.

როდესაც მოისპო ბატონყმობა ერთი სამარცხვინო მიზეზის ადამიანის უფლების გაქელვისა და შეურაცყოფისა. *,,ერთს ჩამოერთვა ის, რაც მეორესთვის შეურაცყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უსამათლოთ წართმეული ჰქონდა".* [ი. ჭავჭავაძე 1877: 1]; ყმა გათავისუფლდა ბატონის დამოკიდებულებისგან. ნოე ჟორდანიას აზრით, ეს გათავისუფლება სრული არ იყო, გლეხი გამოუშვეს ცხოვრების სარბიელზე უმიწა-წყალოდ. შესაბამისად გლეხს საარსებოდ სჭირდებოდა სამოსახლო, რომელსაც ის ამ ,,მოწყალებას" ბატონისგან იღებდა, იქ ბინავდებოდა და ქირას იხდიდა ბატონის სასარგებლოდ, მიუხედავად სიტუაციის ამგვარი განვითარებისა, მისი აზრით, გლეხი გახდა სრულიად დამოუკიდებელი, ის შეიქმნა ერთადერთი პატრონი საკუთარის ძალ-ღონის, საკუთარი შრომისა და მონაგარისა. (ნ. ჟორდანია 1922).

პუბლიცისტის აზრით გლეხის დამოუკიდებლობა-ეს იყო მიზეზი იმ ეკონომიკურ ცვლილებებისა, რომლის მოწამე გახდა სზოგადოება ამ პერიოდში. განთავისფლებული შრომა- აი რა დაედვა სარჩულათ ახალ ცხოვრებას, რაკი გლეხმა თავისუფლება ხელთ იგდო, ის გაექან-გამოექანა, მიდგა-მოდგა ცხოვრებაში და მედგრათ შეებრძოლა ცხოვრების აზვირთებულ ტალღებს. ნ. ჟორდანიას თქმით როცა გლეხმა თავისი თავი იგრძნო მარტო-ხელად დაიწყო ცალკე შრომა, ერთმანეთის დაუხმარებლად ამნაირი ხალხის გულში ამოხეთქა ახალმა აზრმა: „განცალკევებამ, განვითარებამ და ინდივიდუალიზმმა". აქედან იწყება ქონებრივი დანაწილება, სადაც ერთი თანდათან წელს იმაგრებს და ღონიერდება, ხოლო მეორე სამაგიეროდ უძლურდება და ღატაკდება.

,,მეტყვიან: გლეხი ღარიბი, გლეხი მდიდარი ორივე გლეხია, ორივე თანასწორ მოვალეობას ასრულებენო" [ნ. ჟორდანია 1922: გვ45]; ცნობილი პუბლიცისტის აზრით მსგავსი დამოკიდებულება ჭეშმარიტებას აცდენილია, რადგან მისი აზრით გლეხ-კაცობა ეკონომიურად დანაწილდა, უფლება-მოვალეობაც უნდა დანაწილებულიყო, რომლის ქვაკუთხედს ქონებრივი მდომარეობა შეადგენს. მისი აზრით ქონება და უფლება - ეს ორი მხარეა ერთი და იგივე მოვლენისა. ვინც თავის ხელში სიმდიდრეს აგროვებს, ის ამით უფლებასაც იძენს. ქონება თავისკენ იზიდავს უფლებას თუ შეიძლება ასე ვთქვათ. ამ მწარე

სინამდვილემ გამოაშკარავა ერთი ჭეშმარიტება: ეკონომიკური ურთიერთობა არის საფუძველი უფლებრივი ურთიერთობისა: ქოთანს ყურს საითაც უნდა იქითკენ გამოაბამს.

მისი აზრით სიმდიდრე დაგროვებული გლეხის ცნობიერებაც და ცბირებაც უფრო გასიგრძიგანებული აქვს და მეტად შეუძლია ღარიბი ცნობიერება და ინდივიულიზმს მოკლებული გლეხს უფრო მეტად წაართვას და უსამართლოდ მოექცეს, ამაზე პუბლიცისტი მწერალი ამბობს: *,,ამ შემთხვევაში ხალხი ცხვრის ფარაა, საითკენაც სურთ იქით გარეკენ, როგორც სურთ ისე გაკრეჭენ ვინაა ხმის ამომღები და წინააღმდეგი!" ცხადია გლეხს სიღარიბე მოფიქრების ნებას არ აძლევს, ის მოკლებულია საკუთარ შეხედულებას, მისი ცხოვრება წყვდიადით არის გარემოცული, სადაც ცნობიერება ვერ ჩაუღწევია.*" [ნ. ჟორდანია 1922: გვ.47].

პუბლცისტის აზრით ბატონ-ყმობის მოსპობიდან საზოგადო ცხოვრებაში დამკიდრდა მოვახშე, მოსარგებლე თანხა (კაპიტალი). ამის არსებითი თვისება იმაში იხატება, რომ ის პირდაპირ არ გადადის წარმოებაში, მისი აზრით ასეთი ფულის პატრონი მწარმოებელი არ არის. როდესაც ფული ფულს უგებს უშუამდგომლოდ, იგებს საქმეში დაუნდობლად, აქ არანაირი შრომა და წესრიგი, კანონიერება არ არსებობს. ერთის ჯიბე ივსება რამოდენიმე ხანს მხოლოდ იმის გამო, რომ შიგ რამდენიმე ხან სხვისი ფული იდვა. ამ სახით ფულმა შეანგრ-შემოანგრია ერი და დაყო ორ ჯგუფად: ფულის პატრონნი და უფულონის, მდიდარნი და ღარიბნი.

წერილში ვკითხულობთ, რომ გლეხს არ შეუძლია ცხოვრების ფერხულში ჩაბმა, მხოლოდ მიწით, რომლის ერთ მეოთხედს გამქირავებელს უხდის, პუბლიცისტის აზრით, აქ უკვე საჭირო იყო ჩაბმულიყო გლეხი საწარმოო სტრუქტურაში და გამხდარიყო დაქირავებული მუშა.

ნოე ჟორდანიას აზრით, იმ პერიოდის საზოგადოებაში ჯერ კიდევ ჭარბობდა მოვახშე თანხა, რომლის სიღმეებიდან იბადებოდა საწარმოო ფული და მკვიდრდება აღებ-მიცემობა. ამ სახით ჩვენი საზოგადოება შეუმჩნევლად ადგებოდა წარმოების გზას, ერმა თავი გაჰყო კაპიტალიზმის ჭახრაკში.

თავი IV. ქართული ბიზნესის სათავეებთან

6.1 კონსტანტინე და სტეფანე ზუბალაშვილები

ზუბალაშვილები - ქართველი მრეწველები და მეცენატები, ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან გვხვდებიან. ზუბალაშვილების მიზანს

ქართული კულტურისა და ეკონომიკის გადარჩენა-აღორძინება წარმოადგენდა, რაც მათ, დაუღალავი შრომის შედეგად მოახერხეს.

ძმებ ზუბალაშვილებს სტეფანეს და კონსტანტინეს დიდი სავაჭრო ქსელი ჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქეთსა და ინდოეთში. მათ მიერ თბილისში შექმნილმა „ამხანაგობამ“, ამიერკავკასიაში პირველი შაქრის ქარხანა ააშენა.

,,1835 წელს, იაკობ ზუბალაშვილმა, იმერეთში პირველი არყის ქარხანა გახსნა და იმერეთის მოსახლეობისგან ჭაჭის შესყიდვა დაიწყო. ქარხანაში, წელიწადში, დაახლოებით 72 ათას ლიტრ არაყს ხდიდნენ. 1842 წელს, იაკობ ზუბალაშვილმა, თბილისში დიდი ქარვასლა ააშენა, რომლიც 10 სავაჭრო მაღაზიას, საწყობებს, ღვინის სარდაფებსა და 71 სასტუმრო ოთახს აერთიანებდა.“ [მ. ჩიქოვანი ,,ივერონი“ 2016: 46]

მათ სახელს უკავშირდება თბილისში პირველი პედიატრიული საავადმყოფოს გახსნაც, რომელიც ძმებმა სრულად აღჭურვეს ევროპიდან ჩამოტანილი სამედიცინო ხელსაწყოებით.

სამეწარმეო საქმიანობის გარდა, ძმები ზუბალაშვილები დიდ ქველმოქმედებას ეწეოდნენ მთელი საქართველოს მასშტაბით. მათ მიერ დაწესებული სტიპენდიებით ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება რუსეთსა და ევროპაში, მათ შორის იყვნენ: გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, პავლე ინგოროყვა და სხვები. მეცენატი ძმების მხარდაჭერითა და ფინანსური შემოწირულობებით დააარსა ილია ჭავჭავაძემ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და, ასევე, სათავადაზნაურო ბანკი.

1905 წლის 5 აპრილით დათარიღებული წერილი, რომელიც სტეფანე ზუბალაშვილმა ბაქოდან „ფულის ბილეთთან“ ერთად გამოგზავნა, ეროვნულ არქივში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდში ინახება.

ძმები ზუბალაშვილების სახელს უკავშირდება ამჟამინდელი მარჯანიშვილის თეატრი, თბილისის უნივერსიტეტი და კონსერვატორია. ამ ისტორიული შენობების აგებისთვის ზუბალაშვილებმა საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს. ისინი აქტიურად აფინანსებდნენ გაზეთ „ივერიასა“ და ჟურნალ „ჯეჯილს“.

პარიზში, ლუვრში, ერთ-ერთი დარბაზის კედელზე განთავსებულ მარმარილოს დაფაზე, ამოტვიფრულია ექსპოზიციის შემომწირველთა სახელები, რომელთა შორისაც იაკობ ზუბალაშვილსაც ამოიკითხავთ. (ლ. ნაკაიძე ,,მაცნე“ 2010)

6.2 დავით სარაჯიშვილი.

შთამბეჭდავ ისტორიებს დიდი ადამიანები ქმნიან. სწორედ ისინი, ვისაც ჰყოფნის გონიერება და გამბედაობა, არ დაკმაყოფილდეს იმით, რაც აქვს, არამედ ყოველდღიურად რაღაც უფრო მეტის შექმნისკენ იყოს მიმართული. სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც „საქართველო”, როგორც სახელმწიფო, მსოფლიო რუკიდან გამქრალი იყო და თითქოს, ყველაფერი ქართულიც რუსულ ჩექმას უნდა გაესრისა, ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებმაც გარდა სოციალურ-კულტურული ფასეულობისა, ქართული ბიზნეს ისტორია შექმნეს. მათ შორის იყო დავით სარაჯიშვილი. ბევრი მას საზოგადო მოღვაწედ, ქველმოქმედად, მეცნიერად ან ვაჭრად იხსენიებს, თუმცა ამავე დროს მარკეტინგულ აზროვნებაც ჰქონდა, რადგან ხედვას, რომელიც ათწლეულებით უსწრებდა თანამედროვეობას.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წლის 28 ოქტომბერს თბილისში. დაწყებითი განათლება სახლში მიიღო. ანბანის სწავლისა და სათანადოდ აღზრდის შემდეგ ფრანგი ჰაკეს კერძო პანსიონში მიაბარეს. 1866 წელს თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე განაგრძო, ერთი წლის შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა, სადაც ლექციებს ჯერ მიუნხენის, ხოლო შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში ისმენდა. 1871 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი და ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო. (მ. ჩიქოვან ,,ივერონი“ 2016);

1814 წლის 1 სექტემბერს, სპირტის ქარხანა გახსნა თბილისში. 1886–1892 წლებში მოხდა მისი მოდერნიზება, რამაც მაღალი ხარისხის სპირტების წარმოება 40–ჯერ გაზარდა. 1885

წელს სარაჯიშვილმა თბილისში ააგო დიდი მოცულობის სასაწყობე მეურნეობა, სადაც სპირტის გარდა, ღვინო–მასალებს, ხილ–კენკროვან ნაყენებს, მორსებს, ესენციებს, რომსა და კონიაკს ინახავდნენ. ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებული იყო სახელოსნოები და მაღაზიები. საკონიაკე სპირტებს, გამოხდის ადგილების მიხედვით, ცალკ–ცალკე ათავსებდა ისე, რომ სხვადასხვა ადგილებიდან მიღებული ღვინის სპირტი ერთმანეთში არ შერეულიყო. საკუთარი ვენახებიდან მიღებული ღვინის გარდა, სპირტის ნედლეულს სხვა მსხვილი მრეწველებისგანაც ყიდულობდა. ღვინოს იმ შემთხვევაში ყიდულობდა, თუ ის ჭაჭისა და ყურძნის ჩენჩოს გარეშე იყო დაყენებული. დავითმა შეისწავლა და ქიმიური ანალიზი ჩაუტარა ყურძნის ტრადიციულ ჯიშებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაარკვია, რომ ორგანოლეპტიკით და ქიმიური შემადგენლობით ისინი ძალიან უახლოვდებიან ფოლ ბლანშის და კოლომბარის ფრანგულ ჯიშებს, რომლებისაგანაც საფრანგეთში საკონიაკე სპირტს ამზადებენ, 1888 წელს თბილისში გახსნა კონიაკის პირველი ქარხანა. დავით სარაჯიშვილმა რუსეთის იმპერიაში პირველმა დაამკვიდრა კონიაკის წარმოების სრულფასოვანი ტექნოლოგია.

1884 წელს დაარსდა ფირმა „სარაჯიშვილი და ამხანაგობა“. სარაჯიშვილის ფირმა აერთიანებდა 5 სარექტიფკაციო, 1 არყის, 1 ლიქიორისა და 7 კონიაკის ქარხანას, აგრეთვე მრავალ საწყობს თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. 1900 წლისათვის ფირმამ გამოუშვა 218200 ბოთლი კონიაკი. 1902 წლიდან ფირმამ კახური ღვინით ვაჭრობა დაიწყო. ასევე, აშენებდა ხარებსა და ღორებს საკლავად.

1889–1913 წლებში სარაჯიშვილის ფირმის კონიაკმა და სხვა სასმელებმა საერთაშორისო და რუსეთის დეგუსტაციებსა და გამოფენებზე მიიღო 9 ოქროს, 5 ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი. თბილისში, მუშტაიდის ბაღის ტერიტორიაზე მოწყობილ „კავკასიის გამოფენაზე“ სარაჯიშვილის ფირმას სპეციალური ადგილი ჰქონდა გამოყოფილი. მისი ნაწარმი აღიარებული იყო, აგრეთვე, პარიზში, ლონდონში,ბერლინში. (მ. ჩიქოვანი ,,ივერონი“ 2016)

დავით სარაჯიშვილი იყო ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. სახელგანთქმული მრეწველი

და ქველმოქმედი. მან, ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით, დააარსა კომიტეტი, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა ევალებოდა. დავითი მათ საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდიებს უნიშნავდა. დაუნიშნა წლიური შემწეობა ღარიბ სკოლებს, ხელს უმართავდა ბევრ განათლებულ ქართველს, რომელიც გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. სარაჯიშვილის სახელი დაკავშირებულია „ქართველი გლეხობის აღმდგენელი კომიტეტის", სამუსიკო სასწავლებლის და სხვა ეროვნული წამოწყებების ჩამოყალიბებასა და შექმნასთან. ის ღრმად მორწმუნე კაცი იყო, მისი ინიციატივითა და დიდი წილი მისივე სახსრებით აშენდა თბილისში ქაშუეთის ტაძარი, რესტავრაცია ჩაუტარდა სვეტიცხოველს, მცხეთის დედათა მონასტერს, იკორთის, მარტყოფის, თბილისის სამების, მთაწმინდის, კალოუბნის და მრავალ სხვა ეკლესიას.

6.3 აკაკი ხოშტარია

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთის იმპერიის სინამდვილეში ქართველ მეწარმე-მეცენატთა შორის ფართო თვალსაწიერით, ანალიტიკური მახვილგონივრულობით, აზარტული გატაცებით, პროექტებისა და ქმედებათა ფანტასტიკური მასშტაბურობით გამოირჩეოდა აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია. მისი საქმიანობის ძირითად ასპარეზს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასია (განსაკუთრებით ბაქო), თურქეთი და ირანის ჩრდილო რაიონები. აკაკი ხოშტარია დაიბადა 1873 წელს აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში, ტახტის აზნაურის ოჯახში.

აკაკიმ სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი დაამთავრა სანკტ-პეტერბურგში. რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრაში, პრინც ოლდენბურგთან სუპერინტენდანტად მუშაობდა. მებაღე–დეკორატორად 10 წლის მუშაობის შემდეგ, აკაკი ხოშტარია შემთხვევითობის წყალობით ჩაება სავაჭრო და სამეწარმეო საქმიანობაში. ამ შემთხვევას ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი, ახალგაზრდობაში ის ფოთში მეგობრობდა მეწვრილმანე ვაჭარ, ვინმე

ზოდელავასთან. ერთხელ მათ გადაწყვიტეს სავაჭრო გემით ნავთი წაეღოთ ოდესაში სარეალიზაციოდ, მაგრამ ტუაფსეში ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემი თურქეთში გაიტანა, სადაც ნავთი ოქროს ფასად გაყიდეს. აკაკი ამ შემთხვევამ სამეწარმეო საქმიანობაზე დააფიქრა. ის თურქეთიდან ბაქოში გაემგზავრა და ნავთობმრეწველ მუსა ნაგიევისგან ნავთობსარეწი დანადგარები, ბათუმში კი სავაჭრო აქციები შეიძინა და მთლიანად ნავთობსამრეწველო საქმიანობაზე გადაერთო. (ლ. ნაკაიძე ,,მაცნე“ 2010)

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში აკაკი ხოშტარიამ ბაქოში ჩამოაყალიბა მსხვილი სამრეწველო კომპანია, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და ირანში წარმართავდა სავაჭრო ოპერაციებს. კომპანიაში გაერთიანდნენ ნავთობის ინდუსტრიის ცნობილი მრეწველი-კაპიტალისტები. მან ნავთობის კონცესიები შეიძინა სპარსეთში და ჩამოაყალიბა ფირმა, სახელად „რეპენტო”. ეს იყო ყველაზე დიდი და ფინანსურად ყველაზე ძლიერი ფირმა, რომლის მსგავსიც კი ქართველებს ოდესმე შეუქმნიათ – მისი პრეზიდენტი იყო აკაკი ხოშტარია“.

ირანის მიწათმფლობელებთან, დააარსა კომპანია „პერსლესი”, რომლის კაპიტალი შეადგენდა რამდენიმე მილიონ ოქროს რუბლს. ააშენა თავისი საკუთარი საამქროები, ელექტრონით მოქმედი ქარხნები და სპეციალური სარკინიგზო ხაზი - „ტალრუდი”, ხის მორების გადასაზიდად. ეს ირანისთვის პირველი რკინიგზის ხაზი იყო. (ლ. ნაკაიძე ,,მაცნე„ 2010)

სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობით აკაკიმ ირანის შაჰის კარზე დიდი გავლენა მოიპოვა.

1914 წელს აკაკიმ დააარსა სატრანსპორტო კომპანია თეირანსა და ფეჰლევს შორის. იგი იყო პირველი, რომელმაც ავტომობილი „ფორდი” შემოიყვანა ირანში, რომელსაც ოქროს ფრთები ჰქონდა სამკაულად. მან ეს მანქანა საჩუქრად მიართვა აჰმედ შაჰს.

თბილისში აკაკი ხოშტარიას ეკუთვნოდა მექანიკური ქარხანა, სამიწათმოქმედო იარაღების ფაბრიკა, საპნის ქარხანა, მეტალურგიული ქარხანა და სხვ. ის იყო ამიერკავკასიის ბანკის გამგეობის წევრი; დაარსა ტრანსკავკასიური ბანკი და სატრანსპორტო

კომპანია; აფინანსებდა ეროვნულ–დემოკრატების გაზეთ „საქართველოს“; ფინანსურ დახმარებას უწევდა ნოე ჟორდანიას მთავრობას საქართველოში და შემდეგ ემიგრაციაშიც...

საქართველოს ანექსიის შემდეგ აკაკი ემიგრაციაში წავიდა ჯერ თურქეთში, შემდეგ პარიზში, 1923 წელს კი დაბრუნდა თეირანში. ის ყველანაირად ცდილობდა დახმარებოდა ეკონომიკურად დაუძლურებულ სამშობლოს. სწორედ ამიტომ მას არ უნდოდა ურთიერთობის გამწვავება საბჭოთა რუსეთთან. 20-იანი წლების შიმშილობის დროს კომუნისტების თხოვნით მან დააარსა კომპანია "საბჭოთა კავშირი და ხოშტარია". ის საკუთარი სახსრებით პურს ირანში ყიდულობდა და ბაქოში გზავნიდა, აქედან კი "ხოშტარიას პური" სხვა ქვეყნებში ნაწილდებოდა.

აკაკი ხოშტარია აქტიურ საქველმოქმედო და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. 1907 წელს მან ბაქოდან 8 ათასი მანეთი გამოუგზავნა თბილისში ახალშექმნილ „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას"; 1915 წელს აბაშის სოფელ სუჯუნაში დედის სახელზე, ევროპელი არქიტექტორების დახმარებით, სახლი ააშენა. მოგვიანებით მან შენობა სოფელს საგანმანათლებლო დანიშნულებისთვის საჩუქრად გადასცა. 1914 წელს თბილისელთა თხოვნით საჯარო აუქციონზე შეიძინა ცნობილი მრეწველის, დავით სარაჯიშვილის სახლი. მან სახლი გადააკეთა, მოაწყო საზაფხულო და ზამთრის ბაღი. იტალიიდან ჩამოატანინა ლომის ფიგურები თუ სხვა ძვირფასი ანტიკვარული ნივთები, რომლის ნაწილი დღემდე არის მწერალთა კავშირში. გარკვეული ხნის მერე, როცა გადაწყვიტა საცხოვრებლად საფრანგეთში წასვლა, მისი ახლო ნათესავის–დუტუ მეგრელის მეშვეობით ქართველ მწერლებს ამცნო, რომ სახლსა და ნივთებს უსასყიდლოდ გადასაცემდა მათ. ასე დაიდო ამ სახლში ბინა საქართველოს მწერალთა კავშირმა, სადაც იგი დღემდე არსებობს.

ნ. ნოკოლაძის ინიციატივით აკაკი ხოშტარიამ თავისი ხარჯით გაიყვანა რკინიგზა ფოთსა და აბაშას შორის; სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაქმნელად მან 1920 წელს საზღვარგარეთ შეიძინა 4 სამხედრო გემი და თვითონვე ჩამოიყვანა საქართველოში; საფრანგეთში ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის, ანდრე ლოტის სურათები შეისყიდა და საჩუქრად გადმოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს; მისი ხარჯით

უცხოეთში განათლება მიიღო უამრავმა ნიჭიერმა ქართველმა სტუდენტმა, რომელთაგან ბევრი შემდგომში მეცნიერი გახდა; გარდა ამისა, კონსტანტინოპოლში მის მიერ დაარსებულ თურქულ-სპარსულ ბანკში ჩვენი ქვეყნიდან წასული ქართველები დაასაქმა, რომლებსაც სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებდა. (ლ. ნაკაიძე ,,მაცნე“ 2010)

აკაკი ხოშტარიას სავაჭრო კომბინაციები და კომერციული გეგმები ერთი შეხედვით ფანტასტიკურად შეიძლება მოგვეჩვენოს, თავისი საოცარი წარმატებებით. მაგრამ ყველაფერ ამის უკან დგას პიროვნება, თავისი ემოციური და არტისტული გამოვლინებებით, რომელიც დაუღალავად მიიწევდა წინ. მრავალ მოგონებაში, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავენ და საუბრობენ მასზე, არა როგორც მდიდარ, ფულიან მრეწველზე, რაც ფაქტია, არამედ, მის არაჩვეულებრივ კეთილშობილებაზე, ქართულ გულზე, სიკეთეზე, მოყვასის სიყვარულსა და ყურადღებაზე, რითაც იგი გარშემო მყოფ ადამიანებზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა.

დასკვნა

XIX საუკუნის მეორე ნახევარი ქართული საზოგადოებისთვის გარდამტეხი პერიოდი აღმოჩნდა, როგორც პოლიტიკურად, სოციალურად, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, იქცა უღელტეხილად ფეოდალური ეპოქიდან ბურჟუაზიულზე გადასასვლელად. თავისი მნიშვნელობით და გავლენით ის გასცილდა საფრანგეთის საზღვრებს და შექმნა სოცილურ შერყევათა ხანგრძლივი ციკლი, რომელმაც ნიადაგი გამოაცალა დამყაყებული ფეოდალიზმის სისტემას მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში.

ქართული ბურჟუაზია ეროვნულ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, რადგან სავაჭრო საქმიანობით თბილისელი სომხები იყვნენ დაწინაურებული. ეს მდგომარეობა უცხო არ იყო ჩვენს ცნობიერებაში, რადგან ჯერ კიდევ სტრაბონი აღწერდა, რომ იბერიაში ვაჭრობა უცხო ტომელთა ხელთ იყო. ბატონყმობის გადავარდნამ ხელი შეუწყო ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრებას, ამ მოვლენას თან ახლდა სოციალური ცვლილებებიც სოფლად. კერძოდ, დაკნინდა თავადაზნაურობის სოციალური მდგომარეობა. მხოლოდ დიდი მიწების მქონე მემამულეები ვერ ახერხებდნენ მომგებიანი მეურნეობის გამართვას. მებატონეთა ნაწილი თავის მიწას ვალებში ყიდდა, ან აღებული ვალის სანაცვლოდ ბანკში აგირავებდა. თავადაზნაურობის მიწების მყიდველი, ძირითად, არაქართული (სომხური) ბურჟუაზია იყო. ცვლილებები აღინიშნა გლეხობაშიც. დაიწყო გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია-ფენებად დაშლა. საბოლოოდ ეს პროცესი იმით დამთავრდა, რომ გლეხობა დაიშალა სამ ფენად: უღარიბეს, საშუალო და მდიდარ გლეხებად.

ქართულმა ბურჟუამ ეროვნულ ნიადაგზე მორგება, თანდათან დაიწყო XIX საუკუნის ბოლოსკენ, როდესაც გამოჩნდნენ ქართველი მრეწველები. ისინი იქცნენ ნამდვილ მესვეურებად, რომლებმაც შეცვალეს ეროვნული ეკონომიკის სფერო და მათი მიზნები უკვე სახელმწიფოებრივი გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული.

სოციალური ფონის ცვლილებები აღიწერა თანამედროვე ინტელექტუალთა პუბლიცისტურ წერილებში და ნაწარმოებებში. ისინი უშუალოდ იყვნენ მონაწილენი XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე პროცესების, შესაბამისად მათი ანალიზის სიმძაფრე, რეალური და რაციონალური იყო. ამდენად ნაშრომში ეპოქის ანალიზის საშუალებას, სწორედ ეს ნაშრომები იძლევა. ერის მთელი მოძრაობა, რასაც ისტორიას ვუწოდებთ, საზოგადოებრივი აზრები თუ ეპოქის განწყობილებანი, ყველაფერი ეს ლიტერატურაში აღიბეჭდა ახალი სურათების, იდეების, თემების და სიუჟეტების სახით.

გამოყენებული ლიტერატურა

1) ანთაძე კ. ,,ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან". გამ: ,,განათლება". თბ. 1978 წ. გვ-ის რაოდ:186.

2) არდაზიანი ლ. ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". გამ: ,,ნადეჟდა".თფ. 1911 წ. გვ-ის რაოდ:164.

3) გაზეთი,,თემი", 1912წ. N58.

4)გამეზარდაშვილი დ. ,,გიორგი ერისთავი ცხოვრება და მოღვაწეობა". გამ: ,,საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია",. თბ. 1949წ. გვ-ის რაოდ: 208.

5)ერისთავი გ. ,,პიესები", გამ: ,,უნივერსალი". თბ.2014 წ. გვ-ის რაოდ: 246

6) ვაჩნაძე მ. გურული ვ. ,,საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეები". გამ: ინტელექტი თბ 2014წ. გვ-ის რაოდ: 352.

7)კოტეტიშვილი ვ. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIXს.). გამ. ,,საბჭ. საქართველო". თბ.1959. გვ-ის რაოდ: 640

8) მგალობლიშვილის ს. ,,მოგონებანი", გამ: ,,ფედერაცია" თბ. 1938 წ. გვ-ის რაოდ: 268.

9) მესხი ს. ,,თხზულებანი სამ ტომად წერილები 1875-78", ტ.2-ე თბილისი, გამ: ,,საბჭოთა საქართველო" . 1963წ. 445გვ

10) მეუნარგია ი. სუმბათაშვილი ა. აბაშიძე მ. ,,ქართული მწერლობა 40 ტომად". ტ. 22-ე. გამ: ,,ნაკადული". თბ. 2004 წ. გვ-ის რაოდ: 655.

11) ნაკაიძე ლ. ,,პირველი ქართველი მეცენატი მწერლები". ჟურნალი: ,,მაცენე". გამ: ,,კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტი". N-2, თბ. 2010 გვ.91-108

12) ნიკოლაძე ნ. ,,რჩეული ნაწერები, პუბიცისტური წერლები 1870-1877“ გამ: ფედერაცია“. თბ. 1932წ. გვ-ის რაოდ: 417.

13) ორბელიანი ა. “რამდენიმე სიტყვა “გაყრის” კომედიაზედ”. “ცისკარი” 1857, № 9. გვ. 45-48

14) ჟორდანია ნ. ,,მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხების შესახებ“. გამ: ,,ამ. კავკასია“ 1922წ. გვ-ის რაოდ: 278.

15) ჟურნალი ,,ცისაკრი“ , N-6 ტფ. 1859წ.

16) ჟურნალი„ცისკარი“, N-9 ტფ.1859წ.

17) ჟურნალი ,,ცისკარი” N-10, ტფ. 1859წ.

18) ჟურნალი ,,ცისკარი” N-11, ტფ.1859 წელი.

19)რატიანი. ი. ლეთოდიანი. გ. წერედიანი ა. ,,ბურჟუა მე-19 საუკუნის ქართულ დრამატურგიაში“. N-36 ,,ლიტ. ძიებანი“. თბ. 2015წ. N36. გვ -ის რაოდ: 58-70.

20) ,,როგორ დავწეროთ ისტორია: შესავალი ისტორიის დისციპლინასა და პრაქტიკაში“ გამ: ,,თსუ“ თბ.2017წ. გვ-ის რაოდ:433.

21) ,,საქარველოს ისტორია XIX საუკუნე. გამ: ,, არტანუჯი“. თბ.2004. გვ-ის რაოდ: 263.

22)ტენი ი. ,,ხელოვნების ფილოსოფია“. გამ ,,საქართველო“. თბ. 1970წ. გვ-ის რაოდ: 80გვ

23) ,,ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. თბ. 1987 წ. ტ.11-ე. გვ-ის რაოდ: 699.

24) ,,ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 1-ლი, თბ. 1975 წ. გვ-ის რაოდ: 688.

25) ,,ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. ტ. 4-ე. თბ. 1979 წ. გვ-ის რაოდ: 704.

26) ყაუხჩიშვილი თ. ,,სტრაბონის გეოგრაფია“, გამ: ,,საქ. სსრ მეცნ. აკად“. 1957 წ. გვ-ის რაოდ: 302გვ

27) ყიფიანი დ. ,,მემუარები“ . გამ: ,,საქართველო“. თბ: 1990წ. გვ-ის რაოდ:184.

28) ,,შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“. ტომი მე-2. გამ: ,,ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი“. თბ.2014წ. გვ-ის რაოდ: 415.

29) ჩიქოვანი მ. ჟურნალი ,,ივერონი“. გამ: ,,შპს ჯორჯია“. N- 9. თბ. 2016წ. გვ.45-49

30)ცაგრელი ა. ,,კომედიები“ გამ: ,,ფედერაცია“ თბ. 1936 წ. გვ-ის რაოდ: 504.

31) წერეთელი გ. ,,კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. გამ: ,,ფედერაცია“. ტფ. 1935წ. გვ-ის რაოდ:148.

32) წერეთელი გ. ,,პირველი ნაბიჯი“. გამ: ,,ანბანი“ თბ. 2010. გვ-ის რაოდ: 136.

33) ჭაბაშვილი მ. ,,უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. გამ: ,,განათლება“. თბ.1989წ. გვ-ის რაოდ: 600.

34)ჭავჭავაძე ი. ,,ცხოვრება და კანონი“, გაზ: ,,ივერია“ ტფ. 1877წ.

35)ჯიბლაძე გ. ,,კრიტიკული ეტიუდები“, გამ: სახელგამი“ თბ. 1945 წ. გვ-ის რაოდ: 202.

36)ჯორჯაძე ა. ,,თხზულებანი ა. ჯორჯაძისა, წიგნი V მასალები ქართველი ინტელიგენიის ისტორიისათის და სხვა წერილები“. გამ: ,, შრომა“. ტფ. 1914წ. გვ-ის რაოდ: 228.